ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba

შაბათი-კვირა

## „ახალი თაობა“+ „რიშელიე“
**8 ლარი**

30 მაისიდან 13 ივნისამდე




4 — 5 ივნისი, 2011 | №121 (5512) | ფასი: 30 თეთრი



# ოქრუაშვილმა უნდა დაგვიმტკიცოს, რომ არ არის რუსეთის აგენტი!

რა პრობლემები შეი ლება შეგვიქმნას თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა

გვ.3





რა იციან მემარჯვენეებმა დეპუტატის წარსულზე

გვ.6

## გია თორთლაძეს ურჩევნია, თავის ცოდვებს მიხედოს!

## ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს

მო ღვარს განსაკუთრებული სიბრ ნე მართებს ადამიანებთან ურთიერთობაში

გვ.7



## შევარდნაძემ და ბუშებმა შვეიცარიაში ირჩხუბეს

რატომ ვერ გახდა ბადრი პატარკაციშვილი საქართველოს პრემიერი

გვ.4



**3090**

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## მე უფრო ტელენამყვანი ვარ, ვიდრე მსახიობი

გვ.8

ნინო ჩაუტაშვილი თეატრს დაუბრუნდა



ISSN 1987-9385



გვ.2







## კვირის ქრონიკა

შედით საიტზე atb.ge



# ბიწაძეს ასი ათასს სთხოვენ, ბურჯანაძე ევროპაში მიდის

ხელისუფლება ამ დღეებში სულ გადატრიალებაზე გვემუსაიფებოდა. ამ დღეებში ბევრი რამე შევიტყვეთ ვერაგ გადამტრიალებლებზე. გადამტრიალებელთა შორის კინაღამ ბადრი ბიწაძეც მოხვდა.

თავიდან მშობლიური შსს გვაუწყებდა, რომ ის რაგატკებით და დროშის ტარებით აპირებდა „პერევაროტს". ის-ის იყო ერი მასზე უნდა აღშფოთებულიყო, რომ პროკურატურამ მას აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა.

ბიწაძეს ასი ათასის გადახდა დააკისრეს იმის გამო, რომ მან პოლიციაზე თავდასასხმელად ჯგუფები მოამზადა.

პოლიციაზე თავდამსხმელი ჯგუფების მომზადებელი ბიწაძე არსად არ ჩანს. სომხური მედია ამტკიცებს, რომ ის სომხეთ-



ში იმყოფება. საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ასი ათასად შეფასებულ ბიწაძეს საქართველო არ დაუტოვებია.

მისი ადგილსამყოფელის შესახებ არაფერს არ ამბობს ნინო ბურჯანაძე. ის არც მეუღლისთვის აპირებს გირაოს გადახდას. ხელისუფლებას კი პირდება, რომ მარტოც რომ დარჩეს, ბრძოლას მაინც გააგრძელებს.

— ბრძოლას ვაგრძელებ და გპირდებით, რომ აუცილებლად დავამარცხებთ ევროპის ახალ დიქტატორ მიხეილ სააკაშვილს. მადლობას ვუხდი რჩევისთვის აკაკი მინაშვილს, თუმცა ვამბობ, საქართველოდან წასვლას არ ვაპირებ. ისე, კარგად მახსოვს, როგორი შეშინებული იყო მინაშვილი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები 21 მაისამდე, როდესაც მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. კარგად გვახსოვს, რომ გასაქცევს თვითონ ეძებდნენ. მინდა, დავაფიქსირო, რომ როგორი რეპრესიაც არ უნდა განახორციელონ ჩემზე და ჩემი ოჯახის წევრებზე, ბრძოლას მაინც არ შევწყვეტ, — განაცხადა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ და დასძინა, რომ უახლოეს მომავალში იგი ბრიუსელში ან ევროპის რომელიმე დედაქალაქში რამდენიმედღიან ვიზიტს არ გამორიცხავს.

ბურჯანაძის თქმით, იგი თავისი ევროპელი მეგობრების დახმარებით აპირებს ბრიუსელში პრესკონფერენცია გამართოს იმისათვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას კარგად აუხსნას საქართველოში შექმნილი ვითარება და ამცნოს, რომ მიხეილ სააკაშვილის სახით ევროპაში ახალი დიქტატორი გამოჩნდა.

— ვაფრთხილებ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ თუ მათ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ჩემი ჩვენება სურთ, აქ ვარ და ნებისმიერ დროს შეუძლიათ დამკითხონ, მაგრამ მე რამდენიმე დღით შესაძლოა ევროპაში წასვლა მომიწიოს. იგივე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ მათ ეშინიათ, რომ უკან აღარ დავბრუნდები, შეუძლიათ თავიანთი ოფიციალური წარმომადგენლებიც გამომაყოლონ. მზად ვარ ევროპაში ჩასვლისთანავე შსს-ს წარმომადგენელს ჩემი დოკუმენტებიც ჩავაბარო. არაოფიციალურად ისინი თავიანთ წარმომადგენლებს სხვადასხვა ქვეყნებში ვიზიტების დროს ყოველთვის აყოლებენ ხოლმე და ახლა ეს შეუძლიათ ოფიციალურადაც გააკეთონ, — განაცხადა ბურჯანაძემ.

# პარლამენტმა თავისუფლების ქარტია დაამტკიცა

ამიერიდან საქართველოს მშვიდად შეუძლია ძილი. გასაგებია, რომ მშობლიური შსს ჩვენი უსაფრთხოების სადარაჯოზეა. ვანოს ბიჭები სახელმწიფო გადატრიალების მოსურნეებს ისე უბეგვავენ გვერდებს, რომ მათ ლოგინში გადატრიალების თავიც არა აქვთ.

ამჯერად ჩვენი მშვიდი ძილის გარანტი მარტო მშობლიური კუდი და სოდი არ იქნება. ამაში ჩვენ გია თორთლაძის ინიციატივაც დაგვეხმარება. ზოგიერთ ავისმოსურნეს ხომ ეგონა, რომ გიას მარტო მთებზე სიარული შეეძლო, აღმოჩნდა, რომ მას სამშობლოსთვის სიმშვიდის მიმნიჭებელი ინიციატივების შემუშავებაც შესძლებია.

გემახსოვრებათ ალბათ, რა ამბები ატყდა თორთლაძის შემუშავებულ თავისუფლების ქარტიასთან დაკავშირებით. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ეს ქარტია ნაციონალებმა დაწერეს და თორთლაძეს თავისად გაასაღებინეს.

ამაში ეჭვი არც ქართველ ლეიბორისტებს არ ეპარებათ. ამის მიუხედავად, მათ თავისუფლების ქარტიას მაინც „პადოშ-აქტი" უწოდეს. ამის გამო თავი არც ნაციონალებს და არც თორთლაძეს არ გაუნერვიულებიათ.

ამ კვირაში საქართველოს გადამრჩენელი თავისუფლების ქარტია პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა.

გია თორთლაძის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს 81 კანონმდებელმა დაუჭირა მხარი (ადრე თუ გვიან, ეს 81 კაცი ისტორიაში სამას არაგველს გაუთანაბრდება). წინააღმდეგი არავინ ყოფილა. თურმე როგორი პატრიოტი ხალხი გვყოლია პარლამენტში და არ ვიცოდით.

ყველაზე მაინც ვერ ვიტყვით,



რომ პატრიოტები არიან. პატრიოტთა სიაში ვერანაირად ველარ მოხვდებიან საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც კენჭისყრის მომენტში სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდნენ. ისე, რომც ყოფილიყვნენ, ისინი ამ კანონპროექტისთვის ხმის მიცემას მაინც არ გეგმავდნენ.

რაც შეეხება თავად თავისუფლების ქარტიას, თავისუფლების ქარტია სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება.

როგორც გია თორთლაძე განმარტავს, ამ აქტის მიზანი არის ქვეყნის დეკომუნიზმიზაცია და ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერება.

— კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის ძალიან მაღალჩინოსნებს უწესდებათ თანამდებობრივი შეზღუდვები, აგენტებს უწესდებათ კონკრეტულ თანამდებობებზე შეზღუდვები. რაც შეეხება სიმბოლიკას, ისიც იდეოლოგიის ნაწილი იყო, ის ჰაერში კი არ იყო და როგორც ზოგიერთი ამბობს, შრომის იარაღი იყოო... ისინი უნდა მოიხსნას, თუ ხელოვნების ნიმუში არ არის. თუ ხელოვნების ნიმუშია, გადავიტანთ სხვაგან. ქვეყნის დეკომუნიზმიზაცია კი საბჭოთა პერიოდში კომუნისტურ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში შემჩნეული თანამდებობის პირების ლუსტრაციით უნდა დაიწყოს.

ლუსტრირებულთა სიაში მოხვდებიან ის პირებიც, ვინც 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ უცხოეთის სპეცსამსახურებთან ფარულ კავშირში იყვნენ შემჩნეული. ყველა ასეთ პირს სამუშაო ეზღუდება დანიშვნით თანამდებობაზე. რაც შეეხება არჩევით თანამდებობას, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, შსს-სგან მიწოდებული მონაცემების მიხედვით, ამომრჩეველს ამ პირის წარსული უნდა გააცნოს. კომისია, რომელიც პირთა ლუსტრაციას მოახდენს, სწორედ შსს-ში იქმნება, — ამბობს გია თორთლაძე.

ნაციონალები ამ პროექტის მიღებით ბედნიერები არიან. ბედნიერია ერიც. აი არასამთავრობოები და ოპოზიცია კი რაღაცანაირად უკმაყოფილოები არიან. მოდი და გაუკეთე ამ ხალხს სიკეთე!

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, არაპატრიოტმა ლევან ვეფხაძემ თავისუფლების ქარტიას მკვდრადშობილი უწოდა.

ეს ქარტია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მარკ მალენმაც გააკრიტიკა.

— მე ვწუხვარ ამ თავისუფლების ქარტიის გამო. მასში რამდენიმე პრობლემაა. პირველი ის, რომ კანონი არ არის სრული. იგი მხოლოდ იმას ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ან ხელისუფლების პატარა ჯგუფს შეუძლია გაანადგუროს საბჭოთა და ნაცისტური სიმბოლოები. ვფიქრობ, ნაციზმი და საბჭოეთი ისტორიული რეალობაა და ისტორიის ასეთი გადახედვა - სიმბოლოების განადგურება - მე საბჭოურად მიმაჩნია და თანაც ადამიანთა მცირე ჯგუფს ანიჭებს კანონი უფლებას ეს გააკეთოს. ეს საერთაშორისო პრაქტიკაში უჩვეულოა. მაშფოთებს ისიც, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამ კანონს განიხილავს, როგორც ნიშანს, საქართველოს ხელისუფლების მცდელობისა გადაწეროს საქართველოს ისტორია. ისტორია უნდა დარჩეს მოსახლეობასა და ისტორიკოსებს და არა შინაგან საქმეთა მინისტრს ან მთავრობას, — მიიჩნევს მარკ მალენი.

# გაჩეჩილაძემ და გუნცაძემ ქართული პარტია დატოვეს

გახსოვთ ალბათ, რა ჟრიამულით შეიქმნა ქართული პარტია. ამ ისტორიულ ფაქტს გასული წლის 24 ნოემბერს ჰქონდა ადგილი. სწორედ ამ დღეს გაიმართა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა.



პარტიის ლიდერები მაშინ დაგვპირდნენ, რომ გაზაფხულზე ხელისუფლებას წარსულს ჩააბარებდნენ. გაზაფხული ისტორიას ჩაბარდა. ნაციონალები კი ქვეყნის სათავეებთან ისევ ამაყად ყელყელაობენ. არ არის გამორიცხული, მალე ისტორიას ქართული პარტია თავად ჩაბარდეს.

ქართულ პარტიაში რომ გაურკვევლობა იყო, ეს ჩვენ მკითხველსაც კარგად მოეხსენება. თებერვლიდან მოყოლებული, ბევრჯერ გავარდა ხმა, რომ ლევან გაჩეჩილაძეს და კოკა გუნცაძეს ირაკლი ოქრუაშვილთან დაპირისპირება მოუხდათ.

მერე ითქვა, რომ გაჩეჩილაძე და გუნცაძე პარტიიდან მოდიოდნენ. ეს ინფორმაცია ჟურნალისტების მოგონილად მონათლეს.

მონაჭორი უწოდეს იმასაც, რომ გუნცაძესა და ეროსი კიწმარიშვილს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

ამ დაპირისპირებას ოფიციალურად არავინ არ ადასტურებს. თუმცა უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ გაჩეჩილაძემ და გუნცაძემ პარტია დატოვეს.

ლევან გაჩეჩილაძემ, კოკა გუნცაძემ, ლევან ჩიკვაიძემ და კახა მიქაიამ „ქართული პარტია" დატოვეს.

ამასთან დაკავშირებით მათ გაავრცელეს სპეციალური განცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— თავს ვალდებულად მივიჩნევთ, განვაცხადოთ: 26 მაისის სისხლიანმა სადამსჯელო აქციამ ცხადყო, რომ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი საყოველთაო სისასტიკის და ტოტალური შიშის დანერგვის გზით თანდათანობით ტირანიის სახეს იღებს. მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ამ ტიპის რეჟიმებთან ბრძოლა მხოლოდ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების სრული კონსოლიდაციით და ერთიანი ფრონტითაა შესაძლებელი. ერთიანობის ძალა და მისი მორალური სულისკვეთება არის არსებული რეჟიმის დაძლევის ყველაზე მძლავრი და ერთადერთი იარაღი. ამიტომ, კატეგორიულად მიუღებელია ურთიერთბრალდებები და ურთიერთშეურაცხყოფები იმ ძალებს შორის, რომლებიც მიზნად ისახავენ სისტემურ ცვლილებებს ქვეყანაში.

ჩვენ არ ვეთანხმებოდით, ხოლო რიგ შემთხვევებში, არც ვმონაწილეობდით ბოლო პერიოდში „ქართული პარტიის" არც ერთ იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერთიანობის კურსს. ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, ვიმოქმედოთ დამოუკიდებლად, რათა მიღწეული იქნას საყოველთაო თანხმობა, რომელიც არის გარანტი არსებული რეჟიმის დამარცხების. ვიბრძოდით და კვლავ ვიბრძოლებთ ჩვენი შინაგანი რწმენის, ხალხის და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

განცხადებას ხელს აწერენ: ლევან გაჩეჩილაძე, კოკა გუნცაძე, ლევან ჩიკვაიძე და კახა მიქაია.

შორენა მარსაგიშვილი

# ჯონ ბასმა ხელისუფლებას ძალის გადამეტება დაუგმო

მთელი ქართული ოპოზიცია ამერიკის ელჩის ჯონ ბასის ლანძღვაზეა გადასული. მათი მტკიცებით, რომ არა ბასის განცხადება, სააკაშვილი აქციას ასე სასტიკად არ დაარბევდა.



რამდენად დასჭირდა სააკაშვილის ბასისგან აქციის დასარბევად მწვანე შუქის ანთება, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე თბილისში ამბობენ, რომ დარბევამდე ცოტა ხნით ადრე, ბასს ჩვენი შს მინისტრის ხალხი ესტუმრა, მათ ელჩს ის ჩანაწერები მოასმენინეს, რომლებსაც აქციის დარბევის შემდეგ ჩვენ გვასმენინებენ.

ამ ჩანაწერების მომსმენი ელჩი გაოგნებულა და ის თავისი ცნობილი პოზიცია დააფიქსირა, რომელიც ჩვენებურთა მტკიცებით დარბევის მიზეზი გახდა.

იმ განცხადებიდან ჩანდა, რომ ელჩი ოპოზიციის ქმედებით უკმაყოფილო იყო. ახლა კი მის განცხადებებში ძალის გადაჭარბებაზე არის საუბარი.

აშშ-ს ელჩის ჯონ ბასის განცხადებით, 26 მაისის მოვლენებისას ადგილი ჰქონდა ძალის გადაჭარბებას. ამის შესახებ ელჩმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა.

— ფაქტია ისიც, რომ პროტესტის გამომხატველთა შორის იმყოფებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მოვლენების ძალადობრივი განვითარებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავად დაშლის დროს და მას შემდეგ ადგილი ჰქონდა ძალის გადაჭარბებას. მინდა აქ აღვნიშნო ის ფაქტები, რომელიც აღნიშნულია ომბუდსმენის მიერ, რაც ეხება ადამიანების ცემის ფაქტებს, როგორც უშუალოდ დემონსტრაციის დაშლის შემდეგ, ასევე დაკავების ადგილებში, — განაცხადა ელჩმა და ისიც დასძინა, რომ ის შეწუხებულია იმ ადამიანების ბედით, რომელთა ადგისამყოფელი აქციის დაშლის შემდეგ გაურკვეველია.

— ნამდვილად შეწუხებული ვარ იმ ინფორმაციით, რომ არიან ადამიანები, ვისი ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია. უნდა ჩატარდეს სერიოზული გამოძიება, რომლის შედეგადაც დადგინდება სიმართლე. ასევე აღვნიშნავ იმასაც, რომ ეს ხელს შუწყობს მთავრობისადმი ნდობის ამაღლებას საზოგადოებაში, — აღნიშნა ჯონ ბასმა.

საინტერესოა, როგორ გაიგებს ამჯერად ბასის განცხადებას ხელისუფლება?

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ოქრუაშვილმა უნდა დაგვიმტკიცოს, რომ არ არის რუსეთის აგენტი!

## რა პრობლემები შეი ლება შეგვიქმნას თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან

***— ბატონო პაატა, როგორც ექსპერტ-კონფლიქტოლოგი, რა შეფასებას მისცემდით ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებს? მან ხელისუფლება ჩეჩენი ბოევიკების მფარველობაში დაადანაშაულა...***

— ეს საკმაოდ სერიოზული განცხადებაა. არ შეიძლება, რომ ერთ ყურში შევუშვათ და მეორიდან გამოვუშვათ. ირაკლი ოქრუაშვილი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, შემდეგ — თავდაცვის მინისტრი და ფლობს უდიდეს ინფორმაციას. მან, იცის რა, რომ უდიდეს ინფორმაციას ფლობს, შეუძლია მოახდინოს საზოგადოების მანიპულაცია და იცრუოს კიდეც, თქვას ისეთი რამეებიც, რაც არ მომხდარა. ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ ის დღეს ახდენს საქართველოს დისკრედიტაციას მსოფლიოს თვალში. თუმცა, არ შეიძლება, მხოლოდ ამ მიმართულებით მივუდგეთ, რომ ის იტყუება. თუ ეს სიმართლეა? მე არ ვიცი, სინამდვილეში რა მოხდა, ნამდვილად არა მაქვს ინფორმაცია, მაგრამ, ის თუ მართალს ამბობს, საკმაოდ სერიოზულ მანკიერ და კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ყოფილა ჩვენი ხელისუფლება, ვიდრე სინამდვილეში გვგონია. ოქრუაშვილის განცხადებების მიხედვით, ის საქართველოს ტერიტორიაზე ატარებდა ჩეჩენ ტერორისტებს. ჩეჩენი იქნება თუ დაღესტნელი, ამას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. ოქრუაშვილი სხვადასხვა გვარებზე ლაპარაკობდა. ასე რომ, ეს გამოსაძიებელია. საქართველოს მთავრობა ვალდებულია გამოიძიოს და თქვას სიმართლე, ოქრუაშვილი ტყუის თუ არ ტყუის. ისე კი არა, რომ ხელისუფლებამ თქვას, ტყუისო და ამით დაამთავროს. უნდა მოგვაწოდოს დეტალური ინფორმაცია. ოქრუაშვილმა, თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, ყველაფერი დეტალურად უნდა თქვას, როდის, რომელ რიცხვებში მოხდა ეს ყველაფერი, საჭიროა, მეტი ფაქტები დაიდოს, რათა შემდეგ მოხდეს ამაზე მსჯელობა. მე სულ არ მადარდებს, რუსები რას იტყვიან, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია, როგორ შემოგვხედავს დასავლეთი, ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოები, შტატები და ევროკავშირი. თუ მათ არ მიიღეს მტკიცებულებები, რომ ეს სიმართლე არ არის, საკმაოდ სერიოზულ გავლენას მოახდენს საქართველოს მიმართ მათ დამოკიდებულებაზე.

***— ოქრუაშვილი რა წლებსაც ასახელებს, იმ პერიოდში ის ძალოვანი უწყების პირველი პირი იყო...***

— რა თქმა უნდა, ამიტომ ძალიან შემაშფოთებელი და დამაფიქრებელია მისი განცხადებები. თუ ტყუის, მაშინ ეს არ არის ტრაგედია, ტყუილის გამოაშკარავება იოლად შეიძლება და, თუ სიმართლეს ამბობს, მაშინ ეს არის ძალიან სერიოზული ამბავი, ძალიან სკანდალური ამბავი და კეთილი უნდა ინებოს სახელმწიფომ და პასუხი გასცეს თავის დასავლელ მოკავშირეებს, რატომ იქცეოდა ასე.

***— რამდენად დაასხამს ეს განცხადებები რუსეთის წისქვილზე წყალს?***

— რუსეთის წისქვილზე ცალსახად დაასხამს წყალს, მაგრამ მე არ მადარდებს, დაასხამს თუ არ დაასხამს. მე მადარდებს, ჩვენ რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. ეს არის ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი, როგორი ხელისუფლება გვყავს. მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის წისქვილზე წყალი არ დაასხან, ამის გამო, ბოდიში და, ჩვენს საკუთარ განავალში ვიხრჩობოდეთ, ეს ჩემთვის ყოვლად მიუღებელია.

***— რამდენად უშვებთ, რომ ეს სიმართლეა?***

— 50/50-ზე. თუ სიმართლეს არ შეესაბამება, მაშინ ეს არის რევანშისტი გაბრაზებული პოლიტიკოსი და მაშინ ის ძალიან პრიმიტიული ყოფილა. მე არ მინდა, რომ პირდაპირ ჩამოვწერო ირაკლი ოქრუაშვილი და ამიტომ მინდა, მან მეტი ინფორმაცია მოგვცეს და დაადასტუროს, რომ ის მართალს ამბობს. თუ იტყუება, მაშინ გამოდის, რომ ნამდვილად რუსეთის ინტერესებს ემსახურება, ხოლო თუ არ იტყუება და მართალს ამბობს, მაშინ მისი სურვილი საქართველოში არსებული სიტუაციის გამოსწორებაა.

***— ბატონო პაატა, რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვან თემას, 26 მაისს, ხელისუფლება აცხადებს, რომ სახალხო კრების ლიდერების მხრიდან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ჰქონდა ადგილი. რამდენად იყო ეს ასე?***

— ხელისუფლებას თუ ჰქონდა ეს ჩანაწერები, მაშინ თავიდანვე უნდა აღეკვეთათ ეს ღონისძიება, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული გადატრიალების მცდელობა. მათ დროზე უნდა გამოექვეყნებინათ ეს ჩანაწერები და მიეღოთ შესაბამისი ღონისძიებები. ყველაზე სამარცხვინო არის ის, რომ მათ დაშლამდე ბურჯანაძეს შესთავაზეს სხვა ადგილზე გადასვლა, ანუ, თუ სიმართლეს შეესაბამება ის ლეგენდა, თითქოს ისინი ანტისახელმწიფოებრივ ღონისძიებას ახორციელებდნენ და სახელმწიფო გდატრიალებას გეგმავდნენ, გამოდის, რომ სახელმწიფო ხელს უწყობდა ბურჯანაძეს, სხვაგან განეხორციელებინა ანტიკონსტიტუციური მოქმედება და სახელმწიფო გადატრიალება. საქართველოს ხელისუფლება თავის თავს ეწინააღმდეგება თავისი განცხადებებით. მათთვის მთავარი იყო არა ბურჯანაძის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების აღკვეთა, არამედ მათ უნდოდათ გაეთავისუფლებინათ მოედანი აღლუმისათვის. შემდეგ, რადგან ასეთი სასტიკი ფორმები მიიღო ამ ყველაფერმა, დაიღუპა ხალხი და საშინელი სურათი მივიღეთ, რომელშიც მხოლოდდამხოლოდ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი და მეტი არავინ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის გამართლება, რაც მათ გააკეთეს. მხოლოდ მათი ახირება იყო, რომ ჩაეტარებინათ რუსთაველის გამზირზე, მაგრამ ჩაუვარდათ ეს და ამ ყველაფერმა საშინელი ფორმები მიიღო. ამის გადაფარვა უნდათ უკვე იმით, რომ ვითომდა სახელმწიფო გადატრიალებას ჰქონდა ადგილი.

***— ალბათ, თქვენც წაიკითხეთ კახა ბენდუქიძის ცინიკური განცხადებები რუსულ პრესაში, სადაც ის აცხადებს, რომ ვინც ერთხელ მიიღო ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა, მეორედ ამის სურვილი აღარ გაუჩნდება...***

— ბენდუქიძემ უმჯობესი იქნება, იმას მიაქციოს ყურადღება, როგორ მოხვდნენ ცოცხალი ხელებშეკრული ადამიანები შემდეგ მაღაზიის სახურავზე დახოცილები. იმ ადამიანს მართლა აღარ მოუნდება ასეთ ექსპერიმენტში მონაწილეობა. ჯობია, ასეთ რაღაცებზე გაამახვილოს ყურადღება ბენდუქიძემ, თორემ, ვინ გამოვა და ვინ არა შემდეგ აქციებზე, ამას სულ მალე ნახავენ, იმის მიხედვით, თუ როგორ ჩაივლის არჩევნები.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს იყო საზოგადოების მიზანმიმართულად დასჯა რათა მათ ვეღარ გაბედონ ქუჩაში გამოსვლა?***

— ცალსახად, დიახ, მიმართული იყო სწორედ აქეთკენ, მაგრამ საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სულ სხვანაირი გადაწყვეტილება მიიღო და, დარწმუნებული ვარ, მიაჩნია, რომ ხელისუფლების შეცვლა საჭიროა პირველ რიგში არჩევნების გზით. თუ არჩევნებში მივიდა დიდი უმრავლესობა მოსახლეობისა, შემდეგ ტოტალურად გაყალბდა და საზოგადოებამ დაინახა ეს, ამის მერე მას წინ ვეღარაფერი აღუდგება.

***— დღეს ბევრი იშვერს ხელს ნინო ბურჯანაძისკენ და აცხადებენ, რომ მან მიზანმიმართულად დაარბევინა აქცია ხელისუფლებას, მას სჭირდებოდა ესო. თქვენი აზრით, რამდენად იყო ასე?***

— ასეც რომ იყოს, დღეს ბურჯანაძის დანაშაულზე ლაპარაკი ამორალური საქციელია, როცა ჩვენ წინ არის ხელისუფლების ასეთი ამაზრზენი და ამორალური ქცევა. ასეთ დროს ლაპარაკი ბურჯანაძეზე ყოვლად მიუღებელია, იმიტომ რომ მისი გადაცდომები ვერაფრით მოვა იმ დანაშაულთან, რომელიც ხელისუფლებამ ჩაიდინა.

***— ალბათ, ხალხი ასეთ სისასტიკეს არ ელოდა. იყო საუბრები იმის შესახებ, რომ ხელისუფლება 7 ნოემბრის შემდეგ ასეთ რამეს ვეღარ გაბედავდა, თუმცა, ამას გადააჭარბა...***

— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ დაარბია მოშიმშილე ვეტერანების აქცია, გაიხსენეთ, რა უქნა მოშიმშილე ხალხს. ჩანდა, რომ ისინი აწყვეტილები არიან და უკვე აგონიაში არიან. ამიტომ მეშინოდა მე და ამიტომ მიმაჩნდა, რომ ეს აქციები არ იყო სწორი გზა. ეს კონსტიტუციური გზაა, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას არ ესმის ასეთი რაღაცები. ერთადერთი გამოსავალია, რომ მართლაც ყველა მივიდეს არჩევნებზე და გადაირჩიოს ეს ხელისუფლება. ხალხს ჰგონია, რომ იქ, სადაც არჩევნები არ ჭრის, მიტინგები ჭრის. პირიქითაა, იქ, სადაც მიტინგები არ ჭრის, არჩევნები ჭრის.

***— ხელისუფლება თვლის, რომ ასეთი სისასტიკით გაიმყარებს ძალაუფლებას?***

— არა, ეს აგონიაა უკვე. დარწმუნებული ვარ, ეს შედეგი არც მათ უნდოდათ. მათ უნდოდათ ხალხის დაშინება, მაგრამ ჩვენ აგონიზირებულ და პარანოიზირებულ ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე. ეს არის შეშინებული კაცის პარანოია და აგონია. გაიხსენეთ, სააკაშვილი გორში როგორ გარბოდა. აი, ასეთი გამომეტყველებით მიიღო მან მიტინგის დარბევის გადწყვეტილება. აქ გონიერებასა და რაციონალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია.

***— ღირდა იმ აღლუმის ჩაბარება ამდენ სისხლად?***

— აგონია ხომ ეს არის, ეს აკვიატებული იდეა. ის სხვა რამეზე ვეღარ ფიქრობს, იდეაფიქსი აქვს, თავისი უნდა გაიტანოს შუბლით და ვერავინ უდგება წინ ამ დროს. 7 ნოემბერიც ასე იყო ზუსტად. ეს, იცით, როგორ არის? ფილმებში გვაქვს ნანახი, საშინელებათა ფილმებში, როცა მკვლელი მრავალ ჭრილობას აყენებს მსხვერპლს. რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ ის გამოუცდელი მკვლელია და, როგორც წესი, მან არ იცის, რომ მსხვერპლი უცებ არ კვდება და რომ არ კვდება, იმის შიშით, არ გაცოცხლდესო, ურტყამს და ურტყამს დანას. ეს არის აგონიაში მყოფი ადამიანის ქცევა. სააკაშვილიც ზუსტად ასე იქცეოდა 7 ნოემბერს და ახლაც ესე მოიქცა. აგონიაშია უნდა, როგორმე გააჩეროს ყველა ის მოძრაობა, რომელიც მის გარშემო ტრიალებს.

***— თუმცა, მან საპირისპირო შედეგი მიიღო, რადგან მეორე დღეს უფრო მეტი ხალხი გამოვიდა ქუჩაში.***

— რა თქმა უნდა, ასეა. მერე ყველა მკვლელი ნანობს ჩადენილ დანაშაულს. ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის მმართველი პარანოიკია და მას აქვს ხოლმე ასეთი აგონია ამგვარ სიტუაციებში. ამ დროს გონება ეკეტება და თვალები უბრმავდება.

***— ალბათ, აუცილებელია, რომ დადგეს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი. ისინი მხოლოდ ოპოზიციონერი ლიდერების პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობენ...***

— არ შეიძლება ოპოზიციური ლიდერების პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი. მთელი პასუხისმგებლობა — 100%, 120%-ზე მეტი პასუხისმგებლობა არის მხოლოდდამხოლოდ ხელისუფლებაზე. ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, სააკაშვილი იქნება, პეტრე თუ პავლე, ასეთ დროს მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება. არ შეიძლება, უიარაღო ხალხის მიტინგის დარბევის დროს ასეთი მსხვერპლი მივიღოთ ჩვენ, გამორიცხულია. რაც არ უნდა ჰქონოდათ მათ. იქ არ ყოფილა არც მოლოტოვის კოქტეილი და არც არაფერი, იმ თავის გამოჭერილ აგენტს რომ ალაპარაკეს.

***— ვის გულისხმობთ?***

— გია უჩავას, აშკარად ჩანს, რომ ის აგენტი იყო, ჩასმული იყო ამათთან და ახლა რაც უნდოდათ, ის ალაპარაკეს. ამიტომ, რა გადაცდომებიც არ უნდა ყოფილიყო და როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს ბურჯანაძის მიერ წამოწყებული აქცია, არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი, როცა ხელისუფლების პასუხისმგებლობა არის ასეთი საშინელი და ასეთი თვალშისაცემი.

***— როგორი იქნება ამ შემთხვევაში დასავლეთის რეაქცია?***

— უაღრესად და უკიდურესად უარყოფითი, მაგრამ სააკაშვილს ეს აღარ ადარდებს აშკარად, ამიტომ ჩვენ უნდა გავხდეთ დასავლეთიც და აღმოსავლეთიც, ქართველი ხალხი. დავანებოთ თავი ამ ამერიკელების, რუსებისა და ევროკავშირისკენ ყურებას. მათ არ შეუძლიათ იმაზე მეტის გაკეთება, რასაც აკეთებენ. ჩვენზეა დამოკიდებული ყველაფერი. თუ ამას ავიტანთ, არ მივალთ არჩევნებზე, ან მივალთ და ხმას მივცემთ სააკაშვილს, მაშინ დასავლეთი რატომ უნდა იყოს ჩვენთვის თავგამოდებული?! აი, არაბეთში, სირიაში, ტუნისში, ეგვიპტეში ხალხი თავს წირავს, ათასობით ადამიანი იღუპება და დასავლეთიც ეხმარება მათ, იმიტომ რომ ხედავენ თავგანწირვას. ჩვენთან არანაირი თავგანწირვა არ არის. ყველაზე საშინელი არის ის, რომ ეს დაღუპული ადამიანი, კვინტრაძე, ისე საშინელი ფორმით მოკვდა, რომ ამის გამო მთელ მსოფლიოში ხალხი გარეთ გამოდის, ჩვენთან კი დაკრძალვაზეც კი არავინ მივიდა. ეს ძალიან შემაშფოთებელი სიმპტომებია. აი, ეს არის პასუხი ბურჯანაძისთვის, რომ ხალხი არ არის მზად ამისათვის. ამიტომ ნუ ვწირავთ ხალხს, რომელიც არ არის მზად რაღაცისთვის. ხომ არ შეიძლება, ომში გაუშვა ჯარისკაცი, რომელიც არ არის გაწვრთნილი?! არ შეიძლება, სააკაშვილს შეაკლა ხალხი, რომელიც არ არის ამისთვის მზად. აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილს აღარ ადარდებს დასავლეთის კრიტიკა. ამიტომ ჩვენ ვრჩებით სააკაშვილის ამარა. კეთილი უნდა ვინებოთ და შევცვალოთ. მსოფლიო გვეუბნება: ხალხო, არ მოგწონთ სააკაშვილი? — დემოკრატიული ფორმებით გადაირჩიეთ. გვაჩვენეთ, რომ თქვენ ხართ მობილიზებული და შეგიძლიათ, არჩევნების გზით მოახერხოთ ამ ადამიანის გასტუმრება. ძალიან მნიშვნელოვანია, ვაჩვენოთ დასავლეთს, რომ ჩვენთვის დემოკრატიაზე მაღლა არაფერი დგას.

***— როგორ ფიქრობთ, ასეთი ლიდერი არის დამთმობი არჩევნების გზით რამის?***

— თუ გვაქვს მიტინგის სურვილი, მაშინ გამოვიყვანოთ ხალხი და დავათმობინოთ საარჩევნო გარემო. გადადექი-გადადექი კი არ ვუძახოთ, არამედ — საარჩევნო გარემო. თუ ვერ დავათმობინეთ, მაინც უნდა წავიდეთ არჩევნებზე. რატომ არის ლაპარაკი საარჩევნო გარემოს შეცვლაზე? იმიტომ რომ რვიანი ხედავს, ქართველი საზოგადოება არ არის პოლიტიკურად აქტიური. ამიტომ, რაც უფრო იქნება საარჩევნო გარემო გაუმჯობესებული, მით უფრო ეფექტურად შეიძლება სააკაშვილზე გამარჯვება. თუ არ შეიცვალა საარჩევნო გარემო, მაინც შეიძლება სააკაშვილზე გამარჯვება, ოღონდ მაშინ მაქსიმალური რაოდენობის ხალხი უნდა მივიდეს არჩევნებზე, სულ ცოტა, 80%. ვინც არჩევნებზე მიდის, მას ტყვიას არ უშენენ, გაზით არ წამლავენ, წყალს არ ასხამენ. ეს ცალსახაა. არჩევნებში თუ მიიღებს მონაწილეობას, არავინ იცის, ვის მისცა ხმა და სახლში ბრუნდება მშვიდობით. ამიტომ ისევ და ისევ ხალხისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეა საჭირო, რომ მივიდეს არჩევნებზე. გააყალბებენო. თუ გააყალბებენ, ამით შენ რა გაკლდება, ხომ ცუდად ცხოვრობ, გიჭირს, გშია, მიდი, სცადე, წადი არჩევნებზე, მიეცი ოპოზიციას შანსი, ახლა მაინც რაღაც წარმატებას მიაღწიოს. ჩვენ თვითონ არ მივდივართ არჩევნებზე და შემდეგ ოპოზიციას ვსაყვედურობთ. რა მორალით ვაკეთებთ ამას! წინასწარ არ ყალბდება არჩევნები. არჩევნები ყალბდება მხოლოდ არჩევნების დღეს იმ არმისული ხალხის ხარჯზე. მოდით, ვაქციოთ არჩევნები და დემოკრატიული ქცევები ჩვენს ყოველდღიურ ქცევებად.

***— რა შედეგები და განვითარებები მოჰყვება ამ პროცესებს?***

— დღეს რვიანი კიდევ უფრო გაძლიერებული და შეიარაღებულია, რომ აჩვენოს დასავლეთს, აი, როგორი ხელისუფლება გვყავს ჩვენ. ჩვენ ასეთი ხელისუფლების გაშვება გვინდა, ოღონდ — დემოკრატიული გზით. დასავლეთი ხვდება, რაშია საქმე, საზოგადოებაც ხვდება, რომ ასე თითოოროლა თავგანწირვითა და ერთი პარტიის ინიციატივით არ შეიძლება, საზოგადოება დარტყმის ქვეშ დააყენო. საზოგადოების დიდ ნაწილში მყარდება პოზიცია რვიანის სასარგებლოდ და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში კიდევ უფრო მყარდება სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება, როგორც ავტორიტარი მმართველის მიმართ.

***— ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. როგორ ფიქრობთ, სხვა ლიდერების წინააღმდეგაც ხომ არ აღძრავს ხელისუფლება საქმეებს?***

— არა მგონია. წესით, არ უნდა აწყობდეს. ამ ყველაფერს ერთი ლოგიკა აქვს — რაც შეიძლება მეტი ხალხი უნდა დააპატიმროს, რომ მერე მთელი საზოგადოების ყურადღება გადაიტანოს ამ ხალხის გათავისუფლების მოძრაობაზე, ანუ მთელი ყურადღება წამოიღოს არჩევნებიდან და სხვა აქტივობებიდან აქეთკენ, რათა მთელი საზოგადოება ალაპარაკოს, რა დროს დემოკრატიაა, როცა ამდენი ხალხი გვყავს ციხეშიო. ამიტომ სააკაშვილს სჭირდება, დააპატიმროს რამდენიმე ადამიანი და შემდეგ ამაზე ალაპარაკოს მთელი საზოგადოება, დაავიწყოს, არჩევნები იქნება თუ სხვა მიტინგები. ამაში ლოგიკა არსებობს, რომ ჯერ დააპატიმროს და მერე გაუშვას. დღეს სააკაშვილის მიზანია, ხალხის ყურადღება როგორმე ამ თემებზე გადაიტანოს. ჩვენ კიდევ უნდა ვეცადოთ, ყურადღება არ გადავატანინოთ ამ მიმართულებით და ვაჩვენოთ, რომ ვიცით, სად არის სიმართლე და ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება არის საზოგადოების მობილიზება არჩევნებისათვის. ჩვენ ბოლომდე უნდა მივყვეთ ხელისუფლებას, არაფერი არ უნდა დავუთმოთ და მივალებინოთ ჩვენთვის სასურველი კანონი, თუ გინდა, ეს ოქტომბერში იყოს, როგორც თავად ეშმაკობს და გადააქვს შემოდგომაზე. ახლა არ არის ემოციების დრო. თქვა ხელისუფლებამ ოქტომბერი. მოდით, მკაცრად მოვთხოვოთ, რომ ოქტომბერში სამივე მოსმენით დასრულდეს საარჩევნო კოდექსის მიღება. მაშინ ეს პირობა ჩამოვართვათ მათ და ეს ჩამოვართვათ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, რადგან ხელისუფლებას აწყობს, როგორმე ჩააგდოს ეს პროცესი. ხელისუფლებას აწყობს, რომ საზოგადოებაში შექმნას რვიანის საწინააღმდეგო განწყობა, რომ თქვენ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ. რვიანი უნდა ეცადოს და დააჯეროს საზოგადოება, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელია, ხელისუფლებას ხელიდან გამოგლიჯოს ახალი საარჩევნო კოდექსი. რომც ვერ გამოგლიჯონ, მაინც უნდა განვაგრძოთ გზა არჩევნებისკენ.



თეა მარხვაი ე

**ყოფილი ვიცე-პრემიერი ავთო მარგიანი ამბობს, რომ მოქალაქეთა კავშირი შევარდნა ისთვის დაგებული ხაფანგი იყო. ექს-პრეზიდენტისთვის ხაფანგის დაგებაში ის მამა-შვილ ბუშებსაც ადანაშაულებს. მარგიანის მტკიცებით, ბუშები შევარდნა ისგან ითხოვდნენ, რომ მას საქართველოში ამერიკული ჯარი ჩაეყენებინა, რომელიც ირანს დაარტყამდა.**

# შევარდნაძემ და ბუშებმა შვეიცარიაში იჩხუბეს

## რატომ ვერ გახდა ბადრი პატარკაციშვილი საქართველოს პრემიერი

რა მოხდა შევარდნაძესა და ბუშებს შორის შვეიცარიაში, როგორ იქმნებოდა მოქალაქეთა კავშირი, რა აჩუქა ასლან აბაშიძემ ლოთი ქობალიას, როგორ აღმოჩნდნენ ჩეჩენი ბოევიკები აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ სამტრედიასთან, ამ თემებზე ავთო მარგიანი „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ავთო მარგიანი:**

— ეს ამბები საქართველოს ისტორიაში შავ ლაქად შევა. მე იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენს ქვეყანაში არასდროს აღარ განმეორდება. სამოქალაქო ომზე დიდი საშინელება რა უნდა იყოს. ის მართლაც საშინელი დრო იყო. მე დასავლეთ საქართველოში საგანგებო შტაბს ვხელმძღვანელობდი. კარგად მახსოვს, რა გადაიტანა მაშინ ჩვენმა ხალხმა. მახსოვს ისიც, როგორ მოადგნენ ჩეჩენი ბოევიკები სამტრედიას.

*— საიდან გაჩნდნენ ჩეჩენი ბოევიკები სამტრედიაში?*

— წინა ინტერვიუებში მოგიყევით, როგორ ცდილობდა მოწინააღმდეგე კოდორის ხეობის აღებას. ხეობას ბაგრამიანის ბატალიონი უტევდა. ამ ბატალიონის შემადგენლობაში 2500 კაცი იყო, ძირითადად ჩეჩნები და სომხები. ორივეს თავისი ინტერესი ჰქონდა. სომხებმა იქ ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღეს. ჩეჩნებს კი ეგონათ, რომ გასასვლელს მიიღებდნენ შავ ზღვაზე. კოდორის ხეობიდან არის ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი. იფიქრეს, რომ თუ ამ ხეობას ჩააბარებდნენ აფხაზებს, ისინი მათ შავ ზღვაზე გასასვლელს მისცემდნენ. ხეობის აღება ვერ შეძლეს. ცოცხლად გადარჩენილი ბოევიკები უკან დაბრუნდნენ, ჩეჩნები კი სამტრედიას მოადგნენ. ისინი გამსახურდიას მომხრეების მხარეს იბრძოდნენ.

*— ეს ფაქტი გამსახურდიას მომხრეებს დისკომფორტს არ უქმნიდა?*

— ვერ გეტყვით. მაშინ ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. კომფორტსა და დისკომფორტზე ფიქრისთვის არავის სცხელოდა.

*— ამ თემაზე ლოთი ქობალიასთან ან სხვა მეთაურთან არ გქონიათ მოლაპარაკებები?*

— როგორ არა. ქობალიას ორჯერ შევხვდი და ველაპარაკე. მას არავინ არაფერს ეკითხებოდა.

*— როგორ თუ არ ეკითხებოდა?*

— აი ეგრე. სამაგრელოს მოსახლეობა იყო აჯანყებული. ამაში მათ ვერც გაამტყუნებ. ორჯერ მხედრიონმა და ორჯერ დეშებემ ეს მხარე ააოხრა. ეს ამის გამოძახილი იყო, თორემ სამეგრელო დანარჩენ საქართველოს როგორ დაუპირისპირდებოდა. მათ ეგონათ, რომ მთელი საქართველო სამეგრელოს წინააღმდეგი იყო. ამიტომაც შევთავაზე მე მას საქართველოს პრემიერად ოთარ ფაცაციას არჩევა. ის წარმოშობით ზუგდიდიდან იყო. მისმა გაპრემიერებამ სამეგრელოზე დადებითად იმოქმედა. ეს კუთხე დამშვიდდა და საქართველოშიც ნელ-ნელა სიმშვიდემ დაისადგურა.

*— თქვენ სამეგრელოს აოხრებაზე ჩამოაგდეთ საუბარი და, როგორც ამბობენ, ეს შევარდნაძის ბრძანებით გაკეთდა.*

— ეს სიცრუეა. ედუარდი იმის კაცი არ არის, თავისი ქვეყანის აოხრების ბრძანება გასცეს. თავის დროზე მე მასთან ყველაზე სერიოზულად ვიყავი დაპირისპირებული. ის მოღალატე მეგონა. მერე ერთ-ერთი დიდი ქვეყნის სპეციალური სამსახურის წარმომადგენელმა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მომაწოდა და ჩემი დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ შევცვალე.

*— ეს ერთ-ერთი დიდი ქვეყანა რუსეთი იყო?*

— არა. ამ შემთხვევაში თურქეთზე ვსაუბრობ. მე იქ ძალიან ბევრი ნაცნობი მყავს. ადამიანი, რომელმაც ეს ინფორმაცია მომაწოდა, თურქეთის სადაზვერვო სამსახურში მუშაობს.

*— მის ვინაობას არ იტყვით?*

— არა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ის წარმოშობით ქართველია. მან მომაწოდა დეტალური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გააცურეს შევარდნაძე ბუშებმა.

*— როგორ გააცურეს, ბატონო ავთო?*

— საქართველოს იმ პერიოდში ძალიან უჭირდა ეკონომიკურად. ამერიკის ხელისუფლება ედუარდს დაჰპირდა, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში დაეხმარებოდა. თავიდან თითქოს გვეხმარებოდნენ, მერე უცბად ულტიმატუმი წაგვიყენეს.

*— რა ულტიმატუმი?*

— მოითხოვეს, რომ ირანის წინააღმდეგ საქართველოში ჩაეყენებინათ ჯარი. აი, იქ მოხდა მათ შორის დაპირისპირება. ედუარდმა სცადა, ვითარება გამოესწორებინა. მან გადაწყვიტა, საქართველოს პრემიერად მოეწვია ბადრი პატარკაციშვილი. ის საქართველოში ჩამოიყვანა. ბადრი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ბევრ რამეს აკეთებდა. მას კიდევ ბევრი კარგის გაკეთება შეეძლო და გააკეთებდა კიდეც, მაგრამ ვინ აცალა. ედუარდს შემოუტრიალდნენ და ვარდების რევოლუცია მოუწყვეს. თქვენ რა გგონიათ, შევარდნაძეს არ შეეძლო მათი დაშლა ან განეიტრალება? ძალიან კარგად შეეძლო, მაგრამ არ გააკეთა, იმიტომ რომ სისხლის დაღვრა არ სურდა. ამიტომ გადადგა. ბადრი, იცოდეთ, რომ ძალიან კარგი კაცი იყო. მასაც სერიოზული შეცდომა დააშვებინეს ვითომ ოპოზიციონერებმა. პრეზიდენტობაზე კენჭი არაფრით არ უნდა ეყარა ცხონებულს. იცოდეთ ყველამ, რომ ის საქართველოს გულისთვის დაიღუპა. პოლიტიკაში ძალიან ბევრი საშიში ხალხია თავმოყრილი. ასეთი ხალხის „პარადი" საქართველოში 1995 წლიდან დაიწყო. მხედველობაში მოქალაქეთა კავშირი მაქვს. ეს იყო მასონური მოძრაობა. ედუარდი ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე. მან მოქკავშირში გაწევრიანება მე, ვალერი კვარაცხელიასა და ვახტანგ გოგუაძესაც შემოგვთავაზა. ჩვენ უარი ვუთხარით. სხვადასხვა მიზეზი დავასახელეთ, მაგრამ მთავარი არ გვითქვამს.



*— რა იყო მთავარი მიზეზი?*

— მოქკავშირი მასონების მოგონილი იყო. ეს პარტია იმისთვის შეიქმნა, რომ ედუარდი მახეში გაებათ. ეს კარგად გამოუვიდათ. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ედუარდი მასონებს შევატოვეთ. აბა, შევხედოთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას. ვინც კი ხელისუფლებაში რამეს წარმოადგენს, ყველა მოქკავშირის წევრი იყო. მე, იცით, რაზე მეცინება? ღელე ტბიდან გამოედინება და ტბას დასცინოდაო. ერთი ტბიდან მოდის ყველა. ეს ღელეები როგორ გაიწმინდა ისე, რომ იმ ტბაზე კარგი არ არიან. ნაციონალური მოძრაობა გაწურული მოქკავშირია. მოქკავშირის ავი ზრახვები პოლიტიკოსების ნაწილმა მალე შეამჩნია.

*— ვინ შეამჩნია ეს ავი ზრახვები?*

— ლეიბორისტები რომ გახდნენ, იმათ. ასევე მემარჯვენეებმა. რესპუბლიკურ პარტიას რაც შეეხება, ის მოქკავშირზე უარესი იყო ყოველთვის.

*— რესპუბლიკელებს რაღას ერჩით?*

— რესპუბლიკელებს არაფერს ვერჩი. მე იქ პიროვნულად ბევრს ვცემ პატივს, თუნდაც ავილოთ თინა ხიდაშელი. ის გადასარევი ადამიანია. ბევრი ღირსეული პიროვნებაა ამ პარტიაში. მათ ჯერ კიდევ არ იციან, სად არიან.

*— მაინც სად არიან?*

— რესპუბლიკური პარტია საქართველოში ყველაზე დიდი მასონური ორგანიზაციაა. მეორე ადგილზეა მოქალაქეთა კავშირი, რომელსაც მე თავიდანვე მოქაქეთა კავშირი დავარქვი. ჩემი ვარაუდი გამართლდა.

*— რა კატეგორიის ხალხი იყრიდა იქ თავს? როგორ ხდებოდა პარტიაში ხალხის მიღება?*

— მოქკავშირში თავი მოიყარა სამი კატეგორიის ხალხმა. პირველ კატეგორიაში შედიოდნენ დასავლეთში მასონური პროგრამით დაპროგრამებული ხალხი. მეორე კატეგორიას ედუარდის გამბრუებლები წარმოადგენდნენ. მესამე კატეგორიაში გულუბრყვილო ადამიანები შედიოდნენ. გავიხსენოთ, რამდენ რამეს გვპირდებოდა ეს მოქალაქეთა კავშირი. აკეთებდნენ ხმაურიან განცხადებებს, ხალხს ათას რამეს ჰპირდებოდნენ. ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ ვინც ამდენ რამეს გპირდება, არაფერს გააკეთებს. ამ მხრივ ქართველი ერი ძალიან გულუბრყვილო და მიმტევებელია. ჯერ სჯერათ, რომ დანაპირები შესრულდება. როცა ნათელი ხდება, რომ დანაპირებს არავინ შეასრულებს, ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას არაფერს სთხოვენ. გარწმუნებთ, ასე დიდხანს არ გაგრძელდება. ამას წერტილს ჩვენ დავუსვამთ.

*— ვინ თქვენ?*

— პოლიტიკურ მოძრაობა „ერთიან საქართველოს" მოგროვილი გვაქვს 437 ათასი ხელმოწერა, სადაც ვითხოვთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს სპეციალური მუხლი ხალხის დანაპირების შეუსრულებლობისათვის.

*— ეს ხელმოწერები ხომ დიდი ხანია, რაც მოაგროვეთ. რატომ არ შეგაქვთ იქ, სადაც საჭიროა?*

— მხოლოდ მოგროვება და შეტანა ხომ ამ არის საქმე.

*— აბა, რა არის საქმე? ელოდებით რამეს, ბატონო ავთო?*

— საქმე ის არის, რომ ჩვენ სათანადო მომენტს ველოდებით.

*— რა მომენტს ელოდებით?*

— უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენს წინადადებას ვინმე განიხილავს.

*— ახლა რადგან თავს იკავებთ, გამოდის, რომ ამის იმედი არა გაქვთ?*

— ახლა ვინ რას განიხილავს. დადგება დრო და ამ ხელმოწერებს შევიტანთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ინიციატივას მთელი საქართველო დადებითად შეაფასებს. განსაკუთრებით კმაყოფილი პატიოსანი ხალხი დარჩება, რომლის მოტყუებასაც არაფერი არ უნდა.

*— პოლიტიკოსები თქვენს ინიციატივას როგორ შეხვდებიან?*

— წესით, ეს პოლიტიკოსებსაც უნდა მოეწონოთ. თქვენ რა გგონიათ, რომ პარლამენტსა და მთავრობაში პატიოსანი ხალხი არ არის? არის და თანაც რამდენი. ისეთი კარგი ოჯახებიდან არიან. უბრალოდ, სხვა გამოსავალი არა აქვთ და პარლამენტში არიან. თქვენ რა გგონიათ, ამათ არ უჭირთ? ძალიან უჭირთ.

*— გაჭირვებაში მატერიალურ გაჭირვებას არ უნდა გულისხმობდეთ...*

— არა, მატერიალურად არ უჭირთ. სინდისი ქენჯნით, მაგრამ წასასვლელი არა აქვთ. მატერიალურად ხალხს უჭირს ძალიან. მოსახლეობის 87 პროცენტი ძალიან არის გაჭირვებული. ასეთი გაჭირვება ქართველ ერს კარგა ხანია არ განუცდია. დამიჯერეთ, ჯალალ ედ დინისა და თემურ ლენგის დროსაც არ იყო საქართველო ასეთი გაჭირვებული.

*— როდემდე გაგრძელდება ასეთი გაჭირვება?*

— მანამდე მარტო იყოს ჩვენი მტერი, ვიდრე საქართველოს მწვალებლებს პასუხი არ მოეთხოვებათ. პასუხი ყველას მოეთხოვება — მოქკავშირსაც და გაწურულ მოქკავშირსაც.

*— რადგან ისევ მოქკავშირი ისევ ვახსენეთ, მოდით, „აღორძინებაც" გავიხსენოთ. ეს ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთთან იყო დაპირისპირებული. როგორ შეიქმნა აღორძინება?*

— ჩემი აზრით, აღორძინების შექმნა სწორი გადაწყვეტილება იყო. ასლან აბაშიძე ძალიან ჭკვიანი ადამიანი გახლავთ. იმ ცუდ დროში თუ სადმე რამე შენდებოდა, ეს იყო აჭარა. „აღორძინება" იყო ყველაზე კარგი პოლიტიკური პარტია საქართველოში. აჭარაში კი დანარჩენ საქართველოსთან შედარებით ცხოვრების ექვსჯერ მაღალი დონე იყო. ეს ასლან აბაშიძის დამსახურება იყო. მე ამაგს ვერც აჭარლებს დავუკარგავ. აჭარლებისნაირი მშრომელი ხალხი საქართველოში არ არსებობს. ბავშვობაში პირველი ქართველები სვანები მეგონა. ქიზიყელების სიძე რომ გავხდი, სვანები მეორე ადგილზე გადავიდნენ. მესამე ადგილზე მაშინ გადავიყვანე სვანები, როცა ქვემო ქართლში აჭარიდან ეკომიგრანტები ჩამოვასახლეთ. მათ იქ სასწაული მოახდინეს.

*— მაინც რა გააკეთეს ასეთი?*

— სასწაული, რაც მანამდე არავის ჰქონია გაკეთებული. მოსავლის აღებაში საბჭოთა კავშირის დროს ჩემპიონები აზერბაიჯანელი ქალები იყვნენ. ერთმა აჭარელმა მანდილოსანმა მათ ორჯერ გაუსწრო. ერთ ჰექტარზე 70 ტონა პომიდორი მოიყვანა. საოცარი სოფლები გააშენეს.

*— თქვენ აბაშიძე დადებითად მოიხსენიეთ. არადა, როგორც ჩვენი ხელისუფლება ამტკიცებს, მან აჭარა საქართველოს ფაქტიურად მოსწყვიტა.*

— რა მოსწყვიტა საქართველოს? ეს როგორ შეიძლება! ეს მთელ საქართველოს მაგალითს აძლევდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო აღმშენებლობა. მის წინააღმდეგ საშინელი კამპანია იყო გაჩაღებული. ეს შეგნებულად კეთდებოდა.

*— ვინ ან რატომ აკეთებდა ამას შეგნებულად?*

— გარკვეული ძალები ცდილობდნენ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა დანარჩენი საქართველოსთვის დაეშორებინათ. ცდილობდნენ, რომ აბაშიძე არ ჩამოსულიყო თბილისში.

*— ოფიციალურად აუკრძალა მას ვინმემ თბილისში ჩამოსვლა?*

— არა, მაგრამ მის წინააღმდეგ ბევრი რამ იგეგმებოდა.

*— რა იგეგმებოდა?*

— როგორც მე გამიგია, მისთვის ტერორისტული აქტის მოწყობა სურდათ.

*— ეს მართალია?*

— მგონი, მართალია. კარგად მახსოვს, როგორ შევხვდი ასლანს. ჩვენი შეხვედრა ანაკლიაში კატერზე შედგა. იმ შეხვედრის დროს აბაშიძემ ლოთი ქობალიას პისტოლეტი აჩუქა. იმას „აბოიმა" ძირს დაუვარდა. მეორედ ჩვენი შეხვედრა სენაკის აეროპორტში შედგა. მე ის მენდობოდა. ის ძალიან კარგი მმართველი იყო. ჩემი თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ აჭარლებს.

*— ახლა ამბობენ, რომ ასლან აბაშიძის დრო ჯობდა. მაშინ ამბობდნენ, რუსეთს მიჰყიდა აჭარაო....*

— ვაიმე. რა რუსეთს მიჰყიდა! იცით, რამდენი ხანია, სვანეთში კოშკებს ვყიდი, მაგრამ არავინ ყიდულობს. ასევე ყიდდა აბაშიძე აჭარას. საქართველო არც ედუარდს გაუყიდია. ვიღაცები ახლა რაღაცებს აბრალებენ, მაგრამ ყველაფერი ტყუილია. მე მასზე ისეთი რამეები მითხრეს, ხალხმა რომ გაიგოს, გადაირევიან. ედუარდს საქართველოსთვის კარგის გაკეთება უნდოდა, მაგრამ ბუშებმა გადააგდეს. ამის გამო მათთან ედუარდს კინაღამ ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოუხდა.

*— ვის და ვის მოუხდათ ფიზიკური შეხლა-შემოხლა?*

— ედუარდსა და მამა ბუშს შორის მოხდა ეს დაპირისპირება. ბუში აწვებოდა, გინდა თუ არა, ირანის წინააღმდეგ ჩააყენე ჯარიო. ედუარდი არ დათანხმდა, იმიტომ რომ, ირანის წინააღმდეგ თუ რამე დაიწყება, ჩათვალეთ, რომ საქართველო აღარ იქნება. შევარდნაძე ჭკვიანი კაცია და ამას არაფრით დაუშვებდა. არც დაუშვა. ბუშებთან კი მაგარი ჩხუბი მოუვიდა. ამხელა ხალხმა კინაღამ ერთმანეთზე გაიწია.

*— თუ ასეთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი, ამის შესახებ რატომ არაფერი ითქვა აქამდე?*

— ასეთ რამეებს ხმამაღლა როდის ყვებიან. ასეთი ინციდენტები საიდუმლოდ რჩება.

*— თქვენ საიდან გაიგეთ ამ ინციდენტის შესახებ?*

— რუსეთის ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მიამბო.

*— ისე, მათ შორის ფიზიკური დაპირისპირება რომ მომხდარიყო, ვინ აჯობებდა?*

— რა თქმა უნდა — ედუარდი. კიდევ კარგი, ასეთი რამე არ მოხდა, თორემ ორივე ბუში უკვე დავიწყებული იქნებოდა.

*— რატომ იქნებოდა დავიწყებული?*

— იმიტომ რომ იღბალი აქვს ასეთი. ვინც ედუარდს დაუპირისპირდა, ისინი ან ციხეში არიან, ან საფლავში. ასე რომ, ბუშები ბეწვზე არიან გადარჩენილი.

*— მათ შორის დაპირისპირება ბოლოს როგორ დასრულდა?*

— ბუშებმა შვეიცარია დატოვეს. შევარდნაძემ ისინი შვეიცარიიდან გაყარა.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის,
ბილაინის აბონენტებმა
დარეკეთ ნომერზე
700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ჩემი წყობილებიდან გამოყვანა შეუძლებელია

## რამდენჯერ გადმოვარდა დეპუტატი ჩივიაშვილი მოტოციკლეტიდან

ნანა მიშელაშვილი

**გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ჩივიაშვილი ამბობს, რომ ფიცხი არ არის და ემოციების ფონზე არასოდეს იღებს გადაწყვეტილებას.**

გიორგი ჩივიაშვილი იხსენებს, რომ სკოლაში ჩვეულებრივი ბავშვი იყო, თუმცა, არ მალავს, რომ დაფაზე „მასტიკაც" წაუსვამს და „დიმაუშკაც" აუფეთქებია. დეპუტატი ირწმუნება, რომ სკოლის პერიოდში ორიანი არ მიუღია, თუმცა, მაინცდამაინც არ უყვარდა ფიზიკა და ხაზვა.

გიორგი ჩივიაშვილი ამბობს, რომ ბავშვობაში განსაკუთრებით უყვარდა მოტოციკლეტი და რამდენიმე მოტოციკლეტი აქვს „გაცვეთილი".

აღვიძებდნენ თუ არა გამგებლობის დროს კახელები ჩივიაშვილს დილის 6 საათზე, როგორი თამადაა და გაუძევებია თუ არა ვინმე სუფრიდან?

**„ახალი თაობა" გიორგი ჩივიაშვილს ესაუბრა.**

— ***საიდან ხართ ჩივიაშვილები?***

— ჩივიაშვილები კახეთიდან ვართ, მე-16-17 საუკუნეებშია მოხსენებული, სოფელ ფხოველიდან ჩასახლდნენ სოფელ არაშენდაში.

— ***დიდი გვარი ხართ?***

— არა, დიდი გვარი არ არის.

— ***საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— მე მგონი, არ გვქონია.

— ***საგვარეულო გერბი გაქვთ?***

— არა.

— ***როგორი ბავშვი იყავით?***

— ჩვეულებრივი.

— ***ცელქი არ იყავით?***

— ცელქი ვიყავი, ვერ ვიტყვი, რომ უმოძრაო ბავშვი ვიყავი, მაგრამ სიცელქე სითავხედეში არ გადასულა.

— ***მასწავლებლის კლასში არაფერი „გაგიჩალიჩებიათ"?***

— არ ვიცი, რას გულისხმობთ „გაჩალიჩებაში", დაფაზე „მასტიკის" წასმას თუ გულისხმობთ, წამისვამს.

— ***„დიმაუშკა" აგიფეთქებიათ?***

— კლასელებთან ერთად ამიფეთქებია. ძალიან ცუდი სუნი ჰქონდა.

— ***ამის გამო მშობლები სკოლაში არ დაუბარებიათ?***

— ალბათ, დაუბარებიათ, მაგრამ ამის გამო განსაკუთრებულად ვინმეს რომ დავესაჯე, არ მახსოვს.

— ***მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— როგორ არა? ვხმაურობდი და ამიტომ გამაგდო.

— ***მხოლოდ ხმაურის გამო გაგაგდოთ?***

— მე მგონი, ვხმაურობდი და ამის გამო გამაგდო. შემდეგ გაკვეთილზე ჩვეულებრივად მიმიღო.

— ***რომელი საგნის მასწავლებელმა გაგაგდოთ?***

— ისტორიის.

— ***ისტორია არ გიყვარდათ?***

— როგორ არ მიყვარდა, მაგრამ ბავშვობაში ხშირია, როდესაც ხმაურობ, გადაილაპარაკებ და ორი შენიშვნის შემდეგ მასწავლებელი გარეთ გიშვებს.

— ***ორიანი რომელ საგანში გაქვთ მიღებული?***

— ორიანი მიღებული არა მაქვს.

— ***არ არსებობს ბავშვი, ორიანი რომ არ მიუღია...***

— მართალა არა მაქვს მიღებული ორიანი და როგორ ვთქვა, რომ მიღებული მაქვს.

— ***ისეთი საგანი იყო, რომელიც არ გიყვარდათ და მხოლოდ-დამხოლოდ ნიშნის გამო სწავლობდით?***

— ფიზიკა და ხაზვა არ მიყვარდა.

— ***სკოლა სად დაამთავრეთ?***

— გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში, თუმცა, თავიდან თბილისში ვსწავლობდი.

— ***„შატალოზე" სად დადიოდით?***

— ბევრი ადგილი იყო, სადაც შეიძლებოდა წავსულიყავით, თბილ ამინდებში ტბაზე მივდიოდით.

— ***თბილისში იპარებოდით?***

— რამდენიმე მეგობართან ერთად თბილისში მოვდიოდით, რაღაც პერიოდი თბილისში ვსწავლობდი და მეგობრები აქაც მყავდა.

— ***სპორტის რომელიმე სახეობაზე დადიოდით?***

— არა. ჩემი გატაცება იყო მოტოციკლეტი და ბავშვობაში რამდენიმე მოტოციკლეტი მაქვს „გაცვეთილი". ძალიან ვიყავი მოტოციკლეტით გატაცებული.

— ***მოტოციკლეტიდან გადმოვარდნის გამო ხელ-ფეხი მოტეხილი ხომ არა გაქვთ?***

— არა.

— ***მოტოციკლეტიდან არასდროს გადმოვარდნილხართ?***

— როგორ არ გადმოვვარდნილვარ, ძალიან ბევრჯერ წავქცეულვარ, მაგრამ, ისეთი ტრავმა არ მიმიღია, რომ დასამახსოვრებელი ყოფილიყო.

— ***ბავშვობაში ვინმესთვის თამაშის, ჩხუბის დროს თავი გაგიტეხიათ?***

— ჩხუბის დროს, ალბათ, ვინმე დამიზიანებია და მეც დავზიანებულვარ, მაგრამ ის, რომ თამაშის დროს თავი ვინმესთვის გამეტეხოს, ასეთი რამ არ ყოფილა.

— ***მოტოციკლეტის გარდა, სხვა რაიმე გატაცებები გქონიათ ბავშვობაში?***

— არა, სხვა რაიმე განსაკუთრებული არ მქონია, მიყვარდა მოტოციკლეტი და მანქანა. სხვათა შორის, სულ ვვარჯიშობ, სპორტდარბაზში დავდივარ და აუზზე.

— ***მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— არა. შეიძლება ითქვას, რომ სპილომ დამაბიჯა ყურზე ფეხი, მაგრამ მუსიკის მოსმენა ძალიან მიყვარს.

— ***ძირითადად როგორ მუსიკას უსმენთ?***

— ვუსმენ ყველაფერს, რაც მომწონს. რომ ამბობენ, განსაკუთრებით ვუსმენ ჯაზს, როკსო, ასე არა ვარ, ვუსმენ ყველაფერს, რაც მომწონს. აკვიატება არა მაქვს, რომ ამ ჟანრს უნდა ვუსმინო და ამას — არა.

— ***რამდენიმე დეპუტატმა თქვა, რომ სუფრასთან 5-6-7 ლიტრის დალევა შეუძლია. თქვენ თუ ითვლებით მსმელ ადამიანად?***

— მე არ ვიცი, კატეგორიას როგორ განსაზღვრავენ, ვინ არის მსმელი და ვინ — არა. რომ ვთქვა, არ ვსვამ-მეთქი, ასე არ არის, ვსვამ, ოღონდ ზომიერების ფარგლებში. იმდენს ვსვამ, რომ არ გადავთვრე. 6-7 ლიტრი ცოტა ბევრი მეჩვენება, ამდენს ნამდვილად არ ვსვამ.

— ***არაშენდაში განსხვავებული სასმელი რომელია?***

— რაც ყველგან არის.

— ***კრამიტით დაგილევიათ?***

— არა, კრამიტით ნამდვილად არ დამილევია.

— ***განსხვავებული სასმისით არ დაგილევიათ ღვინო?***

— როგორ არ დამილევია, დიდი ჭიქით, თიხის ფიალით დამილევია. კახეთში დაბადების დღეზე ან სხვა სუფრაზე როდესაც მოხვდები, განსხვავებულით თუ არ დალიე, ჩაგითვლიან, რომ ღვინო დაუწუნე. საერთოდ, ერთ რაღაცას ვიტყვი — ამბობენ, რომ კახეთში ძალიან უყვართ განსხვავებული სასმისები, მაგრამ მაინცდამაინც არ უყვართ.

— ***ე.ი. კახელებს ამას აბრალებენ?***

— დასავლეთ საქართველოში უფრო ბევრი განსხვავებული სასმისი მინახავს, ვიდრე კახეთში. კახეთში უყვართ კარგი ღვინით დიდხანს ქეიფი. კახური ღვინო დიდი სასმისით რომ დალიო, მაქსიმუმ 15 წუთი გაუძლო. შესაბამისად, ქეიფი არ გამოვა. ეს იქნება დათრობა და წასვლა.

— ***საქეიფოდ როგორი ღვინო გირჩევნიათ?***

— ტანინიანიც მიყვარს, მსუბუქი ღვინოც, გააჩნია სიტუაციას. როგორც წესი, ამბობენ, რომ ცუდი ღვინო არ არსებობს, მაგრამ, მე მიმაჩნია, რომ ცუდი ღვინო არსებობს.

— ***პირადად თქვენ ღვინო დაგიყენებიათ?***

— მე არ დამიყენებია, მაგრამ ვიცი, როგორ კეთდება. ჩემს ოჯახში პაპაჩემიც აყენებდა ღვინოს და მამაჩემიც. ყურძენი დამიწურავს და პროცედურები ვიცი. არ არსებობს კახელი, რომელსაც ყურძენი არ დაეკრიფოს და არ დაეწუროს. შესაძლოა,



ღვინისთვის მე არ მომივლია, თუმცა, ესეც ვიცი, როგორ უნდა მოვურიო.

— ***არაყს სვამთ?***

— არა, არაყს არ ვსვამ, შესაძლოა, საღამოს ბარში ვისკი დავლიო.

— ***როგორი თამადა ხართ?***

— მაინცდამაინც განსაკუთრებული თამადა არა ვარ.

— ***გამგებელი როდესაც იყავით, თამადობა ხშირად გიწევდათ?***

— არა, ხშირად არ მიწევდა, სუფრასთან როდესაც ვარ, მირჩევნია, უფრო მეტად ვისიამოვნო, ვიდრე რაღაც ვალდებულება მქონდეს აღებული.

— ***რა, თამადობა ვალდებულებაა?***

— მიმაჩნია, რომ ამ დროს ადამიანი დაძაბულია, საკუთარი თავის კონცენტრირებას ახდენს. რა ჯობია იმას, როდესაც თამადა სადღეგრძელოს ამბობს და შენც იმ სადღეგრძელოს დალევ.

— ***როგორი თამადა ხართ, მკაცრი თუ ლმობიერი?***

— თამადა და სიმკაცრე ცოტა ისეთი რამ არის. თამადა მკაცრი არ უნდა იყოს.

— ***სუფრიდან არავინ გაგიძევებიათ?***

— არა, არა, სხდომათა დარბაზი ხომ არ არის, რომ ვინმე გააძევო.

— ***არადა, ზოგიერთისგან მსმენია, რომ სუფრიდან ამრევი გაუძევებიათ...***

— არ ვიცი, როგორ უნდა უთხრა ადამიანს, ადექი და სუფრიდან წადიო. სადაც ვიყავი თამადა, ყველა კარგად იქცეოდა. ხშირად არ ვყოფილვარ თამადა, მაგრამ, რამდენჯერაც ვყოფილვარ, ნორმალურად დასრულებულა ის სუფრა.

— ***თამადებს თავიანთი საფირმო სადღეგრძელოები აქვთ. ასეთი სადღეგრძელო თქვენს „არსენალში" შემონახული გაქვთ?***

— არა.

— ***ისე დამთვრალხართ, რომ მეორე დღეს არ გხსომებიათ, რა მოხდა სუფრასთან?***

— არასოდეს. სულ მიკვირს, როდესაც ამბობენ, ისე დავთვერი, არ მახოვს, რა მოხდაო. როგორ უნდა დათვრე ისე, რომ მეორე დღეს არაფერი გახსოვდეს, არ მესმის.

— ***კახეთში ხუმრობენ, რომ გურჯაანელებს თელაველები არ გიყვართ და პირიქით. მართალია თუ არა?***

— ეს ისეთივე ხუმრობაა, როგორი ხუმრობებიც არსებობს ამ ქვეყანაში. არც ერთ შემთხვევაში ასეთი დამოკიდებულება არ არის. არის რაღაც ლეგენდები, ხუმრობები, მაგრამ, ალბათ, ეს უფრო შეჯიბრებაა ამ ორ რაიონს შორის. მაგალითად, ხშირად ყოფილა, სვანსა და მეგრელზე მომისმენია ანეკდოტი და მერე გადაკეთებული გურჯაანელსა და თელაველზე. იმასაც გეტყვით, რომ გურჯაანელებმა გამოაცხვეს ერთი ანეკდოტი: ერეკლე გურჯაანელი იყო, თელავში ოფისი ჰქონდა და სამუშაოდ დადიოდა. ასეთი თბილი და სასიამოვნო ტიპის პაექრობაა ამ ორ რაიონს შორის. მთავარია, ეს სხვა რაღაცაში არ გადაზრდილა.

— ***გურჯაანის გამგებელი როდესაც იყავით, იმ პერიოდში გურჯაანელებმა თელაველებს რა გაუკეთეთ?***

— ეს, უბრალოდ, დაემთხვა, გურჯაანში წრე იყო, სადაც თელაველები მეორე მხრიდან არასწორად გადიოდნენ, რაღაც ეს დათქმა ჰქონდათ, რომ ასე უნდა გაევლოთ. ისე დაემთხვა, რომ გამყოფები, შადრევანი გაკეთდა და ახლა თელაველები იძულებული არიან, ისე გაიარონ, როგორც გურჯაანელები დადიან.

— ***როგორი სტუდენტი იყავით? რა პროფესიის ხართ?***

— სამართალმცოდნე ვარ. ჩვეულებრივი სტუდენტი ვიყავი.

— ***რომელიმე დეპუტატი თუ იყო თქვენი ლექტორი?***

— არა.

— ***თქვენი კურსელი ამ პარლამენტში ვინმე არის?***

— არა, პარლამენტში არ არის, აღმასრულებელ ხელისუფლებაში — კი.

— ***მინისტრებს შორის ვინმე არის თქვენი კურსელი?***

— არა, თუმცა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობაზე არიან.

— ***ამ პარლამენტში რომელიმე დეპუტატთან ნათესაური კავშირი გაქვთ?***

— არა.

— ***გურჯაანის გამგებელი რამდენი ხანი იყავით?***

— წელიწად-ნახევარი.

— ***როგორი გამგებელი იყავით, თანამშრომლებს ხშირად უყვიროდით?***

— საერთოდ, ვცდილობ, არასდროს არავის დავუყვირო. გამგეობაში არაჩვეულებრივი ადამიანები დამხვდნენ და რატომ უნდა მეყვირა.

— ***გამიგია, რომ ზოგიერთი გამგებელი თანამშრომლებს მობილურ ტელეფონს ან რაღაც ნივთებს ესვრის...***

— ტელეფონი ნამდვილად არავისთვის მისვრია. შესაძლოა, ვიღაცისთვის ხმამაღლა რაღაც მითქვამს და გავბრაზებულვარ. გამგებლობა მარტივი არ არის, შესაძლოა, რაღაც მომენტში ნერვები დაგეძაბოს, მაგრამ არ უნდა გიმტყუნოს, თან გამგებლად ქუჩიდან არ მივსულვარ, მანამდე ვმუშაობდი პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში, უშიშროების სამინისტროში. თავიდანვე ვცდილობდი, არავისთან კონფლიქტში არ ვყოფილიყავი.

— ***გამგებლად მუშაობის დროს ადამიანები ისეთ საკითხებზე თუ მოდიოდნენ, რომლებიც გამგებელს არ ეხებოდა?***

— ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანები ისეთ რაღაცას გთხოვდნენ, რაც გამგებლის კომპეტენციის ფარგლებს სცდებოდა, არ ყოფილა. საერთოდ, კახელები დინჯი და ჩამოყალიბებული ხალხია.

— ***უბრალო რამეზე გამგებელს არ აწუხებდნენ?***

— არა.

— ***არც ღამეული სატელეფონო ზარები ყოფილა, რომ ვინმეს გაეღვიძებინეთ?***

— ზოგადად, რაიონებში ადამიანები ძალიან ადრე იძინებენ და ძალიან ადრე იღვიძებენ. როდესაც სახლში ღამის პირველ-ორ საათზე მიდიხარ და ცდილობ, ცოტა გამოიძინო, ამ დროს კი დილის 6 საათზე გირეკავენ და გეკითხებიან, სამსახურში ხარო, ეს ჩვეულებრივი მომენტია რაიონისთვის. ადამიანი იღვიძებს ადრე და თვლის, რომ შენც გღვიძავს, სამაგიეროდ ის საღამოს 8-9 საათზე იძინებს.

— ***ამის გამო არ ბრაზდებოდით?***

— ღამის სამ საათზე რომ დაიძინებ და დილის 6 საათზე გაგაღვიძებენ, მერწმუნეთ, ყველა გაბრაზდება, მაგრამ უნდა მოითმინო.

— ***საერთოდ, ფიცხი ხართ?***

— ფიცხი არა ვარ, არასოდეს ვიღებ გადაწყვეტილებას ემოციების ფონზე.

— ***თქვენი წყობილებიდან გამოყვანა ძნელია?***

— მარტივი არ არის. რაღაც სასწაული უნდა გააკეთონ, რომ გავგიჟდე. შეიძლება, წყობილებიდან გამოვსულვარ, მაგრამ არასოდეს მიმიღია გადაწყვეტილებები ემოციის ფონზე არც პირად ცხოვრებაში და არც სამსახურში.

— ***ოჯახი გყავთ?***

— ჩემი ოჯახია მშობლები, ძმა, ძმისშვილი...

— ***დაოჯახებული არა ხართ?***

— არა.

— ***კახეთში გამგებელი როდესაც იყავით, ალბათ, სასურველ სასიძოდ ითვლებოდით. კახელებმა როგორ გამოგიშვეს?***

— არ ვიცი, რად ვითვლებოდი, მაგრამ ჯერ დაოჯახებული არა ვარ.

— ***რაიმე ნივთებზე მიჯაჭული თუ ხართ — მობილურზე, აქსესუარებზე?***

— არა. ჩემი მობილური არის ორკარტიანი, პრაქტიკული, არც ისე ძვირიანი.

— ***რაც დეპუტატი გახდით, ტელეფონის ნომერი შეიცვალეთ?***

— არა.

— ***გამგებლობის დროინდელი ნომერი გაქვთ?***

— უფრო ადრინდელი, 2002 წელს რომ ნომერი მქონდა, ის ნომერი მაქვს.

— ***საჩუქრებს თქვენ უფრო ხშირად ჩუქნით სხვას თუ თქვენ უფრო ხშირად გჩუქნიან?***

— ალბათ, მე უფრო ხშირად ვჩუქნი სხვას.

— ***თქვენ რა მიიღეთ ბოლოს საჩუქრად?***

— სუნამო.

— ***ვისგან?***

— ჩემი მეგობრისგან.

### განცხადება!

**2911 წლის 8 ივნისს, ხუთშაბათს, 13 საათზე ჩატარდება საქართველოს ტექნოლოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო-ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული ინსტიტუტის სტუდენტთა მე-29 საიუბილეო ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია.**

**გარდა ინსტიტუტის სტუდენტებისა, მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. პრიზიორები დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.**

**კონფერენციის ორგანიზატორია აკადემიკოსი გრიგოლ ჯანხოთელი.**

**მისამართი: თამარაშვილის №15ა, ლტოლვილთა სამინისტროს შენობის მეორე სართული.**

**საორგანიზაციო კომიტეტი**

# გია თორთლაძეს ურჩევნია, თავის ცოდვებს მიხედოს!

## რა იციან მემარჯვენეებმა დეპუტატის წარსულზე

შორენა კოწოწაშვილი

**„ახალი მემარჯვენეები“ სკეპტიკურად უყურებენ გია თორთლა ის ინიციატივით მიღებულ თავისუფლების ქარტიას და ეჭვი ეპარებათ, რომ ბურჯანა ე საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა.**

აქვს თუ არა სააკაშვილს ორმაგი სტანდარტი რუსეთთან მიმართებით და შემოდის თუ არა ხელისუფლების რიგებში ოკუპანტი ქვეყნიდან ფული? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მანანა ნაჭყებიასთან.

*— ქალბატონო მანანა, 26 მაისის უმძიმესი ფაქტიდან რამდენიმე დღე გავიდა. როგორ ფიქრობთ, დასრულდა ხელისუფლების ანგარიშსწორება? მოვლენების უფრო რთულ განვითარებას ხომ არ უნდა ველოდეთ?*

— პროცესის რაღაც ეტაპი დასრულდა. სამწუხაროდ, დასრულდა ისე, რომ არავინ, არც ერთი პოლიტიკური ძალა, არც ერთი მხარე ამ მოვლენებისა არ დარჩა მოგებული. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ ვითარებაში ჩვენი ქვეყანა დამარცხდა. საქართველომ დემოკრატიის განვითარების გზაზე უკან კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მე ვფიქრობ, რომ ამ პროცესებს ნეგატიური გამოძახილი ექნება. ეს ამით არ დამთავრდება. თუმცა, ყველაზე ნეგატიური, რაც უნდა მომხდარიყო, მოხდა. სამწუხაროდ, ეს, პირველ რიგში, ოპოზიციისთვის მოხდა. ეს უნდა ვაღიაროთ და ვთქვათ, იმიტომ რომ არასოდეს ასეთი მკაცრი შეფასებები არ ყოფილა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ბოლო პერიოდში მაინც განსაკუთრებით, თქვენ თუ შეადარებთ, როგორც ეს გაკეთდა ელჩების მხრიდან 26 მაისის შემდეგ. მიხეილ სააკაშვილს 7 ნოემბრის ძალიან სასტიკი დარბევის შემდეგ და 15 ივნისის სასტიკი დარბევის შემდეგ ასეთი ძალით არ გამოუყენებია ძალადობა თავის ხალხზე. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ეს არ იყო აქციის დაშლა. ეს იყო დემონსტრირება ქართველი საზოგადოებისთვის იმისა, რომ ვინც შემდეგში გაბედავს კიდევ ჩემ წინააღმდეგ გამოსვლას და სააკაშვილი, როგორც ჩანს, ქართულ სახელმწიფოს თავის თავს უწოდებს, მიიღებს იმას, რაც ამ ადამიანებმა მიიღეს. ამიტომ, მე ვფიქრობ, რაღაც ეტაპზე დათრგუნული იქნება ოპოზიციაც და საზოგადოებაც. ეს საზოგადოება ყველაზე ნაკლებად ირწმუნებს ამ ეტაპზე და ამ პერიოდში თავის ძალას. თუმცა, რა თქმა უნდა, გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს. მეც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი გადაივლის. ძალიან მძიმედ, მტკივნეულად, მაგრამ მაინც გადაივლის. ჩვენი, ქართველი საზოგადოების ერთადერთი შანსი, რომ ქვეყანა ოდესმე მართლა გამოიყვანოს ამ რაღაცა მოჯადოებული წრიდან, არის ის, რომ საზოგადოებამ ირწმუნოს თავისი ძალა. ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ თქვას ხმამაღლა არჩევნებში და არა საპროტესტო აქციებში, რომ ის ნდობას აღარ უცხადებს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს. ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. მე ვფიქრობ, ამით ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესმება საქართველოში ხელისუფლებების ძალადობრივად ცვლას.

*— საპროტესტო მუხტს ჩაკლავს საპროტესტო ელექტორატზე განხორციელებული ის ძალადობა, რომელიც 26-ში ვიხილეთ?*

— მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაძახილზე უფრო მეტი ხალხი გამოვიდა, მე ვფიქრობ, შიშის გრძნობა მაინც კარგა ხანს იქნება. ის, რომ 5 000 ადამიანი გამოვიდა მეორე დღეს ქუჩაში, იმას არ ნიშნავს, რომ ამას გაბედავდნენ ზესტაფონშიც, ჭიათურაში, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში. თბილისი მაინც სულ სხვაა. თბილისი შედარებით თავისუფალია. მაგრამ რაიონებში, სადაც ყველაფერი კონტროლდება და აქციაზე გამოსული თითოეული ადამიანი ადგილობრივ ხელმძღვანელებს აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი, ცხადია, ამის გაკეთება საზოგადოებას გაუჭირდება. ამიტომ, მე ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილის მიმართ განწყობა, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო დამძიმდა. თუკი ვინმე საშუალედო პოზიციაზე იდგა ან არ იყო რადიკალურად მისი მოწინააღმდეგე და ან არ იყო მისი მომხრე და იყო შუაში, თქვენ იცით, რომ შუაში საკმაოდ დიდი რაოდენობით ადამიანები იყვნენ, ე.წ.



არჩევნის პრეფერენციის არმქონენი, ეს ადამიანებიც დღეს მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგოდ გადაიხარნენ, თუმცა, შეიძლება, არა — ოპოზიციის მხარეს.

*— არაერთს გაუჩნდა აზრი, რომ დარბევაზე ხელისუფლებას ამერიკის ელჩმა მისცა მწვანე შუქი და რომ ამ გზით ამერიკამ ე.წ. პრორუსული ორიენტაციის პარტიები ჩამოაშორა პოლიტიკურ ფლანგს.*

— მე საკმაოდ ყურადღებით გავეცანი ამერიკის ელჩის განცხადებას და, მინდა გითხრათ, რომ როგორც კი ეს განცხადება წავიკითხე, მაშინვე ძალიან ცუდმა აზრმა გამიელვა თავში — მიხეილ სააკაშვილი ამ განცხადებას გამოიყენებს აქციის დასასჯელად. მაგრამ, თუ დაკვირვებით გავეცნობით ამ განცხადებას, ეს იყო ძალიან გაწონასწორებული, დიპლომატის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ამ აქციას არ აქვს ლეგიტიმაცია, რომ 25 მაისის 12 საათის შემდეგ იყოს იქ, სადაც იმართება. არის შემოთავაზებები, რომ აქციამ გადაინაცვლოს. მოდით, ნუ უარვყოფთ, რომ მართლაც ასე იყო.

იგივე განცხადება გაკეთდა ქართველი მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ დიდი ნდობით აღჭურვილი და ჩვენი მხრიდანაც ნდობით აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მხრიდანაც. იურიდიული შეფასების ნაწილში არანაირად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან ასოციაციისა და ამერიკის ელჩის განცხადება. რაც შეეხება მეორე ნაწილს, სადაც ელჩი პასუხისმგებლობებზე საუბრობს, ამ ნაწილშიც აბსოლუტურად არაფერია ნათქვამი ზედმეტი; და არანაირი მინიშნება არ არის იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილს გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ ამერიკის ელჩიც, ალბათ, გრძნობს, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მისი ეს განცხადება აღიქვა, როგორც პირდაპირ მწვანე შუქი მიტინგის დასარბევად. თუმცა, მე, როგორც „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი და პოლიტიკოსი, ამ განცხადებას ასე ნამდვილად არ აღვიქვამ. არ ვთვლი, რომ ეს იყო მწვანე შუქი მიხეილ სააკაშვილისთვის.

*— რაც შეეხება ამ გზით ამერიკის მხრიდან ხელისუფლების მხრიდან პრორუსულ ძალებად წარმოჩენილი ოპოზიციური ძალებისთვის ამერიკის მხრიდან მკვეთრი პოზიციის დაფიქსირებასა და მხარდაჭერაზე უარის თქმას, ეს ამ განცხადებით ღიად ჩანდა?*

— თუ თქვენ პირდაპირ შეგიძლიათ თქვათ, რომ ქართული პარტია, სახალხო კრების ორგანიზატორები ან ნინო ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა, ფაქტობრივად, პრორუსულ ძალად აღიარა აშშ-მ და საზოგადოების ნაწილმაც, ამ შემთხვევაში შეიძლება დაგეთანხმოთ.

*— პრორუსულ ძალებად ამ პოლიტიკურ ძალებს ხელისუფლება წარმოაჩენს და ამის მტკიცებულებად ფარული ჩანაწერებიც მოაქვს.*

— ხელისუფლება წარმოაჩენს, მაგრამ საზოგადოების უდიდეს ნაწილს, მათ შორის მეც, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არა მაქვს საფუძველი იმისა, რომ ბეჭედი დაუსვა და თქვა, რომ ნამდვილად ასე იყო. თუმცა, ირაკლი ოქრუაშვილთან მიმართებით შემიძლია ერთმნიშვნელოვნად ვთქვა და ჩვენ, „ახალმა მემარჯვენეებმა“, გავაკეთეთ კიდეც განცხადება და ვთქვით, რომ ოქრუაშვილის განცხადებები უკვე გასცდა რაღაც პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და ეს არის საკუთარი ყოფილი თანაგუნდელების მიმართ შურისძიების გრძნობით ანთებული ადამიანის განცხადებები; და არ შეიძლება, რომ პოლიტიკოსმა და პოლიტიკურმა პარტიამ, რომელსაც სურს დაამარცხოს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი, ასეთი გზით და ასეთი განცხადებებით დაამარცხოს თავისი ქვეყანა. ეს იყო ჩვენი განცხადების შინაარსი. თუ ოქრუაშვილთან დაკავშირებით ჩემთვის ერთმნიშვნელოვნად ყველაფერი ცხადია, იმავეს ვერ ვიტყვი ქართულ პარტიაში შემავალ სხვა პოლიტიკოსებზე, ვთქვათ, სოზარ სუბარზე. იმავეს ვერ ვიტყვი „სახალხო კრებაში“ შემავალ ძალებსა და პოლიტიკოსებზე. ხელისუფლებას მუდმივად აწყობს, რომ დამოკლეს მახვილივით ქართველი საზოგადოებისა და ქართული ოპოზიციის თავზე ეკიდოს ე.წ. რუსული ფაქტორი, რომელიც საბოლოოდ რას წარმოადგენს და რომელი პოლიტიკოსისთვის არის ძირითადი ვექტორი, ვერ გეტყვით. ძალიან ძნელია, დღეს ილაპარაკო იმაზე, რომ ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა სახელმწიფოს გადატრიალების გეგმა და ამაში რუსეთის დახმარების იმედი. აქ არის მხოლოდდამხოლოდ ვარაუდები. მე ვისურვებდი, რომ ერთხელ და საბოლოოდ გაირკვეს ეს ამ ქვეყანაში. ვიღაცამ შეიძლება ეს აღიქვას ისე, რომ, ვთქვათ, მანანა ნაჭყებია მოითხოვს, რომ ნინო ბურჯანაძე, როგორც რუსეთის იდეებისა და გეგმების განმახორციელებელი საქართველოში, დაჭერილ იქნეს. არა. ნამდვილად ამას არ ვგულისხმობ. მე ვამბობ, რომ თუკი ვინმეს მართლა ამ ქვეყანაში, რომელიმე პოლიტიკოსს ან რომელიმე პოლიტიკურ ძალას გააჩნია ეს გეგმა და აპირებს, ამ გეგმით შეცვალოს ქვეყანაში ძალაუფლება, რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ძალა უნდა იქნეს პასუხისგებაში მიცემული, იმიტომ რომ, წარმოუდგენელია, ასე არ გიყვარდეს შენი ქვეყანა და ასე გძულდეს, რომ ის რუსეთის მმართველობის ქვეშ დააბრუნო. ეს ერთმნიშვნელოვანია, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, ის მასალები, რომლებიც გამოქვეყნდა „სახალხო კრების“ მომხრეებთან დაკავშირებით, ის ჩანაწერები ჩემთვის აბსოლუტურად არაფრისმთქმელია. იქ, რესტორანში სუფრაზე მსხდომ ადამიანებში, არის რაღაც საუბარი. გინდათ, შეფიცულების რაზმი დაარქვით ამას და გინდათ, დემონსტრანტების. მართლაც, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, როდესაც ლაპარაკია მხოლოდ ჯოხებსა და ე.წ. რაგატკებზე, ამ დროს იფიქრო სერიოზულად, რომ ვიღაცა რაღაცა სერიოზულს გეგმავდა. არ შეიძლება, სათანადო ფაქტების გარეშე ვიღაცას რაღაც იარლიყები მიაწებო. თუ ეს ადამიანები მართლაც ამას გეგმავდნენ და ამას აკეთებდნენ, მაშინ ეს იარლიყი უნდა ჩამოიკიდოს ბოლომდე, რომ მთელმა საზოგადოებამ დაინახოს, ვინ რას გეგმავს, ვინ რას ახორციელებს და ვის რა გეგმები აქვს თავის ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ ვამბობ, ხელისუფლებას აწყობს, რომ რუსეთის ფაქტორი დამოკლეს მახვილივით ეკიდოს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მას დიდი სურვილი ჰქონდა, ამ აქციების პირობებში სხვა პოლიტიკური პარტიებიც ჩართულიყვნენ ამ პროცესში და ბარემ ყველა ერთად ჩაერეცხა, როგორც რუსული და შემდეგ გამოაჩენდა, მოძებნიდა როგორმე მისთვის სასურველ ოპოზიციურ ძალას, რომელსაც მწვანე შუქს აუნთებდა პარლამენტში და იტყოდა, ეს არის ოპოზიციური ძალა, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილიო. მაგრამ, ეს არ გამოუვიდა.

*— რადგან ჩარეცხვასა და რუსეთის ინტერესების გატარებაზე ვსაუბრობთ, თავისუფლების ქარტიაზე რას იტყვით, რომელიც თორთლაძის ინიციატივაა და დროში დაემთხვა 26 მაისის შემდგომ მოვლენებს?*

— ერთმნიშვნელოვნად ცხადია, თავისუფლების ქარტიის ახლა მიღება რაღაც კავშირშია ხელისუფლების ინტერესებთან. გია თორთლაძე რომ ხელისუფლების დაკვეთებს ახმოვანებს, პირველი შემთხვევა არ არის. ცხადია, ეს ყველაფერი, რაც, სიმართლე გითხრათ, ცოტა გაუგებარი კანონია, თავისუფლების ქარტიას ვგულისხმობ, ემსახურება იმას, რომ რაღაც სხვა მეთოდით, სხვა ხერხით, მუდმივად ასევე სხვა პოლიტიკოსებისა და სხვა პოლიტიკური ძალების თავზეც დამოკლეს მახვილივით დაკიდონ.

*— ანუ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ანგარიშსწორებისთვის გამოიყენებს თავისუფლების ქარტიას ხელისუფლება?*

— რა თქმა უნდა. ამ კანონის მიღება ამას ემსახურება. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენი საზოგადოების განწყობა, ღრმად ვარ დარწმუნებული, საზოგადოების უდიდესი ნაწილის განწყობა, ყოველ შემთხვევაში და „ახალი მემარჯვენეების“ განწყობაც, რომელიც იმთავითვე დასავლური ვექტორით გამოირჩეოდა, არის ის, რომ თუკი ვინმე თავის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებს რუსეთის გავლენის გაფართოებას საქართველოში, რუსეთის ისევ დაბრუნებას საქართველოში, რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ძალები ამ ქვეყანაში ვერანაირ საზოგადოებრივ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ. მათ მიმართ უნდა შესრულდეს კანონით გათვალისწინებული ნორმები. თუ არ ვცდები, სამშობლოს ღალატი აღარ არსებობს. მაგრამ არსებობს რაღაც მუხლები, რომლითაც შეიძლება შეიზღუდოს ამ ადამიანების საქმიანობა. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ყველაფერი უნდა იყოს დაზუსტებული და დასაბუთებული და არა ისე, რომ ყოველი არჩევნების წინ გამოჩნდნენ ვიღაცები რუსეთის აგენტების სახით, როგორც ეს თავის დროზე გააკეთეს და თქვენ გახსოვთ, მაშინაც ვრცელდებოდა მასალები ე.წ. მაესტრო, ბატკა — ბერძენიშვილი, ხაინდრავა და სხვა პოლიტიკოსები თითქოს რუსეთიდან იმართებოდნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ასე სულაც არ იყო. რა თქმა უნდა, საზოგადოებაში მუდმივად დარჩება ეს კითხვა, რომ თორთლაძის მეშვეობით იქნება თუ სხვა მასთან ახლო კავშირში მყოფი ე.წ. ოპოზიციური პარტიის სახით, ხელისუფლება ყოველთვის ეცდება, ეს მახვილი მუდმივად ეკიდოს ოპოზიციის თავზე.

*— რამდენად აქვს ამ ხელისუფლებას მორალური უფლება, რომ თავისუფლების ქარტიის მსგავსი კანონები მიიღოს იმ ფონზე, როცა რუსული გავლენის გაძლიერება ამ ხელისუფლების ნაბიჯებშიც იგრძნობოდა პრივატიზაციის კუთხით და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე რუსული კადრები არიან? ცნობილია, რომ სააკაშვილის გუნდის წევრებს საპარლამენტო უმრავლესობიდან რუსეთში აქვთ ბიზნესები და პრობლემები ამის გამო პრეზიდენტის მხრიდან არ ექმნებათ.*

— რა თქმა უნდა. თუკი ვინმეს მხარეს უნდა მოვიკითხოთ ნებსით თუ უნებლიეთ რუსეთის გაძლიერება, ეს, რა თქმა უნდა, არის მმართველი პარტია. ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ფულს სუნი არ აქვს და ის შეიძლება ნებისმიერი სახელმწიფოდან შემოდიოდეს. მაგრამ, ეს ცნება, რაც ხელისუფლებამ შემოიტანა, რომ არ არსებობს სტრატეგიული ობიექტი და ასეთი ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვა, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული ლახვარია ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, იმიტომ რომ, როდესაც შენ ყველა მნიშვნელოვან ობიექტს, დაწყებული გაზით და დამთავრებული წყლით, ხელში უგდებ მტრად გამოცხადებულ სახელმწიფოს, არ ფიქრობ მომავალზე და იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ეს ყველაფერი გადაგიკეტოს ამ მტერმა სახელმწიფომ და არ აკეთებ იმისთვის, რომ ამისგან დაზღვეული იყო. ამიტომ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რუსეთში რა პროცესები მიმდინარეობს. მე ერთმნიშვნელოვნად ცხადად მაქვს გააზრებული, რომ რუსეთი არის იმპერიალისტი. 2008 წელს მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომიც ემსახურებოდა რუსეთის იმპერიალისტურ მიზნებს. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს იმიტომ ირჩევენ, რომ მან გაატაროს გონივრული პოლიტიკა, არ წავიდეს კონფრონტაციის გზით. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება დღესაც ვერ ხვდება, როგორი პოლიტიკა აწარმოოს რუსეთთან.

*— ორმაგი სტანდარტი აქვს პრეზიდენტს, როცა თავისი თანაგუნდელებისთვის რუსეთში ფულის კეთება და საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მანდატი დასაშვებია და სხვა, ვისაც რუსეთთან აქვს რაიმე კავშირი, სამშობლოს მოღალატეა?*

— რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, რუსეთში ძალიან ბევრი პატიოსანი ქართველი ბიზნესმენი საქმიანობს. რუსეთში საქმიანობდნენ პარლამენტში მსხდომი არაერთი ცნობილი ბიზნესმენი და დღეს ნაციონალი დეპუტატი.

*— თავისუფლების ქარტია კახა ბენდუქიძეზე და ამ დეპუტატებზეც უნდა გავრცელდეს? მახსოვს, სწორედ თქვენმა პარტიამ გახადა საჯარო ბენდუქიძის კავშირები რუსეთის უშიშროებასთან.*

— კი, ფიქრია ჩიხრაძემ გაახმაურა. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა მასალები, რომლებიც ბენდუქიძის ძალიან საეჭვო კავშირებს ადასტურებდა. თუმცა, ხელისუფლებამ არ ისურვა, რომ გამოჰკიდებოდა ამ ფაქტებს და დაედგინა, მართალი იყო ჩვენი პარტია თუ არა. თუ მართლები არ ვიყავით, დაემტკიცებინა, რომ ეს კავშირები არ არსებობს. ასე რომ, ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილად ორმაგ სტანდარტთან. როცა უნდა სააკაშვილს, რუსეთი მტერია, როცა უნდა, ყველაზე სასურველი პარტნიორია ეკონომიკაში.

*— ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ თავისუფლების ქარტია ოპოზიციის წინააღმდეგ მიიღო.*

— ის, რომ რუსეთს ეყოლება ამ ქვეყანაში აგენტები და სპეცსამსახურების წარმომადგენლები, ორი აზრი არ არის. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. აგენტები ეყოლება, ალბათ, ხელისუფლების რიგებშიც. ამიტომ, თუ საუბარი იქნებოდა რაიმე კანონზე, ეს კანონი, პირველ რიგში, უნდა ემსახურეოდეს იმას, რომ სწორედ ეს ადამიანები — რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში ჩანერგილი ადამიანები გამოვავლინოთ და არ ვდიოთ იმათ, რომლებიც წარსულში კომპარტიასა და კომკავშირში მუშაობდნენ. ამ ლოგიკით რა გამოდის, გია თორთლაძე ამ ქვეყნის გმირია და ჟიული შარტავა — მოღალატე?! მორალურადაც გაუმართლებელია ეს პოზიცია.

*— ლეიბორისტების მტკიცებით, თორთლაძე კაგებეს დახელფასებული აგენტია. ამის შესახებ თქვენც გსმენიათ?*

— ვერ გეტყვით. გია თორთლაძეს საკმაოდ ბევრი ცოდვა აქვს და, მე მგონი, თავისი ჰყოფნის. ნამდვილად არა მაქვს იმის საფუძველი, რომ თორთლაძეს რუსეთის აგენტობა დავაბრალო. მე ვფიქრობ, რომ მან ძალიან ცუდი როლი შეასრულა, როდესაც ამ კანონპროექტის ინიცირება მოახდინა. თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს მკვდრადშობილი კანონია. ის ვერაფერს გამოავლენს, განსაკუთრებით წარსულში. თუმცა, ვამბობ, რომ რუსეთს ამ ქვეყანაში ჰყავს თავისი აგენტები და ხელისუფლებას ყველაფერი, გეგმა იქნება ეს თუ კანონი, უნდა გააჩნდეს იმისთვის, რომ ეს აგენტები გამოავლინოს, რათა ქვეყანა ისევ რაიმე ხიფათის წინაშე არ აღმოჩნდეს.

ნათია ხურცილავა

# ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს

**მოძღვარს განსაკუთრებული სიბრძნე მართებს ადამიანებთან ურთიერთობაში**

**ჯვრის მამის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი თავმასი ჩოხელი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ მოძღვარი შუამავალია ადამიანსა და ღმერთს შორის. ამდენად, მოძღვარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.**

დეკანოზი თავმასი ჩოხელი გუდამაყრულ კილოზე ლექსებს ქმნის, მის ლექსებზე კი კომპოზიტორები სიმღერებს ქმნიან.

მამა თავმასიმ ერთი ლექსი „სიმღერა სნოზე“ პატრიარქს მიუძღვნა.

როგორი უნდა იყოს მოძღვარი? როგორი უნდა იყოს მრევლის და მოძღვრის ურთიერთობა? ამ საკითხებზე დეკანოზი თავმასი ჩოხელი გვესაუბრება:

***— მამა თავმასი, როგორი უნდა იყოს მოძღვრის და მრევლის ურთიერთობა? ვიცი მოძღვრები, რომლებიც მკაცრები არიან, ასევე მოძღვართა ნაწილი ლმობიერია. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?***

— მოგეხსენებათ, რომ მოძღვარი შუამავლია ღმერთსა და ადამიანს შორის. როგორც უფალი ყველა ჩვენგანის მოძღვარი არის, ასევე მოძღვარი თავისი მრევლის მშობელია, მამაა იმ ადამიანების, რომლებიც მას მინდობილები არიან. რა თქმა უნდა, რელიგური თვალსაზრისით ზომიერი ურთიერთობა უნდა იყოს. ეს ურთიერთობა, რასაკვირველია, ადამიანურიც უნდა იყოს, რადგან მოძღვარიც ადამიანია. მოძღვარს განსაკუთრებული სიბრძნე მართებს ადამიანებთან ურთიერთობაში, რადგან თითოეული ადამიანი ინდივიდია, თითოეულ ადამიანთან ურთიერთობაც ინდივიდუალური უნდა იყოს, რაც არ არის მარტივი. ყველა მოძღვარი ცდილობს, რომ ადამიანი ღმერთთან ახლოს მიიყვანოს. მოძღვარი მისი თითოეული მრევლის მეგობარი უნდა იყოს ასაკის და სქესის განურჩევლად. ამ ურთიერთობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის დამოკიდებულებას, როგორი იქნება ეს დამოკიდებულება იმ ადამიანისადმი, რომელიც მასთან საშველად თუ გულის გადასაშლელად მივიდა. ვიმეორებ, ამ ურთიერთობაში ადამიანური მიდგომა ძალიან საჭიროა.

***— რომ უფრო გაიხსნას და უფრო გაუადვილდეს ადამიანს თუნდაც აღსარების თქმა მოძღვართან?***

— რასაკვირველია, მოძღვარი უნდა შეეცადოს, რომ აღმსარებლის ცხოვრებით იცხოვროს. ვინც აღსარებას ეტყვის, მის ცხოვრებაში უნდა შევიდეს და გაითავისოს მისი ეს მდგომარეობა. ზოგადად მოძღვარი ლმობიერი ადამიანია.

***— თუმცა მკაცრი მოძღვრებიც ვიცით...***

— ეს შეიძლება მხოლოდ გარეგნული ფორმა იყოს. მე, მაგალითად, შუბლი სულ შეკრული მაქვს, მაგრამ ეს ბუნებრივად მაქვს. ადამიანებს უთქვამთ, ჩემთან რომ მოვლენ მერე, თუ ასეთი ლმობიერი მოძღვარი იყავით, არ ვიცოდითო, უფრო მკაცრი ჩანხართო. ჩვენ, მოძღვრებმა, უნდა შევეცადოთ, რომ ადამიანებს ეკლესია შევაყვაროთ. ეკლესიური ცხოვრება შევაყვაროთ. ცხოვრებაში თუ ერთხელ ადამიანმა გადადგა ეს ნაბიჯი და ეკლესია შეიყვარა, ის უკვე ამ ცხოვრებით ცხოვრობს და მისთვის უკვე განუყოფელი ხდება ეკლესია. საქართველოს დედაეკლესია ჩვენი პატრიარქის მხრებზე დგას, წმინდა სინოდის და მოძღვრების ლოცვა-კურთხევაზე. მათ ლოცვას და კურთხევას უდიდესი ძალა და მადლი აქვს. ეს მადლი და ძალა თითოეულ ადამიანზე, მრევლზე გადადის. ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზოგადად მრევლის და მოძღვრის, მრევლის და ეკლესიის ურთიერთობას. საერთოდ, როგორც მოძღვრები მოიქცევიან, ისე მოიქცევიან ადამიანები. ამიტომ ჩვენ, მოძღვრები, უნდა შევეცადოთ, რომ ადამიანებს ეკლესია შევაყვაროთ.

***— თვლით, რომ მოძღვარი ერთგვარი მაგალითის მიმცემია თავისი მრევლისთვის, თუ ის, რადგან სასულიერო პირია, განყენებულად დგას?***

— უფალმა ადამიანი ხატად და მსგავსად თვისად შექმნა. თითოეული ჩვენგანი უფლის სახის მატარებლები ვართ. თითოეულ ჩვენგანში არის უფალი. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ღვთისნიერად მოვიქცეთ. მოძღვარი ღვთისა და მრევლის წინაშე და მრევლი ღვთისა და მოძღვრის წინაშე.

***— აღსარებაზე მინდა გკითხოთ, რთულია ბოლომდე გაიხსნას ადამიანი და თავისი ტკივილი ბოლომდე თქვას, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ დროს უფალს ესაუბრება და უფლისთვის დამალული არაფერი არ არის...***

— რამდენი ადამიანიც არის, იმდენნაირი არის აღსარებაც. აღსარებაც სხვადასხვანაირია, რადგან მას სხვადასხვა ადამიანები ამბობენ. ადამიანები აღსარებაში იმას ამბობენ, რაც ძალიან აწუხებთ, რაც ძალიან სტკივათ, რადგან მათ ეს ტკივილი არ ასვენებთ. რასაც ვერ ეუბნებიან მეუღლეს, მშობლებს, შვილებს, სწორედ იმას ამბობენ აღსარებაში. მოძღვარი ამ აღსარებას ისმენს და შემდეგ უკითხავს შენდობის ლოცვას. შენდობის ლოცვა იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს ყველა ცოდვა ეპატიება. შენდობის ლოცა მოძღვრის თხოვნაა უფლისადმი, რომ ესა თუ ის ადამიანი შენდობილი იყოს უფლისგან, რომ მას მიეტოვეს ის ცოდვები, რომელიც ჩაიდინა, იმედი ვიქონიოთ, რადგან ღმერთი მოწყალეა და ყველას შეუნდობს.

***— შენდობის ლოცვის წაკითხვას დიდი ძალა აქვს?***

— რასაკვირველია, დიდი ძალა აქვს. ეს არის მოძღვრის ვედრება უფლისადმი, რომ მიტევება მოხდეს. ღვთის წინაშე ადამიანს ეხმარება ცოდვების შემსუბუქებაში.

***— როგორ უნდა იქცეოდეს მრევლი, როდესაც ის უკვე აირჩევს ამ გზას და გახდება აღმსარებელი?***

— ქრისტიანის ცხოვრებას თავისი წესი აქვს. ყველაზე ადვილი დასაცველი მაინც ჩაცმით და საჭმლით მარხვა არის. საჭმლით მარხვა ძალიან ადვილია. შეიძლება ადამიანი ცუდად იყოს და მას მოძღვრისგან მსუბუქ მარხვაზე მიეცეს კურთხევა. შეიძლება მის ჯანმრთელობას მოხარშული ხორცი სჭირდება და მას ეძლევა კუთრხევა, რომ ეს მიიღოს, თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანს შეუძლია მწვადები მიირთვას. მოძღვრის კურთხევა საჩვენოდ არ უნდა გამოვიყენოთ. დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მოძღვრის კურთხევას. ადამიანი ლოცვით, მარხვით განიწმინდება, აღსარებით და ზიარებით, ამით სუფთავდება მისი სული, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მედიცინის თვალსაზრისითაც საკვებით მარხვა ძალიან სასარგებლოა. ამ დროს ორგანიზმი იწმინდება და სუფთავდება, რასაკვირველია, მე ჯანმრთელ ადამიანზე ვსაუბრობ. ვისაც ექიმის რეკომენდაცია სჭირდება, ის მოძღვრისგანაც იღებს კურთხევას, როგორც არის მისი ჯანმრთელობისთვის უკეთესი.

***— ფიზიკური მარხვა გასაგებია, რომ უფრო ადვილია, მაგრამ სულიერი მარხვა, რომელიც უფრო რთულია...***

— არსებობს საქციელით მარხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას. თითოეული ადამიანი, ექიმი იქნება, მასწავლებელი, ინჟინერი თუ სოფელში მცხოვრები ადამიანი, ყველა უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენი საკეთებელი საქმე ვაკეთოთ. შევეცადოთ, რომ ღვთის წინაშე შეძლებისდაგვარად მართლები ვიყოთ და, რასაკვირველია, ადამიანების წინაშეც. ღვთის წინაშე ბოლომდე მართალი ვერავინ ვერ იქნება.

***— პატრიარქი თავის ქადაგებაში არაერთხელ აღნიშნავს, რომ სიყვარული უნდა გვქონდეს, რომ ბოროტებისთვის ადგილი არ დარჩეს. თუმცა, სამწუხაროდ, ცხოვრების თანმდევია გაბრაზება, სიფიცხე, ის მდგომარეობა, რომელიც ადამიანს სიყვარულისგან ცლის. ამ დროს როგორ უნდა მოვიქცეთ?***

— საერთოდ ადამიანს სიმშვიდე მართებს და ღვთის მინდობილობა. როდესაც ადამიანი ღმერთს მიენდობა, ის მშვიდადაც იქნება და მას სიყვარულიც ექნება. თვითონ უფალმა მოგვცა ჩვენ სიმშვიდის, სიყვარულის და ლმობიერების მაგალითი, როდესაც მან დაითმინა ჯვარზე გაკვრა ჩვენი ცოდვებისთვის, მამა ღმერთს შენდობას სთხოვდა ჩვენთვის: „მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან რასა სჩადიან“. ჩვენ ხომ არავინ გვექცევა ისე, როგორც უფალს მოექცნენ. ჩვენ არავის გავუკვრივართ ჯვარზე და ასე არავის დავუმცირებივართ. ჩვენ ცხოვრების თანმდევი პატარ-პატარა რაღაცეები უნდა დავითმინოთ. როდემდე არის ბავშვი ბავშვი, მანამ, სანამ მას შეუძლია ბოლო ხმაზე ტირილი და იმავდროულად გაცინებაც. ჩვენ გვინახავს ბავშვი, რომელიც გულამოსკვნილი ტირის და იმ წუთში ღრუბლიანში თითქოს მზემ ამოანათაო, ისე გაიღიმებს. ერთდროულად სახეზე ცრემლიც აქვს და სიცილიც. ეს კარგი სანახავია. ადამიანი სანამ გაარჩევს ბოროტსა და კეთილს, მაშინ არის ბედნიერი. როდესაც უკვე მიხვდება, რომ ბოროტი არსებობს ამ ქვეყანაზე, მერე ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე უწევს გაბრაზება ხოლმე. ცხოვრება წინააღმდეგობებით არის აღსავსე და ამ წინააღმდეგობების დაძლევა უწევთ ადამიანებს. სიკეთეც და ბოროტებაც არის და ამის უარყოფა არ შეიძლება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ მოთმინება უფლისგან, უფალმა ბევრი რამ გვასწავლა. სახარება თავად არის სიბრძნე, სახარების თითოეული წინადადება გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ. ამიტომ ადამიანებმა სახარება უნდა იკითხონ. წიგნი მთლად კომპიუტერით არ უნდა ჩავანაცვლოთ. წიგნს ადამიანის ცხოვრებაში თავისი სერიოზული ადგილი აქვს და მისი კომპიუტერით ჩანაცვლება არ შეიძლება. კომპიუტერით შეიძლება ბევრი სასიკეთო და სასურველი ინფორმაცია, თემა მოიძიო, მაგრამ მის გამო წიგნის უგულებელყოფა შეუძლებელია. ადამიანი წიგნიერი უნდა იყოს, წიგნი უნდა იდოს ოჯახში და ის უნდა გადაიშალოს. კომპიუტერი სულ სხვა რამეა. წიგნს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ადამიანის გულში.

***— იმიტომ, რომ სულიერებასთან უფრო ახლოს არის, ვიდრე კომპიუტერი...***

— რა თქმა უნდა!

***— რელიგია ზოგადად დოგმებისგან შედგება, მათ შორის ქრისტიანული რელიგიაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიცით ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. ჩნდება კითხვა, თუ ეს ყველაფერი დოგმაა, მაშინ ადამიანს აქვს ბედნიერების უფლება?***

— ერთმნიშვნელოვნად აქვს ბედნიერების უფლება. მაგალითად, ოჯახურ ბედნიერებაზე რომ ვისაუბროთ და არა ინდივიდის ბედნიერებაზე. უფალმა თავად აკურთხა კანანს გალილეაში სვიმეონ კანანელის ქორწილი, როდესაც ის მივიდა ქორწილში. ადამიანს აქვს ბედნიერების უფლება, ღვთის წინაშე შექმნას ოჯახი და შვილები იყოლიოს და ერი გაამრავლოს. ასევე შეიძლება სულ არ იყოს ადამიანი დაოჯახებული და ბედნიერი იყოს ღმერთთან მყოფობით. თითოეულ ადამიანს, ვიმეორებ, აქვს ბედნიერების უფლება, მაგრამ ესეც ინდივიდუალურია, ვის როგორ ესმის ბედნიერება.

***— მამა თავმასი, ვიცი, რომ ლექსებს წერთ. თქვენს პოეზიაზე კომპოზიტორები მუსიკას წერენ. რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში პოეზიას?***

— გუდამაყრიდან ვარ წარმოშობით და თიანეთში გავიზარდე, რაც ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ საქართველოს ამ ლამაზი კუთხიდან ვარ. მთაში ყოველი მეორე ადამიანი წერს ლექსებს და არცთუ ისე ცუდ ლექსებს, ყოველ შემთხვევაში, ჩემზე კარგ ლექსებს. გასაოცარი ის იქნებოდა, რომ მთის ადამიანი ლექსებს არ წერდეს. პირველი ლექსი 42 წლის ასაკში ვიყავი, რომ დაიბეჭდა. შემომაწვა უთქმელი ლექსები და ასე შეიქმნა ჩემი ლექსები. მერე შეიქმნა ჩემს ლექსზე სიმღერა „გუდამაყრელი“, მე არც ვიფიქრებდი ამ სიმღერის ამღერებას, მაგრამ ერთმა ნიჭიერმა ადამიანმა გიორგი ჩიტაურმა ჩემს ლექსში „გუდამაყრელი“ აღმოაჩინა სიმღერა, რომელზეც მუსიკა დაწერა, რომელიც შეასრულა მომღერალმა კახა მანგოშვილმა. ეს სიმღერები რადიოში ტრიალებს. ისე უნდა გითხრათ, რომ კითხვა 6 წლის ასაკში ვისწავლე, წერა 42 წლის ასაკში დავიწყე, ხომ დიდი შუალედია? მთელი ცხოვრება ვკითხულობდი მხატვრულ ლიტერატურას, ძალიან მიყვარს კითხვა. ადამიანს შეიძლება რაღაც უხაროდეს, გული სტკიოდეს, ამას ზოგი როგორ გამოხატავს და ზოგი კიდევ როგორ. მე ლექსით გამოვხატავ, ლექსით ვამბობ ჩემს სათქმელს. ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. ჩვენ, ადამიანებს, მათ შორის მე, არაფერი არ შეგვიძლია, ღმერთი თუ არ ინებებს. შემომაწვება ხოლმე დაუწერელი ლექსები და ასე იქმნება ზოგჯერ შუაღამით და ზოგჯერ დილისპირს.

***— როგორც ვიცი, დედას მიუძღვენით ლექსი, რომელზეც მუსიკა დაიწერა...***

— დიახ, დედას მივუძღვენი ლექსი, როდესაც ძალიან მომენატრა დედა, მაშინ დავწერე „დედის მონატრება“. დედა განსაკუთრებულად მიყვარს. სამი შვილი გაგვზარდა. ამ ლექსზე დათო არჩვაძემ შექმნა მუსიკა, რომელიც უნდა შეასრულოს დათო კიკაბიძემ „ქართულ ხმებთან“ ერთად.

***— მოგწონთ თქვენს ლექსებზე შექმნილი სიმღერები?***

— როდესაც ადამიანი შექმნის ლექსს და მას წაიკითხავენ, მერე თუ მოეწონათ, ეს არის დიდი ბედნიერება. როდესაც ამღერდება ეს ლექსი და ეს მოსწონთ ადამიანებს, ეს ორმაგად სასიხარულოა ჩემთვის.

***— თქვენს რამდენ ლექსზე დაიწერა სიმღერა?***

— სულ 7 ლექსზე შეიქმნა მუსიკა, აქედან 4 ჩაიწერა კიდეც. „გუდამაყრელი“ იმღერა კახა მანგოშვილმა, „წუთისოფელი“ შეასრულა დათო კენჭიაშვილმა. ხოლო ლექსი, „სიმღერა სნოზე“, რომელიც მიეძღვნა კათოლიკოს-პატრიარქს, იმღერა დათო არჩვაძემ ანსამბლ „ფაიტონთან“ ერთად. ასევე შეიქმნა სამას არაგველზე სიმღერა, რომელიც საპატრიარქოსთან არსებულმა ანსამბლმა, დებმა გოგოჭურებმა იმღერეს. კიდევ ერთი ლექსი „ია“, რომელზეც ქეთევან გაბისიანმა შექმნა მუსიკა, უნდა შეასრულოს ნუკრი კაპანაძემ, რომლის ხმა უყვარს საქართველოს და მეც ძალიან მომწონს.

***— კორექტივები ხომ არ შეგაქვთ თუ ყველა მუსიკა მოგწონთ?***

— მთავარია ნიჭიერმა ხალხმა გააკეთოს. შეიძლება ოდნავ შეიცვალოს ტექსტი, რომ მუსიკას მოერგოს. მაგალითად, დავით არჩვაძემ შექმნა ჩემს ლექსებზე სიმღერები, ის ამას ნიჭიერად აკეთებს და მან იცის, ვის უნდა ამღეროს, ვის ხმას მოუხდება ესა თუ ის სიმღერა, მე უსიტყვოდ ვენდობი მის გემოვნებას. ასევე იცის ქეთევან გაბსიანმა, ვის ამღეროს მის მიერ შექმნილი მუსიკა. მადლობა მათ ამისთვის.

***— ძირითადად თქვენი ლექსები მთის კილოზე იწერება, ეს თქვენი გუდამაყრული წარმოშობის გავლენაა?***

— რასაკვირველია. ბავშვობა მთებში გავატარე, იქ გავიზარდე. ბავშვი, როგორც სუფთა დაფა, ისეა, რასაც ჩაწერ, ის აისახება. გარემოს, ბუნებას, იმ გარემოცვას, სადაც იზრდება ბავშვი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ჩამოსაყალიბებლად. მთა ძალიან მიყვარს. გუდამაყარში დავდივარ ხოლმე, მთიანეთშიც. იქაურობას ვეფერები, მთის ბალახიც მიყვარს. განსაკუთრებით ია მიყვარს. სამწუხაროდ, მთის ია თბილისში არ იყიდება.

***— რატომ, მთაში ია განსხვავებულია?***

— დიახ. მთაში იას განსხვავებული სურნელი აქვს, უფრო ბუნებრივია. ღმერთმა ინებოს, რომ მთის იები სულ იყოს. ასევე მიყვარს იასამანი. ლექსი მაქვს „აყვავებულა იასამანი“.

***— თქვენ მღერით?***

— ჩემი ლექსები მღერიან, ჩემს სიმღერას ჩემი ლექსები ამბობენ. თუ ღმერთის ნება არ იქნება, ძალით ვერაფერს ვერ გააკეთებ.

***— განსაკუთრებით რომელი პოეტი გიყვართ?***

— მთელი ბავშობა ნოდარ დუმბაძეს ვკითხულობდი, მიხარია, რომ მის შთამომავლებს ახლოს ვიცნობ. განსაკუთრებით მიყვარს მთის ადამიანის პოეზია. მიყვარს ვაჟა, ალაზა ხაიაური, შესანიშნავი ლექსები აქვს. მირზა გელოვანიც მიყვარს. ვისაც შეხება აქვს პოეზიასთან, მისი მასწავლებელი მაინც ვაჟა-ფშაველაა. დიდი ადამიანი იყო. ასევე მიყვარს იოსებ ლონგიშვილი, რომლის ლექსზეც დაიწერა სიმღერა „შატილის ასული“. ასევე მიყვარს გოდერძი ჩოხელი, რომელიც ჩემი ნათესავი იყო.



ეკა ირემაშვილი

# მე უფრო ტელეწამყვანი ვარ, ვიდრე მსახიობი

## ნინო ზაუტაშვილი თეატრს დაუბრუნდა

**18-წლიანი პაუზის შემდეგ ცნობილი ტელეწამყვანი ნინო ზაუტაშვილი მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა. „ქალები" — ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელშიც ნინო ზაუტაშვილთან ერთად მისი უახლოესი მეგობრები ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე და ეკა მჟავანაძე თამაშობენ. მათთან ერთად სპექტაკლში ზაზა გოგუაძე და თემო ჟიჟაძეც არიან დაკავებული.**

ნინო ზაუტაშვილი:

— 18-20 წლის წინ, როცა დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი, წავედი მარჯანიშვილის თეატრში სამუშაოდ. რომ გითხრათ, დიდი როლები შევასრულე და შევცვალე წამყვანი არტისტები და ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე-მეთქი, ასე ნამდვილად არ მოხდა.

***— რატომ დატოვეთ თეატრი?***

— რაღაც კონკურსი ჩატარდა, რომელიც გავაპროტესტე, არ მოვემზადე სათანადოდ, რის გამოც დამატოვებინეს მარჯანიშვილის თეატრის სცენა. აქტიური და სიცოცხლის მოყვარული ადამიანი ვარ. მიუხედავად ამისა, სასტიკად განვიცადე, მით უმეტეს, ამ თეატრში უამრავი უახლოესი მეგობარი მყავდა და ახლაც მყავს. ძალიან გამიჭირდა მათთან განშორება. ამ პერიოდში პარალელურად უკვე დაწყებული მქონდა მუშაობა რადიო „პიკის საათში", რამაც შედარებით ადვილად გადამატანინა ეს დარტყმა. მას შემდეგ გადავერთე მთლიანად რადიოსა და ტელევიზიაში და სად ვარ და როგორ, უკვე ყველამ იცის.

***— პროფესიით ჟურნალისტი არ ხართ?***

— არა. ტელევიზიაში ჩემი მისვლა ბატონი ვალერი სახაროვის პირდაპირი დამსახურებაა. რომ არა ეს პიროვნება, ჩემი ცხოვრება სხვანაირად წავიდოდა. მიმყავდა უამრავი გადაცემა — „ტელე სინე ვიდეო", ისტორია პირდაპირ ეთერში, პერი, მთელი ღამე. იმდენნაირი და ისეთი გადაცემები მაქვს წაყვანილი, ამის გახსენებას ერთი დიდი ინტერვიუ არ ეყოფა.

***— ტელევიზიამ არ იცის ისეთივე შეყვარება, როგორიც თეატრმა?***

— რა თქმა უნდა. როცა რაღაცას საქმიანად და სიყვარულით ეკიდები, არ არსებობს, რეზულტატს არ მიაღწიო. პროფესიით თეორიულად შესწავლა ერთია და პრაქტიკაში მისი განხორციელება — მეორე, რაც კიდევ უფრო ეფექტიანი მგონია. როცა ვიღაცა დღეს ჩემზე ამბობს, ქალბატონი ნინო ჟურნალისტიო, ერთი მხრივ, მეცინება, იმიტომ რომ თეორიული ცოდნა არ მაქვს, თუმცა, ნაწილობრივ უკვე ვგრძნობ, რომ ამ ამპლუაში გამოცდილება მივიღე უზარმაზარი. მე უფრო ტელეწამყვანი ვარ, ვიდრე ჟურნალისტი, თუმცა, ცუდი ინტერვიუერი არ ვარ. მიყვარს ადამიანების მოსმენა, რაც ჟურნალისტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა. არსებობს ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, რომელიც ძალიან კარგად მაქვს გადაკითხული. ვცდილობ, იმ პროფესიაში, რომელსაც ახლა ვემსახურები, კარგად ვიყო გარკვეული. ამ პროფესიას დიდ პატივს ვცემ და მინდა, სათანადოდ იყოს დაფასებული.

***— მხოლოდ ტელეწამყვანი ხართ?***

— არა. მაქვს ჩემი სარეკლამო სააგენტო, რომელიც მუშაობს მნიშვნელოვანი მიმართულებით — მარკეტინგში, პიარში, რეკლამაში.

***— თეატრში როგორ დაბრუნდით?***

— გაგანია სამუშაო პროცესში ჩემთან დარეკა ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, ციცინო კობიაშვილმა, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორია. გეფიცებით, ყველაფერზე ვიფიქრებდი, გარდა იმისა, რომ როლს შემომთავაზებდა. მეგონა, ალბათ, სპექტაკლის დადგმა უნდა ან სპონსორების მოძიება-მეთქი, რასაც სიამოვნებით გავაკეთებდი. ყველა ვარიანტში გამიხარდა მეგობართან შეხვედრა. მოვიდა ციცინო ჩემთან ოფისში, სადაც ტელეფონი ვერ გავთიშე, იმდენი ზარი შემოდიოდა. მითხრა, ერთი რამ მინდა შემოგთავაზო, მაგრამ, გთხოვ, პირდაპირ არ მითხრა უარიო. ამიხსნა, რომ ნილ საიმონის პიესის დადგმას აპირებდა. მის პიესას ორიგინალში „უცნაური წყვილი" ჰქვია. იქ მთავარი მოქმედი პირი ჟურნალისტი ქალია და მინდა, ეს როლი შენ ითამაშოო. კინაღამ გადმოვვარდი სკამიდან. რას მეუბნები, ციცინო, ეს გამორიცხულია, რაღა დროს ჩემი თეატრია, უკვე დამავიწყდა თეატრი, 18 წელია, სცენაზე ფეხი არ ამიდგამს, რანაირად შეიძლება, როლი ვითამაშო-მეთქი.



როგორც პურის მცხობელს უნდა ყოველდღიური ტრენინგი, ასევეა ყველა პროფესიაში, მით უმეტეს — მსახიობობაში, ამიტომ კატეგორიული უარი ვუთხარი. დავიწყოთ რეპეტიციები, თუ შენ არ გამოგივა, ამ თემაზე აღარასოდეს ვილაპარაკებთო.

***— დათანხმდით?***

— არა. მაინც მოჭრილი უარი ვუთხარი. ჩემი ტელეფონი მთელი დღის განმავლობაში არ ჩერდება და როგორ შეიძლება, რეპეტიციაზე ვიყო? მე მაქვს 24-საათიანი რეჟიმი-მეთქი. მაინც არ მომეშვა, როცა შენ იტყვი, რეპეტიციას მაშინ დავნიშნავ, მაჩუქე დღეში ორი-სამი საათიო. ციცინო ჩემგან უარით გავისტუმრე — მეგობრები ვართ, მიყვარხარ, ვგიჟდები, მაგრამ გამორიცხულია-მეთქი. გავიდა ამის შემდეგ მაქსიმუმ 10 დღე და, იცით, რას მივხვდი? ამეკიდა ეს როლი, ეს ადამიანი დამყვება და ვგრძნობ, რომ პერიოდულად შევდივარ მის ტყავში. გეფიცებით, თუ ვიტყუებოდე. რაღაც პერიოდებში ვიწყებდი მისი პერსონაჟის თამაშს. თან პიესა საერთოდ არ მქონდა წაკითხული, რაღაცნაირად დავიწყე ამაზე ფიქრი, ვითომ დავდექი სცენაზე, ვითომ ვთამაშობ, დამაინტერესა, რა ტიპია ეს ქალი, რატომ გადაწყვიტა ციცინომ, რომ ეს როლი მე მომიხდებოდა. ბოლოს დავურეკე და ვუთხარი, არაფერი არ მინდა, პიესა წამაკითხე-მეთქი. მივედი მასთან სახლში. ორივე მოქმედება ჩამიკითხა და ვუთხარი, დანიშნე რეპეტიცია-მეთქი. მაშინ ვკითხე, ვინ თამაშობენ, ვინ არიან განაწილებული-მეთქი და მან ჩამომითვალა — ქეთი ჩხეიძე, ნინო დუმბაძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ქეთი გეგეშიძე და მე.

***— ამას თქვენთვის მნიშვნელობა აქვს?***

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. არც ერთ სხვა შემთხვევაში მე ამ სპექტაკლში თამაშს არ დავთანხმდებოდი, იმიტომ რომ პირველი ფაქტორი იყო ციცინო, მეორე ფაქტორი იყო, ვისთან ერთად უნდა დამეწყო სცენაზე ხელახლა ფეხის ადგმა. ესენი იყვნენ ჩემი უახლოესი მეგობრები, რომლებიც, ზუსტად ვიცი, გადამეფარებოდნენ ამბრაზურასავით, თუკი ეს საჭირო გახდებოდა. აბსოლუტურად ყველაფერი იყო დეტალურად გათვლილი და იმდენად თანხვედრაში იყო ერთმანეთთან, რომ ნამდვილად ვარსკვლავებმა მამცნეს, რომ ეს უნდა გამეკეთებინა. გეფიცებით ყველაფერს, მართლა ზებუნებრივი ძალების ჩარევა მოხდა ამაში.

***— 18-წლიანი პაუზა ძალიან ბევრი არ არის მსახიობისთვის სცენაზე დასაბრუნებლად?***

— რა თქმა უნდა, თან მთავარ როლზე რომ გეძახიან. ორი საათი გაუსვლელად სცენაზე ვდგავარ. ეს საოცრებაა. 18-წლიანი განშორების შემდეგ მარჯანიშვილის თეატრს დავუბრუნდი.

***— როგორ შეგხვდნენ მარჯანიშვილის თეატრში?***

— 12 საათზე დანიშნეს რეპეტიცია, მაგრამ 10 წუთით დავაგვიანე. მათ არ იცოდნენ, ვინ იყო ამ როლზე დამტკიცებული. იღება კარი, შევდივარ მე და იწყება წივილი, კივილი, ჩახუტება და ტირილი სამი საათის განმავლობაში. პირველი ერთი კვირა როლზე საერთოდ არ გვიმუშავია, ვუყვებოდით ერთმანეთს, ამ 18 წლის განმავლობაში ვის რა გადახდა ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცოდით. ამით ის 18 წელი ჩემი ცხოვრებიდან მოიჭრა, დავბრუნდი ბავშვობაში. მილიონ მადლობას ვეუბნები ციცინოს, რომ 18 წელი მაჩუქა. უბედნიერესი ადამიანი ვარ, მით უმეტეს, ამ მძიმე სიტუაციაში, როცა ჩვენ ირგვლივ ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც ძალიან მტკივნეულია. ერთადერთი გამოსავალი ჩემთვის იმწუთას იყო თეატრი და, ღმერთის წყალობით, იმხელა საჩუქარი გამიკეთა ციცინომ, რომ მთელი ცხოვრება ამას ვერ გადავიხდი, როგორც კარგადაც არ უნდა ვითამაშო ეს როლი. ის, რომ ამ ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება, ჩემი დევიზია.

***— საბოლოოდ დაბრუნდით თეატრში?***

— სხვა შემოთავაზებებზე აუცილებლად დავფიქრდები. მარჯანიშვილის თეატრში მშვენიერი მსახიობები არიან. ამაზე ამწუთას ნამდვილად არ ვფიქრობ. ჩემთვის იმხელა მოვლენა მოხდა, რომ ეს უკვე ყველაფერია. ამით პასუხი გავეცი იმ ხალხს, რომელმაც რაღაცა ვერ დაინახა, მადლობა ვუთხარი თეატრს, რომელიც ძალიან მიყვარდა, მტკივნეული იყო მასთან განშორება და ამ შერიგებით მთელი მტკივნეული მომენტები წავშალეთ. დღეს ასე ვარ და ვარ ძალიან ბედნიერი.

***— იქნებ ასეც ჯობდა?***

— ალბათ. ღმერთს ათასი მადლობა იმისთვის, რომ ასეთ შანსებს მიგდებს. ნამდვილად არ ვიცი, რა დავიმსახურე ამის ფასი. ახლაც მეტირება. როცა დგახარ სცენაზე, როცა იღებ ამხელა ტაშს, როცა ჩემი უსაყვარლესი გოგოები ჩემ გვერდით არიან და მათ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობ, ეს უდიდესი ბედნიერებაა.

***— დაგჭირდათ მეგობრების დახმარება?***

— მათი დახმარების გარეშე ნამდვილად ვერაფერს გავაკეთებდი. ეს ისეთი სათუთი პროფესიაა, თითოეული დეტალი საფრთხილოა. აქ ყველაფერი პარტნიორობაზეა აგებული. მე და ნინო დუმბაძეს გვაქვს მთავარი როლები და მოქმედება ჩემს სახლში ხდება.

***— სპექტაკლს ჰქვია „ქალები", „სამოთხის ვაშლებშიც" ხართ ქალები. ქალების გარემოცვა დაბედებული გაქვთ?***

— ეს ძალიან კარგია. საითაც გაიხედავთ, სულ კარგი ადამიანები მახვევია გარს. ბევრი მეგობარი მყავს და უბედნიერესი ადამიანი ვარ. გოგა ჩართოლანსაც სულ ვეუბნები, რომ იღბლიანი ვარ. როცა გოგამ დამირეკა, შენზე გაჩერდა არჩევანი და ოთხიდან ერთ-ერთი შენ ხარო, სასწაულად ბედნიერი ვიყავი, იმიტომ რომ დიდი ლატარია მოვიგე. უსაყვარლესი ადამიანები მახვევია გარს — ნანა ფაჩუაშვილი, სალომე, კურატა. მანამდე სალომესაც ვიცნობდი, რუსო მანჯგალაძესაც, ტუსიასაც და ნინო კურატასაც. კიდევ უფრო ახლობელი ადამიანები შევიძინე და მაქვს ბედნიერება, ყოველ დილას ჩემი მოსაზრება გავაგებინო ადამიანებს და მოვისმინო მათი.

***— ამისთვის საგანგებოდ ემზადებით?***

— აუცილებლად. თქვენთან რომ დავასრულებ ინტერვიუს, გავშლი ჩემს არაჩვეულებრივ ლეპტოპს და მოვემზადები იმ თემისთვის, რომელიც ვაშლებში უნდა განვიხილოთ. ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. როცა ადამიანი ეთერში გამოდის და მილიონობით ადამიანს თავის აზრს მოახსენებს, კომპეტენტურობის ჩარჩოში უნდა ჯდებოდეს.

***— თუ არის თემა, რომელიც თქვენ გინდათ, რომ იყოს „სამოთხის ვაშლებში"?***

— ასეთი თემა არ ყოფილა. ხანდახან მინდა ხოლმე, რომ რაღაც თემის გარშემო უფრო თამამად შემეძლოს საკუთარი აზრის დაფიქსირება, თუმცა მგონია, რომ ყურადღებიანი მაყურებელი არასოდეს დარჩება ინფორმაციის გარეშე ჩემთან დაკავშირებით. არ შემიძლია, მოვატყუო მაყურებელი და არ გამოვხატო ჩემი აზრი ნებისმიერ ფაქტზე. ჩემთვის რადიკალურად განსხვავებული აზრიც კი მისაღებია, იმიტომ რომ პატივს ვცემ სხვა ადამიანების აზრს კონკრეტულ მოვლენებთან მიმართებით. ისეთი ადამიანებიც ვიცი, რომლებიც არაფერს ეთანხმებიან, მაგრამ ამბობენ ასე, იმიტომ რომ დღეს ასეა საჭირო. მათიც მესმის, ალბათ, მათ რაღაც მოტივაცია აქვთ და დღეს ასე ურჩევნიათ. არავინ არასოდეს განმიკითხავს. შინაგანად ვარ საკმაოდ დემოკრატი ადამიანი. ჩემთან ურთიერთობაში ყველას ვაძლევ მოქმედებისა და აზროვნების თავისუფლებას.

***— ვაშლები რომ ხართ და სამოთხის ვაშლი ცოდვასთან ასოცირდება?***

— მერე რა, ჩვენ ყოველ წამს და ყოველდღე ვცოდავთ. მეც ბევრი შემიცოდავს. ანგელოზად საერთოდ ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი და, სიმართლე გითხრათ, არც მდომებია არასოდეს ანგელოზის როლში ყოფნა. მე ვარ ადამიანი ჩემი ცოდვებით, ჩემი სიმძიმეებით, ჩემი ტრაგედიებით, სიხარულით. ეს არის ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება. არ შეიძლება, ადამიანმა თქვას, ცოდვა არ ჩამიდენიაო, არ არსებობს ასეთი ადამიანი. ადამიანს აკეთილშობილებს ცოდვის ჩადენის შემდეგ მონანიება. ეს თუ არ გაქვს, მაშინ ხარ უბედური, თორემ ცოდვის ჩადენა ჩვეულებრივი ადამიანური მომენტია. ფიქრშიც რომ გაივლებ, ეს უკვე ცოდვაა. ჩვენ ხომ მოკვდავი ადამიანები ვართ? აქ მეტნაკლებობაზეა საუბარი, ვის მეტი შეუძლია დათმოს, ვის მეტი მიტევება შეუძლია. ასე რომ, ვიყოთ ვაშლები, რა პრობლემაა?

***— მიეჩვიეთ პოპულარობას?***

— ამ თემაზე აბსოლუტურად სერიოზულად, ყოველგვარი პრანჭვის გარეშე გპასუხობთ — ბავშვობიდან ვარ სასწაულად კონტაქტური ადამიანი. შემიძლია, ბაღში სკამზე დავჯდე, გვერდით მომიჯდეს ადამიანი, მეორე დღეს ის ადამიანი ჩემთან მოვიდეს ჩაიზე სახლში და გავხდეთ კარგი მეგობრები. ადამიანთან კონტაქტში შესვლა შემიძლია ელვის სისწრაფით. პატარაობიდან მოდებული ვიყავი მთელ თბილისს, მთელ მანგლისს, მთელ წყნეთს, მთელ კინდღს. ყველგან, სადაც დავდიოდი, იქვე ვიკრებდი ტონობით ადამიანს. პოპულარული რა წრეშიც ვარ, ეს ჩემი წრეა — ისინი ჩემი მეგობრები, ნაცნობები, ახლობლები არიან. რომ გითხრათ, რომ პოპულარობა ჩემთვის დიდი მონაპოვარია, ასე ნამდვილად არ არის. ამ წლების განმავლობაში შეიძლება ვიღაცები შევიძინე სუფთა ტელემაყურებლის სახით, რომელიც არ მიცნობს ან არ მიცნობდა. ყოველთვის მყავდა ბევრი მეგობარი, ბევრი ახლობელი და ვიყავი საკმაოდ სასურველი მათ წრეში ჩემი კონტაქტურობისა და მხიარული ხასიათის გამო.

***— პოპულარობა არც გღლით და არც გაკომპლექსებთ?***

— ეს ჩემთვის ყოველდღიურობაა. გაცილებით მნიშვნელოვანი ადამიანები არიან, რომლებსაც ადამიანების სიცოცხლე უპყრიათ ხელთ, მაგრამ ასეთი პოპულარულები არ არიან. ჩემს პოპულარობასთან საკმაოდ მხიარული დამოკიდებულება მაქვს. მეც ერთი ჩვეულებრივი თქვენნაირი ვარ. უბრალოდ, ტელეეკრანზე ერთი გამოჩენაც საკმარისია, რომ უკვე მასობრივად პოპულარული ხარ. ეს ყუთი, რომლის მიმართაც მაინცდამაინც დიდი სიმპათიით არ ვარ განწყობილი, როგორც მაყურებელი, მაინც ახდენს ადამიანების წამიერად გაპოპულარულებას. ეს პროფესიული მომენტია. ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის, რომ, არიქა, გავხდე პოპულარული. პროფესიულად მევალება, დავჯდე ამ ყუთში იქითა მხრიდან და წავიყვანო გადაცემა. სამწუხაროდ, ვიღაცა, რომელსაც პროფესიულად ევალება, წავიდეს და გააკეთოს ურთულესი ოპერაცია, საერთოდ არ არის პოპულარული, მაგრამ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აკისრია და პატივსაცემი ადამიანია. ჩემს შემთხვევაში, რასაც ჰქვია ყუთი — ტელევიზორი, პროფესიულად უკვე შეიცავს თავის თავში პოპულარობას. ამ ყველაფერს სხვანაირად ვერც განვიხილავ.

***— ასეთი მხიარულებისა და კონტაქტურობის მიუხედავად, რაზე არ გიყვართ საუბარი?***

— პირად თემებზე. ნამდვილად არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი, მით უმეტეს — საჯაროდ. სიტყვა „პირადი" ნიშნავს, რომ ის არის შენი და ამით ყველაფერი ნათქვამია. ერთადერთი, პირადზე, იცით, როდის შეიძლება, გახსნილად ილაპარაკო და დაწერო წიგნი? როცა იქნები 90 წლის ასაკში, როცა ამის გამო გული აღარავის გაუსკდება, რა ცხოვრება გაიარე და ვინ ხარ. თუ ვინმეს დააინტერესებს, კი ბატონო, დაჯექი და დაწერე. ისეთი ადამიანი უნდა იყო, რომ იყოს მოთხოვნა შენს მემუარებზე. სხვა შემთხვევაში ამას აზრი არა აქვს. მესმის, რომ შეიძლება ვიღაცას მართლა აინტერესებს, გარდერობში რამდენი კაბა და ფეხსაცმელი მაქვს, მაგრამ არ ვთვლი, რომ ეს საჯაროდ გამოსატანი ინფორმაციაა. არ არის საჯაროდ გამოსატანი ინფორმაცია, როგორი ურთიერთობა მაქვს მეგობარ მამაკაცთან, ქმართან, შვილებთან.

***— თუკი თქვენს გადაცემაში განიხილავთ ამ საკითხს?***

— თუკი ჩვენს გადაცემაში ეს თემა გვექნება, ჩემს მოსაზრებაში ჭკვიანმა ადამიანმა თავისუფლად შეიძლება ამოიკითხოს იქ ჩადებული ქვეტექსტი.

***— არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად რომ პირადია საინტერესო?***

— ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ არ ვარ მომხრე ამ ყველაფრის გამომზეურებისა. გაოგნებული ვარ და არ მესმის, როცა მიდიან გადაცემაში ადამიანები და პირადზე ისეთ რაღაცებს ყვებიან, რაც, წესით, არ უნდა მოყვნენ. ეს ყველაფერი ამორალური მგონია, თუმცა, შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, თან არც ვუყურებ ასეთ გადაცემებს და არც ვკითხულობ ასეთ ინტერვიუებს. შეიძლება, წავიკითხო აინშტაინის ისტორია, იმიტომ რომ მაინტერესებს მისი პიროვნება, მაგრამ, დღეს რომ ორი როლი შეასრულა მსახიობმა, იმის შეყვარებულობის ისტორია მაინცდამაინც არ მაინტერესებს და ამაზე დროს არ ვკარგავ, რადგან გაცილებით საინტერესო ლიტერატურა არსებობს.

***— კიდევ დაგელოდოთ თუ არა თეატრალურ სცენაზე?***

— მე ცხოვრების დევიზად მაქვს — არასოდეს თქვა არასოდეს! თუმცა, ამწუთას რომ მკითხოთ, ეს აღარასოდეს გამეორდება და ეს იყო ერთჯერადი აქცია. მაგრამ, როგორც მაშინ ციცინოს ვუთხარი კატეგორიული უარი და 10 დღეში იქით ვეხვეწებოდი, წამაკითხე პიესა-მეთქი, შეიძლება, ასე კიდევ მოხდეს. თუ ჩემს მეგობრებს დავჭირდები რამეში, მათთვის მზად ვარ, სიცოცხლეც გავიღო. ძალიან დიდი პატივს ვცემ ამ პროფესიას, ჩემი თავი გაცილებით მეტად ტელეწამყვანად მიმაჩნია, ვიდრე მსახიობად.

***— კინოსა და სერიალებზეც არ ხართ თანახმა?***

— თუ ჰოლივუდი დაინტერესდება ჩემით, პირობას გაძლევთ, არც დავფიქრდები, ისე გავიქცევი.

***— პარტნიორად ვის ისურვებდით?***

— მხოლოდ და მხოლოდ ალ პაჩინოს. თუ მასთან პარტნიორობას მივაღწევ, ექსკლუზიურად მოგცემთ ინტერვიუს. ალ პაჩინო ნამდვილი სასწაულია. ამას წინათ ფილმს ვუყურე მისი მონაწილეობით და მსხვილ პლანზე ისე კითხულობდა მონოლოგს, შოკირებული დავრჩი. ის ნამდვილად მსოფლიო დონის ვარსკვლავია.

# ორლანდო ბლუმი — კარიბის ზღვის ყოფილი მეკობრე

იღბლიანი ორლი — ასე სიყვარულით და დაცინვით, თუმცა არა შურით, მას კოლეგები და კრიტიკოსები ეძახიან. ის მართლაც ბედნიერია — ამ ახალგაზრდა ინგლისელის კინემატოგრაფიულ ოლიმპზე აღმასვლა საოცრად სწრაფი იყო. ცნობილი ტრილოგიის „ბეჭდების მბრძანებელის“ პირველი ნაწილის, ფილმის „ბეჭდის საძმოს“ გამოსვლის შემდეგ ორლანდო ბლუმი ერთ საათში გახდა ცნობილი მთელ მსოფლიოში და შეძლო არა მარტო შეენარჩუნებინა ეს წარმატება, არამედ გაემრავლებინა თავისი წარმატებების რიცხვი და ჰოლივუდის ახალ სექსსიმბოლოდაც აღიარეს. მაყურებლისთვის ცნობილია ფილმებით „ზეციური სამეფო“, „ტროა“, „ელიზაბეთთაუნ“ და, რა თქმა უნდა, „კარიბის ზღვის მეკობრეების“ სამივე ნაწილით.

## ბავშვობა

ორლანდო ბლუმი, სრული სახელი ორლანდო ჯონატან ბლენჰარდ ბლუმი, დაიბადა 1977 წლის 13 იანვარს დიდ ბრიტანეთში, კენტის საგრაფოს ინგლისურ ქალაქში კენტერბერში. მომავალი ვარსკვლავის მამა, გარი ბლუმი, მწერალი და ლეგენდარული მებრძოლი იყო სამხრეთ ამერიკაში სამოქალაქო უფლებებისთვის. როდესაც ის გარდაიცვალა, ორლანდო ჯერ კიდევ ოთხი წლისაც კი არ იყო. მას შემდეგ ორლანდოს და მის უფროს დას სამანტას დედა ზრდიდა, რომელიც უდიდეს ყურადღებას აქცევდა ბავშვების კულტურულ აღზრდას, უნერგავდა მათ თეატრისადმი სიყვარულს, ლექსების გამოთქმით თქმას ასწავლიდა, უსწორებდა დიქციას და ბიჭის კენტის ფესტივალში მონაწილეობას ყოველნაირად მიესალმებოდა.

ამ ყავისფერთვალება გულთამპყრობელისა და მთელი მსოფლიოს მილიონობით ფანატების კერპის შემხედვარე, რთულია დაიჯეროთ, რომ ბავშვობაში ორლანდო ბლუმი მოკლებული იყო ქალთა ყურადღებას. ის სულაც არ იყო ძველი ბიჭი, რომლებიც ასე მოსწონთ გოგონებს, რომლებიც თავის ოცნებებში გამბედავ ბიჭებს ხედავდნენ. სკოლაში სწავლა ორლანდოსთვის არც ისე იოლი იყო — ის დისგრაფიით იყო დაავადებული (ეს ისეთი დაავადებაა, რომლის დროსაც ადამიანი ცუდად იმახსოვრებს ასოებს) და ამიტომ ხშირად იყო ხოლმე თავისი თანატოლების დაცინვის ობიექტი. ბავშვობის გახსენებისას, თვითონ ორლანდო ამბობს, სკოლაში რომ მას თავი თავდაჯერებულად ეგრძნო, მისი ცხოვრება შეიძლება სულ სხვაგვარად წარმართულიყო.

9 წლის ასაკში ორლანდო და მისი მეგობრები აწყობდნენ შეჯიბრებებს, სადაც გამარჯვებულს პრიზად ყველაზე ლამაზი გოგონა ხვდებოდა, რომელიც გამარჯვებულს ხელკავს უკეთებდა, ასახელებდა მას „მის ყმაწვილად“ და მთელი დღე მხოლოდ მას უთმობდა. ასეთი ბედი ორლანდოს ძალიან იშვიათად თუ ხვდებოდა წილად. ამიტომაც ოცნებობდა, რომ როდესაც გაიზრდებოდა, გახდებოდა სუპერმენი და მთელ რიგ გმირობებს ჩაიდენდა, თავისი ოცნების გოგონას გადასარჩენად. როდესაც ორლანდომ გაიაზრა, რომ სუპერმენი მხოლოდ გამოგონილი პერსონაჟია, რომელსაც ხორცი შეასხა მსახიობმა კრისტოფერ რივმა, მან იმწუთშივე მსახიობობა მოინდომა. ამ მომენტიდან ორლანდო ბლუმის მთელი მომავალი ცხოვრება ოცნებისკენ მიმავალ გზად იქცა.

როდესაც ორლანდოს 16 წელი შეუსრულდა, ლონდონში გადავიდა, სადაც ორი სეზონის განმავლობაში ახალგაზრდა ნაციონალური თეატრის წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას.

წარმატება მას თან ჰყვებოდა — ბლუმმა გაიმარჯვა კიდეც კონკურსში, (ფილმში „გასეირნება გაზაფხულის ტყეში“ მთავარი როლი შეასრულა) და პრემიაც მოიპოვა, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა მსახიობს ჩაებარებინა სამსახიობო ხელოვნების ბრიტანულ აკადემიაში.

## კინოდებიუტი, სწავლა, თეატრი

ორლანდო ბლუმის კინოდებიუტი 1997 წელს შედგა ბრაინ გილბერტის ფილმში „უაილდი“, რომელმაც კრიტიკოსების მიერ ცუდი შეფასება მიიღო, მაგრამ ზუსტად ამ ეპიზოდურმა როლმა დაუდო საფუძველი მსახიობის კინოკარიერას.

მართალია, ბლუმი მალევე არ შეუწუხებიათ წინადადებებით, მხოლოდ რამდენიმე შეთავაზება იყო, მაგრამ ორლანდო უარს ამბობდა, თან მორიდებით აყოლებდა, რომ საკმარისად არ იყო მზად ამ როლისთვის. სინამდვილეში კი, მას მიზნად სწავლის გაგრძელება ჰქონდა დასახული. მან გუიდჰოლთან არსებულ მუსიკის და დრამატული ხელოვნების პრესტიჟულ სკოლაში ჩააბარა, სადაც თავის დროზე ევან მაკ გრეგორი, ბენ ჩაპლინი, ჯოზეფ ფაინსი და სხვა ცნობილი მსახიობები სწავლობდნენ. სწავლის დროს ორლანდოს არ ავიწყდებოდა თავისი სამსახიობო ხელოვნების დახვეწა თეატრალურ სცენაზე: მისი მონაწილეობით ნათამაშებ სპექტაკლებს შორისაა: მსოფლიო და რუსული დრამატურგიის შედევრები, ისეთი, როგორც „ანტიგონე“, „სოფოკლე“, „პერ გიუნტი“, „იბსენა“, „მეთორმეტე ღამე“, „სამი და“, „თოლია“ და სხვები. გარდა ამისა, ბლუმმა მონაწილეობა მიიღო ბრიტანულ ტელეშოუების გადაღებებში: „ბენ ელტონის შოუ“ და „კაუზალითი“, აგრეთვე ეპიზოდური როლი შეასრულა სერიალებში „სუფთა ინგლისური მკვლელობა“, „უბედური შემთხვევა“ და „ლონდონი იწვის“.

ბლუმის თეატრალურმა წარმატებებმა ხელი შეუწყვეს ბავშვური კომპლექსებიდან განთავისუფლებას — ის თანდათან უფრო თავდაჯერებული ხდებოდა. მის ერთ-ერთი ჰობი იყო წყალში ხტომა და ტარზანკა, რამაც ის ლამის ტრაგედიამდე მიიყვანა — მეგობრების დახმარების დროს, ორლანდო მეოთხე სართულიდან გადმოხტა და ცოცხალი საოცრად გადარჩა, მაგრამ მისი ზურგი და ხერხემალი იმ დონეზე იყო დაზიანებული, რომ ექიმებს ეშინოდათ კიდეც, რომ სიარულს ვერ შეძლებდა. იმ ოთხი დღის განმავლობაში, როდესაც ის ექიმების გადაწყვეტილებას ელოდა, თითქოს ცდილობდა კიდეც შეგუებოდა იმ აზრზს, რომ ის მუდამ ინვალიდი დარჩებოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ალბათ ამიტომაც, წარმატებულად ჩატარებული ოპერაციის ერთი კვირის შემდეგ ბლუმი უკვე ყავარჯნებით გადაადგილდებოდა და კიდევ ცოტა ხნის შემდეგ საერთოდაც გაიქცა საავადმყოფოდან. როგორც მსახიობი ამტკიცებს, ზუსტად იმ უმოძრაობაში გატარებულმა ოთხმა დღემ შეცვალა მისი სიცოცხლისადმი დამოკიდებულება — მან უფრო მეტად დაიწყო იმ მონაცემების დაფასება, რაც ღმერთმა არგუნა.



## „ბეჭდების მბრძანებელი"

„უაილდის“ შემდეგ ბლუმი უარს ამბობდა შემოთავაზებულ როლებზე და მართლაც რომ არ წააგო — მალევე მას საკუთარი აგენტი ჰყავდა, რომლის მეშვეობითაც 1999 წელს 2 დღით ადრე დრამატული ხელოვნების და მუსიკის სკოლის დამთავრებამდე 22 წლის მსახიობმა ერთ-ერთი მთავარი როლი მიიღო ფილმში „ბეჭდების მბრძანებელი“, რომელმაც ის კინოეკრანის კაშკაშა ვარსკვლავად აქცია.

გადაღებების დროს მან შეისწავლა მშვილდიდან სროლა და ლეგენდარული ჰოლივუდელი მოფარიკავისგან ბობ ანდერსონისგან იღებდა გაკვეთილებს, რომლის მოსწავლეები თავის დროზე იყვნენ ეროლ ფლინი და დარტ ვადერი. გარდა ამისა, ფილმის გმირი ზურგს უკან ატარებს ორ თეთრ ხანჯალს, რომლის დროულად ამოღებაც და მათი მეშვეობით ბრძოლაც ორლანდომ ფილმის გადაღების დროს შეისწავლა. მაგრამ ძალიან რთულად გამოუვიდა მას ცხენზე ჯდომა — ვიდრე ჯირითს ისწავლიდა თორმეტამდე ცხენის გამოცვლა მოუწია და მაინც ჩამოვარდა და ნეკნი გაიტეხა. თუმცა ვერც ამან შეუშალა ხელი რეჟისორის აკრძალვების მიუხედავად შესვენებების დროს თხილამურები და სერფინგი აეთვისებინა. კინოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პროექტში მონაწილეობამ მსახიობს ძალიან დიდი წარმატება მოუტანა. მან ბრწყინვალედ ითამაშა ელფ ლეგოლასის როლი და ტრილოგიის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ მეორე დღესვე ცნობილად გაიღვიძა. ფანატი გოგოები მას გასაქანს არ აძლევდნენ, რეჟისორები კი რიგში იდგნენ, რათა ბლუმი თავიანთ ფილმებში მიეპატიჟებინათ.

## 2000-იანი წლები

ამ გრანდიოზული ფილმის შემდეგ მსახიობი ჰოლივუდში შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა — უკვე 2002 წლის დასაწყისში ეკრანებზე გამოვიდა რიდლი სკოტის „შავი ქორი“, რომელშიც ბლუმმა რეინჯერის როლი ითამაშა, სადაც მისმა ვერტმფრენიდან ვარდნამ უბედური მოვლენათა ჯაჭვი გამოიწვია, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1993 წლის ოქტომბერში სომალიში ჩატარებულ ამერიკულ მისიის დროს. ორლანდო ბლუმის პარტნიორები ამ ფილმში იყვნენ ცნობილი მსახიობები ევან მაკგრეგორი და ჯოშ ჰარტნეტი.

შემდეგ წლებში ორლანდო როგორც მცირებიუჯეტიან ფილმებში, ასევე მასშტაბურ ფილმებშიც იღებდა მონაწილეობას. „კლუბლანდიის იავნანა“ ინგლისის ფარგლებსაც კი არ გასცდა, „ცალმხრივი ვალდებულებები“-ს გადაღებები საერთოდაც არ დასრულებულა.

## „კარიბის ზღვის მეკობრეები"

2003 წელს ორლანდოს მონაწილეობით გამოვიდა დრამა „კელის ბანდა“, რის შემდეგაც ორლანდომ უილის როლი შეასრულა „კარიბის ზღვის მეკობრეებში“, რომელმაც გააერთიანა საინტერესო ხასიათები, ინტრიგაც და სპეცეფექტებიც. თავიდან მსახიობი ხედავს რეალურ სამყაროს — ხალხს, კოსტიუმებს, გემებს და უცებ კადრში ხვდება მეკობრე ჩონჩხების გუნდი, რომელიც მაყურებლის თვალწინ ისხამს ხორცს. ამ ფილმის კოლოსალურმა წარმატებამ უბიძგა მის შემქმნელებს გაეგრძელებინათ გადაღებები — სამი წლის შემდეგ გამოვიდა „კარიბის ზღვის მეკობრეები: მიცვალებულის სკივრი“, ხოლო კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ — „კარიბის ზღვის მეკობრეები: მსოფლიოს დასასრული“.

თუ არ ჩავთვლით ნამდვილ ჯენტლმენ ჯონი დეპთან ერთად გადაღებებში მიღებულ სიამოვნებას, ორლანდო ბედნიერი იყო გამხდარიყო ამ პროექტის ნაწილი, რომელიც საოჯახო სანახაობისთვის იყო განკუთვნილი, იმიტომ რომ, როგორც თვითონ ორლანდო ბლუმი ამბობს, საბავშვო ფილმებში გადაღება ნამდვილი სიხარულია.

საერთო ჯამში, მეკობრეებზე გადაღებულმა სამმა ფილმმა ორ მილიარდ ნახევარზე მეტი დოლარი შეაგროვა. ბოლო მონაცემებით, ორლანდომ უარი თქვა ამ სერიის მეოთხე ნაწილში გადაღებაზე. თავის გადაწყვეტილებას კი იმით არგუმენტირებს, რომ მისმა გმირმა, კაპიტანმა უილ ტერნერმა თავი „მოაბეზრა“ მაყურებელს წინა სამ ფილმში და დროა თავის დროზე გადგეს. ამის მიუხედავად პრესა წერს, რომ ბლუმს აღარ უნდა თავისი დრო დახარჯოს „მეკობრეების“ დამქანცველ გადაღებებში და ურჩევნია ეს დრო თავის მეუღლესთან, მოდელ მირანდა კერისთან ერთად გაატაროს.

## კარიერის გაგრძელება

2005 წელს ეკრანებზე გამოჩნდა ფილმი „ზეციური სამეფო“, რომელშიც ბლუმი მთავარ როლს ასრულებს. თავდაპირველად არც აპირებდა სამხედრო ეპიკურ ფილმში გადაღებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც რიდლ სკოტმა სცენარი წააკითხა, გადაწყვიტა რეჟისურის შესწავლის ბრწყინვალე შანსი, რითიც თავად იყო დაინტერესებული, ხელიდან არ გაეშვა. ამის გარდა, მსახიობი მოხიბლა გმირმა, რომელიც ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. ფილმში ბლუმმა იერუსალიმის დამცველი ბალიანის როლი ითამაშა, რომელიც თავდაპირველად რასელ ქროუსთვის იყო განკუთვნილი. ამ როლისთვის ორლანდოს 9 კილოგრამის მომატება მოუწია, რათა მისი გმირის ფიზიკური მონაცემები და ძალა გამოკვეთილიყო. შედეგის მისაღწევად დღეში 6-ჯერ ჭამდა და ბევრს ვარჯიშობდა.

— მინდოდა დავმსგავსებოდი მათ, ვისაც შეუძლია ხელში ხმლის დაჭერა, ვისაც უხდება აბჯარი და სხვა რკინის იარაღი. როლში ბოლომდე რომ შევსულიყავი, მოტეხილ ხერხემალზე საკუთარი მოგონებების ფსიქოლოგიური ჩაწვდომა დამეხმარა, — განაცხადა მოგვიანებით მსახიობმა.

ამის გარდა, „ქოსა“ ორლანდოს მკერდზე თმებს აწებებდნენ, რათა მისთვის მეტი ვაჟკაცური იერი მიეცათ, მაგრამ არც ამან უშველა. როგორც ამბობენ, ორლანდოს სიკვდილამდე მშვენიერ პრინცად ყოფნა უწერია.

ერთია, ამ ფილმმა ამერიკაში დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა და ვერც შემოსავლების მხრივ დაიკვეხნის, მაგრამ სხვა კონტინენტებზე საკმაოდ კარგად გავიდა და, რა თქმა უნდა, ორლანდოს თაყვანისმცემელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.



იმავე წელს ბლუმმა კიდევ ერთ ფილმში, „ელიზავეტტაუნში“ მიიღო მონაწილეობა, სადაც წარუმატებელი ადამიანის როლს თამაშობს, რომელიც ნერვიული სტრესის ქვეშ იმყოფება. არც ეს ფილმი მიუღია კარგად ამერიკელ მაყურებელს და ორლანდოსაც მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები დაუტოვა.

2000-იანი წლების მეორე ნახევარში ორლანდომ მონაწილეობა მიიღო ფილმებში „სიყვარული და სხვა კატასტროფები“, „გრემ ნორტონის შოუ“, „ნიუ იორკ, მე შენ მიყვარხარ“ და „წითელი წრე“.

ორლანდო ბლუმი აქტიურად არის დაკავებული თეატრით. როგორც თავად მსახიობი ამბობს, მიუხედავად ფილმების მასშტაბებისა, ის ყოველთვის ახალს სწავლობდა და ყოველი როლი მისთვის სამსახიობო ხელოვნების ამაღლების კიდევ ერთი საფეხური იყო. ბოლო დროს ორლანდოს ძალიან უნდა შორს იყოს კოსტიუმირებული როლებისგან და ითამაშოს უბრალო ბიჭის როლი სპორტულ მაისურში. მისი აზრით, ასეთ უბრალო ფორმაში მსახიობი პირისპირ რჩება მაყურებელთან თავისი სამსახიობო მონაცემებით და არ იმალება ისტორიული კოსტიუმის უკან, რომელიც განაპირობებს თამაშის მანერას.

## პირადი ცხოვრება

ორლანდო ბლუმის ცხოვრებიდან ის არის ცნობილი, რომ თავდაპირველად რომანი ჯოან მორლისთან ჰქონდა, მაგრამ გოგონამ მალევე მიატოვა და მისივე საუკეთესო მეგობართან, ანდრე შნაიდერთან გადაინაცვლა.

ამის შემდეგ ბლუმის „კოლექციაში“ თავს ჯემა კიდი და კეიტ ბოსკორტი იწონებენ. მის სახელს უკავშირებენ აგრეთვე უმა თურმანს, კირსტენ დანსტს, სიენა მილერს, ჯესიკა ბილს, პენელოპა კრუზს, ნაომი ჰარისს... ორლანდო მექსიკის დედაქალაქში ნახეს ჯენიფერ ენისტონთან ერთად და ერთი პერიოდი მათ რომანზეც საუბრობდნენ.

თუმცა, ყველაფერს ბოლო 2006 წელს მოეღო, როდესაც ბლუმმა მოდელი მირანდა ქერი გაიცნო და 4 წლის მანძილზე ერთად იყვნენ. 2010 წელს კი იქორწინეს კიდეც. წყვილს წელს ვაჟიშვილი, ფლინი შეეძინა.

## საინტერესო ფაქტები

ორლანდომ სიგარეტის მოწევას თავი დაანება, მაგრამ ფრჩხილების კვნეტა დაიწყო.

მსახიობის ჰობია ფოტოგრაფია, სერფინგი, პარაპლანით ხტომა, სნოუბორდი, ტატუ...

მისი უფროსი დაც მსახიობია.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ორლანდოს ბოილოგიური მამა ოჯახის მეგობარი და მეზობელი მისტრ კოლინ სტოუნი აღმოჩნდა. ეს საიდუმლო დედამ გაუმხილა.

— მაშ თქვენ ხართ მამაჩემი? კარგია, მაგრამ ჯობდა ადრე გამეგო, — უთხრა ბლუმმა.

ორლანდოს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ადამიანი მოტეხილობა. მისი ყველაზე სერიოზული ტრავმა იყო ხერხემლის მოტეხილობა, თუმცა მის გარდა დაზიანებული აქვს ნეკნი, ხელი, ფეხები, ცხვირი, მაჯა, ხელისა და ფეხის თითები, ხოლო 3-ჯერ გაიტეხა თავის ქალა.

ორლანდო ვეგეტარიანელია, არ მიირთმევს არც რძის პროდუქტებს. რაც შეეხება სარწმუნოებას, ბუდისტია.

მსახიობი თავის კოლეგებთან ბრედ პიტთან, ტომ ჰენკსთან და კამერონ დიასთან ერთად შევიდა სიღარიბეთა მებრძოლ ორგანიზაციაში და ამით თავიანთი ცხოვრების მთავარი პრინციპის, ჰუმანურობის რეალიზაცია მოახდინეს.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# 10 აღმოჩენა — ჯერ მოციმციმე ვარსკვლავები

დამთავრდა ევროსაფეხბურთო სეზონი, რომელმაც არაერთი ახალი ვარსკვლავი წარმოაჩინა. მათ შესახებ მთელი სეზონის განმავლობაში ბევრი წერა არ გვიხდებოდა, მაგრამ ახლა გვინდა გაგაცნოთ რამდენიმე მათგანი. თუმცა, ვინ როგორ აუღებს ალღოს ვარსკვლავობას და როგორ ითამაშებს მომდევნო სეზონში, ეს ჯერ არავინ იცის.

**1.პაბლო არმერო**, 24 წლის, უდინეზე (იტალია)

კოლუმბიელი ფეხბურთელი უდინურმა კლუბმა აღმოაჩინა. არმერო იტალიაში ზუსტად ერთი წლის წინ, ბრაზილიური „პალმეირასიდან" გადავიდა და „უდინეზეში" 3-5-2 ტაქტიკურ სქემაში, მარცხენა გარემარბის პოზიციაზე „ჩაჯდა". მთელი მატჩის განმავლობაში წინ და უკან დაუღალავად დარბის და შეტევებში უაღრესად აქტიურია. იტალიის ჩემპიონატის 31 შეხვედრაში მის ანგარიშზე 2 გოლი და 4 საგოლე პასია. სეზონის წინ ბევრს ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ არმერო ჩილელ მაურისიო ისლას ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდებდა, ახლა კი, პირიქითაა. გაჩნდა ცნობები, რომ არმეროს ყიდვა „ლივერპულს" უნდა.

— პაბლომ ამ სეზონში ყველა გაგვაოცა. მან მართლაც დიდი პროგრესი განიცადა, გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა და ახლა „უდინეზე" მის გარეშე უკვე ველარ წარმოგვიდგენია, — ეს არმეროს თანაგუნდელის, იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის და გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირის, ანტონიო დი ნატალეს სიტყვებია.

2.ანრი ბიენვენიუ, 22 წლის, იანგ ბოიზი (შვეიცარია)

კამერუნელი ფეხბურთელი ევროპაში 2010 იანვარში ტუნისიდან გადმობარგდა და თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლად ნახევარი სეზონიც ეყო. ამ სეზონში ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერმა მოთამაშემ პროგრესი განაგრძო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასრულებული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო აღმოჩენაა. ანრი ძალიან სწრაფი და ტექნიკური მოთამაშეა, ორივე ფეხს იდეალურად ხმარობს და წინა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. გასულ სეზონში მან 34 მატჩში 16 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე კი „ფენერბაჰჩეს" და „ტოტენჰემის" კარებშიც შეძლო გოლის გატანა. ამასთან, ბიენვენიუ კამერუნის ნაკრების ფეხბურთელია.

3.ტიბო კურტუა, 19 წლის, გენკი (ბელგია)

ზუსტად ერთი წლის წინ, როცა „გენკი" ახალი სეზონისთვის ემზადებოდა, ახალგაზრდა მეკარემ კონკურენტს დუელი მოუგო და ბელგიური კლუბის ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდა. მას მერე, კურტუას ერთი წუთიც კი არ გაუცდენია და „გენკის" სენსაციური ჩემპიონობა მისი დამსახურებაცაა. სეზონის დასრულების შემდეგ, კურტუა ბელგიის წლის საუკეთესო მეკარედ აღიარეს და ნაკრებშიც უხმეს. 19 წლის ტიბო ევროპის ერთ-ერთ უნიჭიერეს მეკარედ მიიჩნევა. მისი ერთადერთი ნაკლი ფიზიკური სისუსტეა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. გაირკვა, რომ მას ლონდონის „ჩელსის" სკაუტები აკვირდებიან. გერმანულ პრესაში კი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კურტუა „შალკესაც" სურს, რომელიც გელზერკირხენულ კლუბს მანუელ ნოიერის შემცვლელად ჰყავს შეგულებული.

4.ჰალკი, 24 წლის, პორტუ (პორტუგალია)

ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან ეს უკანასკნელი ყველაზე ცნობილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ აფასებენ ისე, როგორც იმსახურებს. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ „პორტუს" ხელმძღვანელებმა ჰალკი 100 მილიონ ევროდ შეაფასეს. „პორტუში" გატარებული ორი საშუალო სეზონის შემდეგ, ჰალკმა წელს ძალიან მოუმატა — 26 მატჩში 23 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამასთან, მის ანგარიშზე 16 საგოლე პასიცაა. 24 წლის ჰალკმა ევროპის ლიგაშიც ძალიან კარგი შედეგი აჩვენა — 6 გოლი, 5 პასი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფალკაოსთან ერთად, ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო თავდასხმას ქმნის.

5.სერდარ ქესიმალი, 22 წლის, ქაისერი (თურქეთი)

შოთა არველაძის ახალგაზრდა შეგირდი, რომელიც ვუპერტალში დაიბადა, ამავე სახელწოდების კლუბში თამაშობდა, მერე „კიოლნის" ღირსებას იცავდა, ახლა კი თურქეთის ჩემპიონატში ასპარეზობს. „ქაისერისპორში" ის 2009 წელს, თოლუნაი კაფკასმა წაიყვანა, მაგრამ ამ სეზონამდე ისეთს ვერაფერს ახერხებდა, ყურადღების ცენტრში რომ მოხვედრილიყო. არველაძის ხელში კი, ქესიმალმა უდიდესი პროგრესი განიცადა. თურქეთის ნაკრებმა გერმანიასთან 0:3 რომ წააგო, მას მერე ქესიმალი ეროვნული გუნდის განუყოფელი ნაწილია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე გუუს ჰიდინკის ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშეა. ქესიმალის მთავარი პლუსები ორთაბრძოლების მოგების ნიჭი და თავით კარგი თამაშია. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ სერდარი 7 მილიონ ევროდ „ფენერბაჰჩეში" გაიყიდება.

6.დამ ნდოიე, 26 წლის, კოპენჰაგენი (დანია)

როგორც ჩანს, 26 წლის სენეგალელმა თავდამსხმელმა ბედნიერება „კოპენჰაგენში" იპოვა, რადგან სწორედ ამ კლუბში გაიხსნა. ნდოიე დანიურ გრანდში 2009 წელს გადავიდა და პირველ ორ სეზონში მხოლოდ 10 გოლი გაიტანა. წელს კი, დანიის ჩემპიონის ფორმით 25-ჯერ შეძლო მეტოქეთა კარის აღება და იქაური ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. ნდოიემ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ორ მატჩშიც შეძლო თავის გამოჩენა და არაერთი კლუბი დააინტერესა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დამ ნდოიე სენეგალის ნაკრებში ჯერ არ გამოუძახიათ.

7.მუსა სოუ, 25 წლის, ლილი (საფრანგეთი)

ამ სეზონამდე მუსა სოუს „რენში" ჩატარებული ექვსი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 12 გოლი ჰქონდა გატანილი, რაც, დაგვეთანხმებით, თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია. შესაბამისად, ის ხშირად პირველი გუნდის განაცხადშიც არ შეჰყავდათ. სამაგიეროდ, სოუ „ლილში" გაიხსნა. ამ სეზონში მან 25 გოლი გაიტანა და საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „ლილმა" კი 57-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად იზეიმა საფრანგეთის ჩემპიონობა. მუსა სოუს გადაბირებისთვის ლონდონის „არსენალი" იბრძვის.

8.მატიას სილვესტრი, 26 წლის, კატანია (იტალია)

ეს ფეხბურთელი სიცილიურ კლუბში 2008 წლიდან თამაშობს, მანამდე კი, 6 წლის მანძილზე „ბოკა ხუნიორსის" ღირსებას იცავდა. „კატანიას" მცველმა ეს სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელია. სილვესტრი ფიზიკურად ძლიერი, ორთაბრძოლებისთვის იდეალური და ძალიან სანდო მცველია. რაც ყველაზე საინტერესოა, არგენტინელი ისეთი უკანახაზელია, რომელიც სტანდარტული მდგომარეობების დროს მეტოქე გუნდის კართან ძალიან სახიფათოა და გასულ სეზონში მეტოქეთა კარში 6 გოლის გატანაც მოახერხა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე მზადაა რომელიმე ტოპ-კლუბში გადასვლისთვის.

9.სილვიო, 23 წლის, ბრაგა (პორტუგალია)

ფეხბურთელი, რომელიც „ბენფიკას" აღზრდილია, თუმცა ლისაბონურ კლუბში ფეხი ვერ მოიკიდა და რამდენიმე კლუბის გამოცვლის შემდეგ „ბრაგაში" აღმოჩნდა, სადაც თავისი ადგილი იპოვა. შეუძლია როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაში, ფიზიკურად ძლიერი და ზომიერად აგრესიული ფეხბურთელია. ევროპის ლიგაში „ბრაგამ" წარმატებით რომ იასპარეზა, ეს სილვიოს დამსახურებაცაა, რომელმაც ყველა მატჩი შეუცვლელად ითამაშა. 2010 წლის სექტემბერში 23 წლის მცველს პორტუგალიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა, მომდევნო სეზონში კი მადრიდის „ატლეტიკოს" ღირსებას დაიცავს.

10.ბიორნ ვლემინკი, 25 წლის, ნიიმეგენი (ჰოლანდია)

რამდენიმე წლის წინ ბიორნ ვლემინკი ბელგიაში უდიდეს ტალანტად მიიჩნეოდა, იმედები კი საკმაოდ გვიან, მხოლოდ ამ სეზონშიღა გაამართლა. ბელგიის მეორე ლიგაში რამდენიმე კლუბის გამოცვლის შემდეგ ის „ნიიმეგენში" მოხვდა, სადაც ცნობილი ჰოლანდიელი თავდამსხმელის, პატრიკ კლუივერტის ხელმძღვანელობის ქვეშ ვარჯიშობს. ვლემინკი 23 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ბელგიის ნაკრებშიც მუდმივად იძახებენ. ახალი სეზონიდან ის „ბრიუგეში" ითამაშებს.



# ვან დერ საარი: მე მგონი, მესი მართლა უცხოპლანეტელია

ჩემპიონთა ლიგის ფინალი ედვინ ვან დერ საარისთვის კარიერის უკანასკნელი ოფიციალური მატჩი იყო. ამავე დროს, ეს გახლდათ ამ პრესტიჟული ტურნირის რიგით მე-100 შეხვედრა, რომელშიც ჰოლანდიელმა მეკარემ მონაწილეობა მიიღო. მას მესამედ შეეძლო ევროპის საუკეთესო საკლუბო ჯილდოს მოგება, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. 1995 წელს ვან დერ საარმა ჩემპიონთა ლიგა ამსტერდამის „აიაქსთან" ერთად მოიგო, 2008 წელს კი □„მანჩესტერთან" ერთად. გერმანული „შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰოლანდიელმა მეკარემ 21-წლიანი კარიერა შეაჯამა და ფინალი კიდევ ერთხელ გაანალიზა.

***— კიდევ ერთხელ გაიხსენეთ ფინალი და ის განცდები, რაც „ბარსელონასთან" მარცხის შემდეგ დაგეუფლათ.***

— დღემდე ცუდად ვარ, უშუალოდ ფინალის შემდეგ კი იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი ვიყავი. ვიცოდით, რომ „ბარსელონა" ბრწყინვალე გუნდია, მაგრამ რაკი ფინალში გავედით, თასის მოგებაც გვინდოდა. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსამ" ნამდვილი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაგვიტარა, მე მაინც ვფიქრობ, რომ კატალონიური გუნდი არ არის დაუმარცხებელი და ჩვენ შეგვეძლო იმ თამაშის მოგება. თუმცა ნამდვილმა სპორტსმენმა მეტოქის სიძლიერე უნდა აღიაროს და მეც ვალდებული ვარ, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ „ბარსელონა" „მანჩესტერ იუნაიტედზე" ძლიერი გუნდია. მეტიც: დღევანდელი „ბარსა" დიდი, ისტორიული გუნდია.

***— თქვენ ამბობთ, რომ მიუხედავად განსხვავებისა, „მანჩესტერს" „ბარსელონას" დამარცხება შეეძლო. მაშინ ისიც გვითხარით, რა შეცდომები დაუშვა „იუნაიტედმა"?***

— ისევე, როგორც 2009 წლის ფინალში, თამაში ამჯერადაც ძალიან კარგად დავიწყეთ. ზომიერად აგრესიული პრესინგი მეტოქის ნახევარზე, □„ბარსელონას"□ უკანახაზელების მუდმივი შეწუხება და მხოლოდ შეტევაზე ფიქრი — ეს სწორი ნაბიჯი იყო. ვფიქრობ, ცოტა მეტი იღბალი იყო საჭირო. მაგალითად, რომ გაგვმართლებოდა და პირველი გოლი გაგვეტანა, მერე სხვანაირი თამაში წავიდოდა და დარწმუნებული ვარ, რომ „ბარსას" მატჩში გარდატეხის შეტანა გაუჭირდებოდა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ, პირველი გოლი ვერ გავიტანეთ.

***— მაგრამ ხომ გაათანაბრეთ?***

— ეს უკვე სულ სხვა რამეა. მერე „ბარსელონას" თავისი თამაშის ჩვენთვის თავზე მოხვევის უფლება მივეცით, მოედნის ცენტრში ასე საჭირო აგრესია დავკარგეთ და ეს უკვე დამღუპველი შეცდომა იყო. საერთო ჯამში, ჩვენ მხოლოდ 2-3 შეცდომა დავუშვით და ყველა მათგანისას მკაცრად დავისაჯეთ.

***— ანუ, მანჩესტერელებმა წაგება მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოთ?***

— გულახდილად უნდა ვთქვა, რომ „ბარსელონამ" ფინალი აბსოლუტურად დამსახურებულად მოიგო. პეპ გვარდიოლას გუნდის წინააღმდეგ თამაში და წარმატების მიღწევა ძალიან ძნელია, რაც ჩვენ „უემბლიზე" კიდევ ერთხელ, ახლა უკვე მეორედ გამოვცადეთ. ნახეთ ფინალი განმეორებით და დააკვირდით, როგორ ფლობენ ბურთს კატალონიელი ფეხბურთელები, რამდენ ხანს და რამდენად ხარისხიანად აკონტროლებენ თამაშს, რამდენ მომენტს ქმნიან და რაც ყველაზე მთავარია, როგორ ქმნიან ამ მომენტებს. მართალია, უეინ რუნის გოლის შემდეგ იმედი გამიჩნდა, რომ ყველაფერი გამოსწორდებოდა, მაგრამ იმ დროს „ბარსამ" ტემპს კიდევ უფრო უმატა, ჩვენ კი მეტოქეს თამაშში ველარ ავყევით.

***— „ბარსელონასა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის მთავარი განსხვავება ამჯერადაც ლიონელ მესი იყო. როგორი გრძნობაა მეკარისთვის, როცა მის კარს მესი უტევს?***

— მის შესახებ ახალი რა უნდა ვთქვა: მესი უსწრაფესი და ძალიან ტექნიკური თავდამსხმელია, რომელიც მცველებს და მეკარეებს შიშის ზარს სცემს. არგენტინელის გაკონტროლება ვერ მოვახერხეთ და ეს მართლა შეუძლებელია. მგონი, მესი მართლა უცხოპლანეტელია...

***— ამ ფინალით თქვენი უდიდესი და ძალიან წარმატებული კარიერა მთავრდება.***

— ფინალის შემდეგ ძალიან დამწუხრებული ვიყავი. არ მინდოდა, რომ ჩემი ხანგრძლივი კარიერა ასეთი იმედგაცრუებით დამთავრებულიყო, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ედვინ ვან დერ საარის კარიერა მხოლოდ ეს ფინალი არ არის. □„მანჩესტერთან"□ ერთად ექვსი ბრწყინვალე სეზონი ჩავატარე და ეს პერიოდი არასდროს დამავიწყდება. ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებით კი ცხოვრება არ მთავრდება — წინ ბევრი საინტერესო რამ მელის. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ახლა ოჯახისთვის ბევრი დრო დამრჩება. ახლა შვებულებაში გავდივარ, მერე კი ფეხბურთში დაბრუნებაზეც ვიფიქრებ.

***— მენეჯერის თანამდებობა უფრო გიზიდავთ თუ მწვრთნელის?***

— ჯერ არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია. ერთიც შესაძლებელია და მეორეც, მაგრამ საჩქარო არაფერია. შესაძლოა, ინგლისში დავრჩე. გამორიცხული არც ისაა, რომ ჰოლანდიაში დავბრუნდე.

***— დაბოლოს: როგორი გრძნობაა ფეხბურთელის რანგში ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუს მიცემა?***

— არაფერი განსაკუთრებული...

# უკრაინის ნაკრები მაიკლ ჯორდანს იწვევდა



ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე უკრაინაა, რომლის სათავეში ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი მაიკ ფრატელო დგას, რომელიც უკრაინაში პლეი-ოფების შეხვედრებს დაესწრო და "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა.

რადგან ეხება უკრაინის ნაკრებს, რომელსაც 4 სექტემბერს ვეთამაშებით, ეს ინტერვიუ ჩვენთვისაც საინტერესო იქნება.

***— ორი თვის წინ, როცა ნაკრების თავკაცად დაინიშნეთ, განაცხადეთ, რომ უკრაინულ კალათბურთზე ბევრი არაფერი ვიციო. შეიცვალა სიტუაცია?***

— მას მერე არაერთ ადამიანს შევხვდი, ვნახე სუპერლიგის მატჩების ვიდეოჩანაწერები, ცოცხლად ვიხილე პლეი-ოფის შეხვედრები, მაგრამ გამოგიტყდებით, ყველაზე მთავარი ნაკრების წევრებთან ურთიერთობაა, რომლის დროსაც ხედავ, როგორ იქცევიან და როგორ ასრულებენ მწვრთნელის მითითებებს. "ბუდიველნიკი"-"დონეცკის" მატჩის მსვლელობისას იყო ეპიზოდი, როცა, ჩემი აზრით, მწვრთნელს კალათბურთელი უნდა შეეცვალა, მაგრამ ეს არ გააკეთა. იმ მოთამაშემ მატჩის ბოლოს თავი კარგად წარმოაჩინა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მწვრთნელმა თავისი კალათბურთელის პოტენციალი ზედმიწევნით იცოდეს და ბოლომდე ენდოს.

***— არ გაღელვებთ უკრაინულ კლუბებში ადგილობრივი კალათბურთელების მეორეხარისხოვანი როლი?***

— ძნელია ამ საკითხზე ლაპარაკი, როცა ყველა წყალქვეშა დინება არ იცი. მაგალითად: ერთი ახალგაზრდა უკრაინელი სლოვენიაშია. ვკითხე, სამშობლოში რატომ არ თამაშობ-მეთქი. ამიხსნეს, არის გარკვეული მომენტები, რომლებიც კალათბურთელებს მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას აიძულებს.

***— ამ საკითხზე თქვენ რას ფიქრობთ?***

— ნბა-ში იყო დიდი მწვრთნელი ჩაკ დეილი. მან ერთხელ შენიშნა, რომ ინტერვიუსას კალათბურთელმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყველაფერი იცოდა. ჩაკ დეილიმ იქვე შენიშნა: "აი, კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც თავს გენიოსად ასაღებს". ამიტომ, როცა საქმის კურსში არ ვარ, შორსმიმავალ დასკვნებს ვერ გავაკეთებ.

***— როგორც ვიცით, უკრაინის ნაკრებისთვის "დნეპრის" გამთამაშებლის, სტივენ ბურტის ნატურალიზირებას აპირებდით.***

— კალათბურთელთა ნატურალიზაცია ევროპაში მიღებული პროცესია. უკრაინის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრ ვოლკოვი ამ საქმეში დახმარებას დამპირდა. რა სტადიაშია ბურტის საკითხი, პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ.

***— სხვა კანდიდატურები არ განიხილებოდა?***

— ამ საკითხს სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ამა თუ იმ კალათბურთელის მიწვევისას კარგად უნდა იცნობდე მის შესაძლებლობებს და დარწმუნებული იყო, რომ გადაწყვეტს იმ პრობლემას, რისთვისაც მას ნაკრებში იწვევ. ვფიქრობ, ბურტი სწორედ ის მოთამაშეა, რომელსაც უკანა ხაზში პრობლების მოგვარება შეუძლია. თუმცა, უკეთესი ვარიანტიც მქონდა — უკრაინის ნაკრებში თამაში მაიკლ ჯორდანს შევთავაზე, მაგრამ უარი მივიღე, არ მცალიაო.

***— ნაკრების სამწვრთნელო შტაბი თუ დააკომპლექტეთ?***

— ჯერ არა. გვინდოდა ვიტალი პოტაპენკოს მოწვევა, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით „კლივლენდში" თამაშობდა, მაგრამ მან უარი გვითხრა, რადგან მეორე შვილი ახლახან შეეძინა და ზაფხულის გატარება ოჯახურ ატმოსფეროში სურს.

***— ნაკრებში სათამაშოდ ნბა-ს ზოგიერთი უკრაინელი კალათბურთელი უხალისოდ ჩამოდიოდა. იყო შეფერხება კლუბებისგანაც.***

— ადრე ამერიკაში ნაციონალურ გუნდში თამაში არაპრესტიჟულად ითვლებოდა. ბოლო დროს სიტუაცია შეიცვალა. მწვრთნელებმაც გააგებინეს კალათბურთელებს, რაოდენ მნიშვნელოვანია ეროვნული ღირსების დაცვა. ბავშვები ხედავენ, რომ ბრაიანტი და უეიდი ნაკრებში თამაშობენ და ისინიც იქ მოხვედრისკენ ისწრაფვიან.

***— „იუტა ჯაზის" მეკარე კირილ ფესენკოს თუ ესაუბრეთ?***

— რამდენჯერმე ველაპარაკე კირილის აგენტს, რომელმაც მითხრა, რომ ფესენკო ნაკრების განკარგულებაში იქნება, შეკრებამდე კი ინდივიდუალურად ივარჯიშებს, რათა ნაკრებს მომზადებული შეუერთდეს. უახლოეს დღეებში ფედერაციის პრეზიდენტ ალექსანდრ ვოლკოვთან ვისაუბრებ ნაკრების კანდიდატებზე, რომელთა მიმართაც გარკვეული მოთხოვნები მექნება. თითოეულმა კალათბურთელმა უნდა იცოდეს, რისთვის ვხარჯავთ დროს.

***— ვოლკოვმა მიზნად ჯგუფიდან გასვლა დაგისახათ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ამოცანა?***

— ბევრი შრომა მოგვიწევს, პირველივე მატჩში ძლიერ გუნდს ვხვდებით რუსეთის ნაკრების სახით. 31 აგვისტომდე გვაქვს საკმარისი დრო სათანადოდ მოსამზადებლად. სადღეისოდ კი ჩემი ამოცანა მოთამაშეთათვის ჩემი მოთხოვნების გაცნობა და ერთ მუშტად შეკვრაა. შანსი ყოველთვისაა, მაშინაც კი, როცა ირგვლივ ამის არავის სჯერა. მთავარია, გავაერთიანოთ მიზნები, ვენდოთ ერთმანეთსა და გამოვავლინოთ ჩვენი ხასიათი...

# ოლივერ კანი: „ტელემაყურებელთა დიდ ნაწილს საფეხბურთო ნიუანსები არ ესმის“

**ოლივერ კანის ფეხბურთიდან გაცილება 2008 წლის 2 სექტემბერს მოხდა და მიუნხენის „ალიანს არენაზე" დიდი ოვაცია გაუმართეს ფეხბურთელს, რომელმაც ადგილობრივ „ბაიერნს" ძალიან ბევრი აჩუქა.**
**მას შემდეგ თითქმის სამი წელი გავიდა...**



***— 2008 წლის ორი სექტემბრის შემდეგ თქვენი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა?***

— სამი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოხდა. უცვლელი მხოლოდ ისაა, რომ თავისუფალი დრო ამჟამადაც არ მაქვს. ყოველი დილა ერთნაირად მეწყება — ვიხსენებ, რამდენი საქმიანი შეხვედრა და ინტერვიუ მაქვს დანიშნული. შემდეგ შინ ვბრუნდები და ბიზნესის ადმინისტრაციის დაოსტატების კურსის დავალებებს ვსწავლობ. შემდეგ რამდენიმე ბიზნეს-პროექტზე მუშაობას ვიწყებ. ეს პროცესი გვიანობამდე გრძელდება. ასეა ყოველდღიურად.

***— აღარ ვარჯიშობთ?***

— სპორტს კვლავინდებურად დიდ ყურადღებას ვუთმობ. ფიტნეს კლუბში დავდივარ, სუფთა ჰაერზე სირბილსაც არ ვივიწყებ, ვთამაშობ გოლფს. თუმცა, ვაღიარებ, როდესაც აქტიურ საფეხბურთო კარიერას ვეწეოდი, გოლფისთვის მეტი დრო მრჩებოდა.

***— უკვე რამენიმე წელია ტელევიზიაში მუშაობთ. კომენტატორის როლში თავს კომფორტულად გრძნობთ?***

— ზდფ-ის არხზე მუშაობა მართლაც დიდ სიამოვნებას მგვრის. ჩემ მოვალეობაში გერმანიის ეროვნული გუნდის თამაშის ანალიზი შედის. საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის ეს იოლი საქმეა, მაგრამ ასე ნაღდად არაა. საფეხბურთო ნიუანსები ტელემაყურებელთა სოლიდურ ნაწილს არ ესმის, ამიტომაც მათ დეტალურად უნდა აუხსნა ყველა დეტალი, გააგებინო გულშემატკივარს, კანონზომიერია თუ არა მინდორზე მიმდინარე მოვლენები. სირთულეების არასდროს მეშინოდა და ახალ რთულ პროფესიასაც სრული პასუხისმგებლობით მოვეკიდე.

***— ფეხბურთელთა უმრავლესობა, აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, ბიზნესმენობას იწყებს. თქვენც ეს სფერო აირჩიეთ. კონკრეტულად რას საქმიანობთ?***

— ჯერ კიდევ სამი წლის წინ პარტნიორებთან ერთად, რეალითი-შოუ დავაფუძნეთ, რომელიც ახალგაზრდა, დამწყებ მოთამაშეებს „დიდი ფეხბურთისკენ“ უხსნის გზას. პროექტი ჩინეთში დავიწყეთ, შემდეგ კი გერმანულ ტელეარხზეც გავუშვით. გითხრათ სიმართლე, ასეთი სახის გადაცემები მრავლადაა, ოღონდ, თუკი სხვები ნიჭიერ მუსიკოსებს, მოდელებს ეძებენ, ჩვენ ფეხბურთელთა გამოვლენა განვიზრახეთ. პროექტი თანდათან ძალას იკრებს და იმედი გვაქვს, ის საერთაშორისო სტატუსს მიაღწევს.

***— გასულ წელს გაყიდვაში გავიდა თქვენი კიდევ ერთი წიგნი — „როგორ მიაღწიო საწადელს“. მოგვიყევით ამ ნაშრომის შესახებ.***

— 2009 წელს მონაწილეობა მივიღე პროექტში, რომელიც გერმანიაში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას ეხებოდა. მაშინ ძალიან ბევრ მოზარდთან მქონდა უშუალო კონტაქტი და თქვენ წარმოიდგინეთ, მათგან ბევრი რამ ვისწავლე. წიგნი კი მათ მივუძღვენი. შევეცადე მათთვის ამეხსნა, როგორ მიაღწიონ წარმატებას, შეეგუონ მარცხს, გამოიტანონ სათანადო დასკვნები და წინ წავიდნენ. ეს საკითხები მოზარდებს ძალიან აწუხებთ და შევეცადე მათთვის ჩემი გამოცდილება უშურველად გამეზიარებინა.

***— წიგნს ბევრი თქვენი კოლეგაც წერს. მათი უმრავლესობა ამას რომელიმე ჟურნალისტთან თანამშრომლობით აკეთებს. თქვენ თუ გყავთ თანაავტორი?***

— ჩემი წინა ნაშრომი, ავტობიოგრაფია, მხოლოდ მე დავწერე. ბოლო ნაშრომს რაც შეეხება, მას თქვენი კოლეგის სახით თანაავტორი ჰყავს.

***— თავად თუ კითხულობთ წიგნებს?***

— ჩემი საყვარელი მწერალი პაოლო კოელიოა. მას პარიზში შევხვდი და ბრაზილიელმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან მაინტერესებს ფილოსოფიაც, ამიტომაც მეცნიერების ამ განხრის ბევრ წიგნს ვკითხულობ.

***— 2010 წლის დეკემბერში „კიოლნი“ სპორტული დირექტორის პოსტს გთავაზობდათ. ამ კლუბის ემისრები უარით გაისტუმრეთ. რატომ?***

— შესაძლოა, სამ-ოთხ წელიწადში ფეხბურთს დავუბრუნდე, სადღეისოდ კი საკუთარი საქმიანობა მაკმაყოფილებს და სიამოვნებას მგვრის. როდესაც საკუთარ ჩანაფიქრს ბოლომდე მივიყვან, რომელიმე კლუბში ადმინისტრაციულ სამუშაოს დავთანხმდები. ისე კი, ფეხბურთთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია — ტელევიზიაში ხომ საფეხბურთო კომენტატორად ვმუშაობ.

***— პლანეტის ადამიანთა დიდი ნაწილი ოლივერ კანის გაცნობაზე ოცნებობს. თავად თქვენ ვისთან გსურთ ყველაზე მეტად შეხვედრა?***

— ალბათ, ელით, რომ დავფიქრდები და შემდეგ რამდენიმე ადამიანს დაგისახელებთ. ცდებით — ყველაზე მეტად ტაიგერ ვუდსთან მსურს ხანგრძლივი საუბარი. ერთხელ მას უკვე შევხვდი, მაგრამ მცირე ხნით და გასაუბრება ვერ მოვასწარით.

# უეფამ ლიგა შეაჯამა

**უეფას ვებგვერდზე ჩემპიონთა ლიგის 2010-11 წლების სეზონის 10 ყველაზე საინტერესო მოვლენა შეაჯამეს. სტატიაში შესულია ყველაფერი, დაწყებული გარეთ ბეილის დიდებული სოლო რეიდებიდან, დამთავრებული რაულ გონსალესის რენესანსით.**



### გარეთ ბეილის გაბრწყინება

მართალია, ამ სეზონის დაწყებამდე „ინტერის“ ბევრ გულშემატკივარს გარეთ ბეილის სახელი და გვარი გაგონილიც არ ჰქონდა, მაგრამ ახლა მას კიდევ დიდხანს ვერ დაივიწყებენ. “ტოტენჰემის“ ლიდერმა ჯერ ჰოლანდიურ „ტვენტეს“ გაუტანა, მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა. „სან სიროს“ თამაშის შემდეგ უელსელმა მთელი ევროპა აალაპარაკა — 21 წლის განაპირა მცველი საქმეში მაშინ ჩაერთო, როდესაც „ტოტენჰემი“ 4:0 აგებდა, თანაც რიცხობრივ უმცირესობაში იყო. თამაშის ბოლოს კი ბეილის ანგარიშზე ევროპის საკლუბო ჩემპიონის კარებში გატანილი 3 გოლი იყო. „დეზებმა“ მაინც წააგეს, მაგრამ ბეილმა შინაურ „ვაით ჰართ ლეინზეც“ დაამტკიცა, რომ ეს შემთხვევითობა არ იყო, „ინტერის“ დაცვა კიდევ ერთხელ დაატერორა და გუნდს 3:1 მოაგებინა.

### დიდებული და საშინელი ლიონელ მესი

წინა სეზონში ლიონელ მესიმ „კამპ ნოუზე“ „არსენალს“ 4 გოლი გაუტანა. წელს კი „მეთოფეები“ ამ არენას ერთბურთიანი ფორითა და მტკიცე გადაწყვეტილებით ეწვივნენ, შეეჩერებინათ არგენტინელი ჯადოქარი. მესის კლასმა მაინც თავისი გაიტანა. მისმა დუბლმა სასწორის პინა „ბარსას“ მხარეს გადახარა.

— მესი ჩვენი ის გენიოსია, ვინც ყველას საქმეს თავად აკეთებს უმძიმეს წუთებში, ისევე როგორც დღეს, — განაცხადა მატჩის შემდეგ „ბლაუგრანას“ მცველმა დანიელ ალვეშმა.

მეოთხედფინალშიც იგივე განმეორდა. მესის წინ ვერც „შახტარის“ მცველები აღუდგნენ. ლეომ თანაგუნდელებს 5:1 გაამარჯვებინა, ხოლო დონეცკელთა დამრიგებელ მირჩა ლუჩესკუს ათქმევინა:

— ჩვენი მთავარი მინუსი ის არის რომ მესი არ გვყავს. ის რომ ჩვენი ფეხბურთელი იყოს, დარწმუნებული ვარ, „ბარსას“ გავუმკლავდებოდით, — ამ სიტყვებში არის სიმართლის მარცვალი, მან ხომ წელს 53 გოლი გაიტანა კატალონიელთა შემადგენლობაში და აქედან 12 ჩემპიონთა ლიგაში.

### ოლიმპიკის რეკორდი

ნოემბერში „მარსელი“ ერთი მატჩით 1993 წლის დიდებულ „წინაპარს“ დაემსგავსა, იმ გუნდს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ფრანგებმა სლოვაკური „ჟილინა“ სულ ნაწილ-ნაწილ დაშალეს და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე დიდ საგარეო გამარჯვებას მიაღწიეს. ასეთი გამარჯვება კი გასაოცარი იმით იყო, რომ დიდიე დეშამის გუნდმა საკუთარ „ველოდრომზე“ იმავე „ჟილინასთან“ დიდი გაჭირვებით მოიგო.

— ჩემპიონთა ლიგაში 7 გოლის გატანა იშვიათობაა და ეს ჩვენ საკუთარი ძალების რწმენას გაგვიღვივებს, — განაცხადა მატიე ვალბუენამ.

მართლაც, „მარსელი“ პირველად 21-ე საუკუნეში ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში გავიდა.

### დაჯავშნული მანჩესტერი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ოდითგანვე ცნობილი იყო შემტევი ფეხბურთით. ამ სეზონში კი გუნდისთვის წარმატება ძლიერ დაცვას მოჰქონდა. „მანიუს“ გასვლით შეხვედრებში არც ერთი გოლი არ გაუშვია, ხოლო 12 მატჩში მეტოქეებმა მისი კარის აღება მხოლოდ 4-ჯერ მოახერხეს. ნემანია ვიდიჩისა და რიო ფერდინანდის დუეტს მთელი ევროპა შენატრის.

თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ლიგაში ყველაზე მეტჯერ „მანიუს“ მცველთაგან კრის სმოლინგმა და პატრის ევრამ ითამაშეს.

ლიგის ისტორიაში „მანჩესტერზე“ ცოტა გოლი (2-2) ფინალამდე „არსენალსა“ და „აიაქსსაც“ გაუშვიათ. სიმბოლურია, რომ 2006 წელს „მეთოფეებმა“ „ბარსელონასთან“ წააგეს, 1995 წლის „აიაქსის“ კარში კი ედვინ ვან დერ სარი იდგა.

### ზაჰავის დესერტი

ერან ზაჰავიმ ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ლიონს“ არნახული გოლი გაუტანა. თავად ფეხბურთელმა აღიარა, რომ კარიერაში არაფერი ამის მსგავსი იქამდე გაკეთებული არ ჰქონია. „ჰაპოელის“ გამთამაშებელმა ძალიან უნდა მოინდომოს, რომ ოდესმე ამაზე ლამაზი ბურთი კიდევ გაიტანოს. როცა ეს გოლი გავიდა, ტრიბუნებზე „ლიონის“ ლეგენდები ბერნარ ლაკომბი და სონი ანდერსონი აღფრთოვანებულნი ადგილიდან წამოხტნენ. თამაშის შემდეგ კი „ჰაპოელის“ მწვრთნელმა ელი გუტმანმა განაცხადა, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გოლი, რომელიც ოდესმე ჩემპიონთა ლიგაში გასულა. არადა, რომ არა სალიმა ტოემის უზუსტო ფლანგური ჩაწოდება, რამაც ზაჰავის მაკრატელას დარტყმა აიძულა, ეს ყველაფერი არ იქნებოდა.

### მისტერ ჩემპიონთა ლიგა

როცა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 33 წლის რაულმა მზიანი მადრიდი ინდუსტრიულ გელზენკირხენზე გაცვალა, თავიდან დაჯერებაც კი ძნელი იყო. თუმცა ეჭვები იმის შესახებ, რომ ჰქონდა თუ არა ვეტერანს შერჩენილი მოტივაცია, მალევე გაქრა და სწორედ რაულის წინამძღოლობით ჩაატარა „შალკემ“ ერთ-ერთი საუკეთესო ევროსეზონი

კლუბის ისტორიაში. ლეგენდარულმა თავდამსხმელმა „ინტერთან“ მატჩში გაიბრწყინა და საფინალო სასტვენის შემდეგ გულშემატკივრებთან ერთად დიდხანს ზეიმობდა ნახევარფინალში გასვლას. რაული თანაგუნდელთა შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. ლიგაში სარეკორდო 71-ე გოლის გატანის შემდეგ კრისტოფ მეტცელდერმა მას „მისტერ ჩემპიონთა ლიგა“ უწოდა. ედუმ კი დაამატა:

— რაული არაჩვეულებრივია. მას გააქვს ვარჯიშებზე, თამაშებში და ერთპიროვნულად წყვეტს მატჩის შედეგებს ნებისმიერ დონეზე. მეტიც, ის ერთმანეთის მიყოლებით აკეთებს ამას.

### ვეტერანების ნიშნით

ლიგის უკანასკნელი გათამაშება ორი ვეტერანისთვის განსაკუთრებული გამოდგა. ხავიერ ძანეტიმ, ფეხბურთელმა, ვინც „ინტერს“ 16 წელია ერთგულად ემსახურება, „ტოტენჰემის“ კარში გატანილი გოლით, გახდა ყველაზე ხანდაზმული ფეხუბრთელი, ვისაც ოდესმე ლიგაში თავი გამოუჩენია. ამ შეხვედრაში არგენტინელი 37 წლისა და 71 დღის იყო.

არგენტინელმა ამით ლორან ბლანის რეკორდი მოხსნა, რომელიც ფრანგმა 2002 წელს დაამყარა. თუმცა ძანეტის მიღწევამ დიდხანს ვერ გაძლო. „მანიუს“ ლეგენდა რაიან გიგზმა 37 წლისა და 148 დღისამ შეძლო „შალკეს“ კარების აღება.

### დანიის სამეფოში მშვიდობაა

უდიდეს წარმატებას მიაღწია „კოპენჰაგენმა“. ის გახდა პირველი დანიური კლუბი, რომელმაც პლეი-ოფს მიაღწია. სტოლე სოლკბაკენის შეგირდებმა პირველ 2 ტურში „რუბინი“ და „პანათინაიკოსი“ დაამარცხეს, თუმცა დანიელებმა საუკეთესო მატჩი „ბარსელონასთან“ ჩაატარეს (1:1).

— თითქმის 1 საათის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთსო გუნდთან თანაბრად ვიბრძოდით. ფრე 11 სუპერვარსკვლავთან ალალად დავიმსახურეთ, — განაცხადა სოლკბაკენმა.

— ფიზიკურად ასეთ მომზადებულ გუნდთან ჯერ არასოდეს გვითამაშია, — დაეთანხმა მას ხოსეპ გვარდიოლაც.

### შახტარის ამბიციური გეგმები

დონეცკის „შახტარი“ „ბარსელონასთან“ მეოთხედფინალში გამოვარდა და იმავე წამს კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა გუნდისგან სამომავლოდ უფრო მეტი მოითხოვა:

— სერიოზული სამუშაო ახლაღა იწყება. მჯერა, რომ „შახტარს“ ნაბიჯ-ნაბიჯ შეუძლია მივიდეს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებასთან.

ახმეტოვი ერთადერთი ადამიანი არ არის, ვისაც დონეცკური კლუბის დიდი მომავლისა სჯერა. გუნდით აღფრთოვანებულია „რომას“ ყოფილი დამრიგებელი კლაუდიო რანიერიც:

— „შახტარს“ ახალგაზრდა და ნიჭიერი შემადგენლობა ჰყავს. ისინი მშვენივრად ფლობენ ბურთს და მუდმივად თავისუფალ პარტნიორს ეძებენ. ეს გუნდი „ბარსელონას“ მაგონებს, კატალონიელებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა დარჩათ გასავლელი.

### ლონდონური წყევლა

გასაკვირია, მაგრამ ჯერ არც ერთ ლონდონურ კლუბს ჩემპიონთა ლიგა არ მოუგია. არადა, ლიგაში ამ ქალაქს 3 წარმომადგენელი ჰყავდა — „ჩელსი“, „არსენალი“, „ტოტენჰემი“, პლე- ოფში სამივემ გააღწია და ფინალიც სწორედ ბრიტანეთის დედაქალქში იყო დანიშნული, მაგრამ ლონდონი ისევ მშრალზე დარჩა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

- სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.
- მამაკაცებისთვის!იმპოტენციის,პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# აგვიხსნას ხელისუფლებამ, როგორ მიიტანეს მომიტინგეებმა რუსთაველზე მოლოტოვის კოქტეილი

გულიკო ბალა ე

„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" გმობს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სადამსჯელო აქციას და მოითხოვს მომხდარის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ გამოძიებას, რომელსაც საზოგადოებაც დაეთანხმება.

— რადგანაც ინტერვიუ იწერება მომხდარი ფაქტიდან, ანუ ადამიანების მკვლელობის, გატაცების, დასახიჩრების ფაქტებიდან ერთი კვირის თავზე, 26 მაისის ღამიდან 7 დღე შესრულდა. აქ მოსული ვართ ადამიანის უფლებათა დამცველები, რომლებიც ცალსახად ვგმობთ იმ შედეგებს, რომლებიც ხელისუფლების პასუხისმგებლობითა და ინიცირებით განხორციელდა 26 მაისის გამთენიისას. ჩვენი ორგანიზაცია მოითხოვს მომხდარის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, მაგრამ აუცილებლად გამოძიებას, რომლის შედეგები სარწმუნო უნდა იყოს და საზოგადოებამ უნდა მიიღოს, — განაცხადა ნინო ციხისთავმა.

ნინო ციხისთავის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით გაერთიანდნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სასაცილოა ტერმინი „სანქცირებული დემონსტრაცია და მიტინგი სატირალი რომ არ იყოს და არასანქცირებული მიტინგის დარბევა".

— ეს ტერმინები ზოგიერთ ქვეყანაში სასაცილოა, მაგრამ ჩვენ უკვე სამგლოვიარო გაგვიხდა ასეთი მიდგომა იმ ადამიანებისგან, რომლებიც მინიმუმ იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას და მაქსიმუმ ევალებათ, რომ ეს კანონმდებლობა აღასრულონ. როდესაც საუბარია იმაზე, რომ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები (ვსაუბრობ კოალიციაზე, რომელსაც ჰქვია „ევროპული საქართველოსთვის") აცხადებენ, რომ 26 მაისის აქციაზე ექსტრემისტული ჯგუფი იყო და ექსტრემისტების წინააღმდეგ სწორედაც რომ ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადადგას და, პირიქით, ხელისუფლებას სთხოვენ, აქციის მონაწილეებისა და ორგანიზატორების მიმართ მეტი სისასტიკე გამოიჩინოს. ეს იმდენად აღმაშფოთებელია, რომ ეს კონკრეტული საკითხი ცალკე შეფასების საგანია, — ამბობს იგი.

ხელისუფლება აცხადებს, რომ აქცია უკანონო და არასანქცირებული იყო და ამიტომ დაშალეს. „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" ამ საკითხზე განმარტებას აკეთებს.

**ნინო ციხისთავი:**

— ვინც დაყრუებულია, ის ამას ვერასოდეს გაიგებს, მაგრამ განვმარტავ, რომ დემონსტრაციის შესახებ შეტყობინება იმ მიზანს ემსახურება, რომ დემონსტრანტები და დემონსტრაცია უსაფრთხოდ და დაცულ გარემოში ჩატარდეს. ხელისუფლების ვალდებულებაა, აქციაზე წესრიგის დაცვა უზრუნველყოს. კანონის ეს დოგმა მხოლოდდამხოლოდ დღეს არსებულმა საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება შეატრიალოს, ამ საკითხით ისპეკულანტოს და თქვას, რომ თურმე არასანქცირებული იყო და ამიტომ უნდა დაერბია.

***— ქალბატონო ნინო, რამდენად ადეკვატურია ის შეფასებები, რომლებიც პარლამენტში გაისმა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მხრიდან?***

— უმრავლესობის შეფასებები ცინიკური და არაჰუმანურია. ასეთ ტრაგედიაზე, როცა სისხლი დაიღვარა, როცა ადამიანები გაუჩინარებულები არიან და მათი ოჯახების ტერორი მიმდინარეობს, ხალხს სერიოზული დაზიანებები აქვს მიღებული, პარლამენტის „უმრავლესობის" შეფასებები სამარცხვინო და არაკანონიერია. 2004 წლის შემდეგ ყოველ წელს ჩადის ხელისუფლება მსგავს დანაშაულს. შემიძლია, ქრონოლოგიურად ჩამოგითვალოთ და დავასაბუთო, რატომ აღარ აქვს აზრი და რატომ გაცვდა ეს შეფასებები. ხელისუფლებამ სრულიად ყრუ ქვითკირის კედელი ააშენა და თავისი თავის არსებობაზე, გადარჩენასა და გაძლიერებაზეა ორიენტირებული და ხალხისაგან და კანონისაგან სრულიად დისტანცირებული გახდა. მშვიდობიანი დემონსტრანტების დაშლისა და დარბევის ფაქტი საზოგადოებამ თუ არ გამოიძია, ამ საკითხზე მსჯელობა მუდმივად იქნება.

***— არასამთავრობოების პროტესტი, აქციები ხელისუფლებას ოდნავ მაინც თუ შეაცვლევინებს დამოკიდებულებას, მსგავსი საკითხებისადმი მიდგომას?***

— ვწუხვარ, რომ წლების განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციებს არ გვეძლევა საშუალება, ჩვენი საქმე ვაკეთოთ. ხელისუფლება საშუალებას აღარ გვაძლევს, ჩვენი ფუნქციები შევასრულოთ, რადგან ყოველ წუთში ახალ-ახალ საშინელებებსა და უბედურებებს ატრიალებს. ხელისუფლებას უნდა შევაცვლევინოთ ძალადობისთვის მიმართვა, ყოველ კონკრეტულ და ზოგად შემთხვევაში. ამისთვის საზოგადოება უფრო მეტად უნდა იყოს მობილიზებული. საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა მოვთხოვოთ, მსგავს შემთხვევებში უფრო მტკიცე პოზიცია დაიკავოს. დარბევის ფაქტს უპრეცედენტოდ ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია გამოეხმაურა. მათ შორისაა ლტოლვილთა კომისარიატი. ძალიან ბევრი ისეთი საერთაშორისო სტრუქტურა გამოეხმაურა, რომლებიც წინა წლებში ასეთ განცხადებებს არ აკეთებდნენ. ადამიანის უფლებების დასაცავად ყველა უნდა გავერთიანდეთ.

***— ხელისუფლებას, ალბათ, ხალხის დაშინება უნდოდა. პირიქით კი შეიძლება იყოს. რამდენად შეიძლება გამართლდეს ხელისუფლების იმედები, რომ მიტინგზე მისული ადამიანების სამაგალითო დასჯით ხალხს შეიძლება შეეშინდეს და პროტესტი აღარ გამოთქვას?***

— განსაკუთრებით საფრთხილოა ადამიანების დაშინებასთან დაკავშირებით ექსპერიმენტების ჩატარება, რასაც ხელისუფლება მიმართავს ხოლმე, იმიტომ რომ შიშსაც აქვს თავისი დასასრული. თუ ქართველმა საზოგადოებამ და ხალხმა შიში დაძლია, შემდეგ მართლა იქნება ძალიან ცუდი პროცესები.

***— ხელისუფლებას აქვს ერთი ძალიან დიდი „გამამართლებელი არგუმენტი", რომ თითქოს მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება, რუსეთი შემოდიოდა და ა.შ. ამ საკითხის მიმართ თქვენი დამოკიდებულება როგორია?***

— მინდა, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო — ჩვენ ყველანი ვართ გადასახადების გადამხდელნი. გადასახადებს იმიტომ ვიხდით, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავისი საქმე შეასრულოს. თუ მათ მსგავსი ინფორმაცია ჰქონდათ, მათი პირდაპირი ვალდებულება იყო, საპრევენციოდ იმთავითვე მიეღოთ ზომები და ყველაფერი კონკრეტული დოკუმენტებით საზოგადოებისთვის ცნობილი ყოფილიყო.

***— ზომების მიღებად ხელისუფლება 26 მაისის საპროტესტო აქციის აღკვეთას მიიჩნევს.***

— ასე არ არის. ჩვენ გვაქვს ამ ხელისუფლებისაგან ნაჩვენები უამრავი პრეცედენტი, რომ ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ძალიან კონკრეტული ნაბიჯები გადაუდგამთ. თუ მათ ჰქონდათ რაიმე მასალა, რომ გადატრიალება მზადდებოდა ან რალაც მსგავსი იგეგმებოდა, მათ პრევენციისთვის, საზოგადოებრივი სიმშვიდისა და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისთვის, პრევენციისთვის უნდა გადაედგათ კონკრეტული ნაბიჯები და არა უდანაშაულო ადამიანების სისხლისღვრით, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მატერიალური დაზიანებებით, დაზარალებით და მთელ საზოგადოებაში შიშისა და ტერორის დამკვიდრებით განახორციელონ თავიანთი მიზნები.

***— რაც მტკიცებულებებიც გამოაჩინეს, საკმარისია ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო გადატრიალება ნამდვილად მზადდებოდა?***

— ანუ თქვენ მოლოტოვის კოქტეილებზე საუბრობთ? მოლოტოვის კოქტეილებზე მე მხოლოდ ოფიციალური არხებისაგან მოვისმინე. იქ ხალხი მისული იყო თავიანთი შვილებითა და ახლობლებით. წარმოუდგენელია, მათ მსგავსი რამ განზრახული ჰქონოდათ. ერთი მაინც როგორ არ გამოიყენეს, მაშინ რისთვის მიიტანეს, ხელისუფლებისთვის რომ ეჩვენებინათ? თავიანთ წინააღმდეგ მტკიცებულებები ხელისუფლებისთვის მიეცათ? რისთვის მიიტანეს? თუ ამდენი რამ მიტინგზე ქალაქის ცენტრში მიატანინეს, სად იყვნენ ქვეყნის სპეციალური სამსახურები? თუ მოსახლეობისთვის ამდენი, სერიოზული საფრთხის შემცველი, ზარალისა და ზიანის მომტანი ასაფეთქებელი იარაღი მიჰქონდათ იქ, სად იყვნენ მაშინ ის სპეცსამსახურები, რომლებმაც ის მოლოტოვის კოქტეილები იქამდე მიატანინეს?

# რატომ დააპატიმრეს ჟურნალისტი ალეკო ჩებინიძე



ჟურნალისტი ალეკო ჩუბინიძე სამართალდამცავებმა 26 მაისს, თბილისში, საპროტესტო აქციის დაშლის დროს დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას პოლიციის თანამშრომლებისთვის დაუმორჩილებლობის ბრალდებით 30 დღის ვადით პატიმრობა შეუფარდა. ჟურნალისტი თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფება. მას სხეულის სხვადასხვა დაზიანებები აღენიშნება.

28 მაისს გავრცელებულ განცხადებაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიუთითებს, რომ იზოლატორში მყოფი ალეკო ჩუბინიძე სასტიკად არის ნაცემი. ხელმიუწვდომელია სამედიცინო მომსახურება. 2 დღეა იზოლატორში მყოფ პირებს არ მიეწოდებათ საკვები□, - აღნიშნავდნენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.საიას მიაჩნდა, რომ დაკავებული პირების მიმართ ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან არაადამიანურ მოპყრობას. შესაბამისად, ასოციაცია მოითხოვდა პატიმრების სიცოცხლისათვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, იზოლატორის ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ უზრუნველყო სამედიცინო მომსახურებისა და საკვების მიწოდება დაკავებული პირებისთვის.

უფლებადამცველი ორგანიზაციის განცხადების შემდეგ თელავის იზოლატორში მყოფი პატიმრები ექიმმა მოინახულა. ასევე, მათ მიაწოდეს საკვები.ამჟამად როგორია დაპატიმრებული ჟურნალისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამ კითხვით ალეკო ჩუბინიძის ადვოკატს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელს, მარეხ მგალობლიშვილს მივმართეთ:

— ახლა თავს კარგად გრძნობს. მასაც, ისევე როგორც სხვებს სტანდარტულად შეფარდებული აქვს 30 დღიანი პატიმრობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით. ბოლოს ის „სახალხო კრების" პრესსამსახურის თანამშრომელი იყო, — აღნიშნა მარეხ მგალობლიშვილმა.

ალეკო ჩუბინიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა საერთო ეროვნულ ტელეკომპანიებში.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ქალაქის ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# შსს-ს გენინსპექციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გიორგი გეგეჭკორი დაინიშნა

შსს გენერალური ინსპექციის უფროსის თანმდებობაზე ვასილ სანოძე საპატრულო პოლიციის უფროსმა გიორგი გეგეჭკორმა შეცვალა.

აღნიშნული ინფორმაცია შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა დაადასტურა.

მისი ცნობით, გეგეჭკორი ახალ თანამდებობაზე მუშაობას უკვე შეუდგა. ჯერჯერობით უცნობია საპატრულო პოლიციის უფროსად ვინ დაინიშნება.

შეგახსენებთ, რომ ვასილ სანოძე ისრაელში მკურნალობს. რამდენიმე კვირის წინ ის რესპუბლიკურ საავადმყოფოში თავში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით მიიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, მას იარაღი შემთხვევით გაუვარდა.

**მედიანიუსი**



ჩემო საყვარელო
ფიქრია!
გილოცავ 65 წლისთავს.
დაესწარი მრავალს
შენს ოჯახთან ერთად.
გისურვებ
ჯანმრთელობასა და
ბედნიერებას.

*ომარი*

## ორშაბათი 6 ივნისი

06.30 დოკ.ფ."მსოფლიოს ქალაქები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 აქცენტები 15.00 სერ. **"ხუთი და"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 სილამაზის ფორმულა 18.30 მედ-ინფო 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ხუთი და"** 22.00 აუდიტორია 23.00 სპორტული თოქ-შოუ "არენა" 00.30 ღამის საუბრები 01.30 მხ.ფ.**"შავი ქორის დესანტი"** (18) (ე. მაკგრეგორი) 03.55 მოამბე 04.15 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი **"მერლინის შეგირდი"** 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 რეგიონის დროით 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" 20.00 მხ. ფ. **"შინ დაბრუნება"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"ბაგსი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. **"მორენას ვნება"** 18.45 სერ. **"ავრორა"** 19.45 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 22.00 ნიჭიერი (პირდ.) 00.00 საფეხბურთო ღამე 01.00 შუა დღე (გან.) 03.00 პატრული 03.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 11.30 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 შეგირდი (გან.) 23.45 ღამის შოუ (გან.) 01.25 მხ. ფილმი **"ადრენალინი"** (15) (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) 03.20 მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (15) (შ. ტერონი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"ბოშები"**

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 პულსი 16.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 05.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.50, 21.00 სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** 12.50, 19.30 სერ. **"უკვალოდ"** 14.50 ფერისცვალება 15.00 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 18.00 დოკ. ფილმი 23.00 სახლი ბათუმში 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საგალობელი 12.05 მხ. ფილმი **"შერეკილები"** 13.35 კონცერტი – ნ. გელაშვილი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.05 სპექტაკლი **"აქ მატარებლებს თეთრად ათოვს"** 16.45 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.20 მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად 17.45 მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფ.**"დანაშაული მოხდა"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დრო და ტრადიციები 22.20 დოკ. ფილმი "ოსანა მაღალთა შინა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. ფილმი **"პიესა ოთხი ხელისთვის"** 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 სუფთა დაფა

## სამშაბათი 7 ივნისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 სპორტული თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. **"ხუთი და"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 ჩვენი ფერმა 18.30 დამზადებულია საქართველოში 19.05 დოკ. ფილმი "დრო" 21.00 სერ. **"ხუთი და"** 22.00, 01.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 მხ. ფ.**"მშვენიერი ბედაურები"** (მ. დეიმონი) (სუბტ.) 01.10 მოამბე 02.30 აუდიტორია

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 19.00 დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" 20.00 მხ. ფილმი **"ჩარლის ანგელოზები – მხოლოდ წინ"** 01.00 მხ. ფილმი **"შავი ქორის დესანტი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 ვანოს შოუ (გან.) 17.00 სერ. **"მორენას ვნება"** 18.45 სერ. **"ავრორა"** 19.45 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 ვის უნდა 20 ათასი 00.00 შუა დღე (გან.) 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 "ფეის კონტროლი" 01.00 პოკერ რინგი 02.25 მხ. ფილმი **"მისტერ და მისის სმითები"** (12) (ბ. პიტი) (სუბტ.) 04.40 მხ. ფილმი **"ვიკი კრისტინა ბარსელონა"** (18) (პ. კრუსი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"ბოშები"**

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.20 იმედის ფსონი (პირდ.) 16.10 სერ. **"ვნებათა მიწა"** 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 05.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.00, 16.00 სახლი ბათუმში 11.50, 21.00 სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** 12.50, 19.30 სერ. **"უკვალოდ"** 15.00 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 18.00 დოკ. ფილმი 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 მოკ. ფილმი **"პიესა ოთხი ხელისთვის"** 10.50 დოკ. ფილმი "ოსანა მაღალთა შინა" 11.30 დრო და ტრადიციები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ.**"დანაშაული მოხდა"** 13.30 კონცერტი – ე. სავიცკი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.30 მხ. ფ. **"ადამიანთა სევდა"** 16.55 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 17.20 მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად 17.45 მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ. ფილმი **"პიერი მილიციის თანამშრომელი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სალვთისმეტყველო საუბრები 22.20 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კარაბადინი

## ოთხშაბათი 8 ივნისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია (გან.) 13.30 მეხსიერება 14.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 15.00 სერ. **"ხუთი და"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 ჩვენი სამართალი 18.30 სილამაზის ფორმულა 19.05 დოკ. ფილმი "დინოზავრების კვალდაკვალ" 21.00 სერ. **"ხუთი და"** 22.00 ევროპული არჩევანი 23.30 აივანი 00.00 მხ. ფ. **"მინის სახლი"** (15) 01.50 მოამბე 02.10 ევროპული არჩევანი 03.35 ჩვენი ეზო

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 19.00 დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" 20.00 მხ. ფილმი **"კევინ ჯონსის გაუჩინარება"** 01.00 მხ. ფილმი **"მშვენიერი ბედაურები"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. **"მორენას ვნება"** 18.45 სერ. **"ავრორა"** 19.45 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.00 შუა დღე (გან.) 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 ყოფილი ცოლების კლუბი 23.00 თბილისი ლაივი 23.45 შეგირდი 00.15 პოკერ რინგი 01.25 მხ. ფილმი **"მოგზაური"** (18) (დ. არკეტი) (სუბტ.) 03.20 მხ. ფილმი **"ნამდვილი მაკკოი"** (ვ. ქილმერი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"ბოშები"**

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 ფარული კამერა 16.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 05.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.50, 21.00 სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** 12.50, 19.30 სერ. **"უკვალოდ"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.30 დროის ვექტორი 18.00 დოკ. ფილმი 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 11.00 მგზავრები წუთისოფლისა 11.25 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"პიერი მილიციის თანამშრომელი"** 13.30 კონცერტი – ჯ. ლასტი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 მხ. ფილმი **"წისქვილი ქალაქის გარეუბანში"** 16.25 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 16.50 კვირიაკე 17.45 მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"განგაში"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.35 დოკ. ფილმი "პირიქითა ხევსურეთი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სუფთა დაფა 00.40 განთიადის სტუმარი 01.00 ჯემალ მონიავას საღამო

## ხუთშაბათი 9 ივნისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ევროპული არჩევანი 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. **"ხუთი და"** 17.00 ან. ფილმი "სამურაი" 18.00 მედ-ინფო 19.05 დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ხუთი და"** 22.00, 03.20 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 სი ბემოლი 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი **"დიდი ღამე"** 04.20 მხ. ფ.**"ზოროს ნიღაბი"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 19.00 დოკ. ფილმი "ძველი საბერძნეთის გმირები" 20.00 მხ. ფილმი **"ჰოლივუდელი გამომძიებლები"** 01.00 მხ. ფილმი **"მინის სახლი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 ნიჭიერი (გან.) 17.00 სერ. **"მორენას ვნება"** 18.45 სერ. **"ავრორა"** 19.45 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 22.00 პროფილი 00.00 შუა დღე (გან.) 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 შეგირდი (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 **შეგირდი** 23.40 რემონტი (გან.) 00.00 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი (გან.) 01.55 მხ. ფ. **"ლამაზი ქალი"** (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) 04.15 მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (სუბტ.) 06.30 სერ. **"ბოშები"**

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 პულსი 16.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 17.00 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 22.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 23.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 00.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 02.00 ფარული კამერა 02.30 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.00 სცენა 11.50 სერ.**"მომიყევი ერთი ამბავი"** 12.50, 19.30 სერ. **"უკვალოდ"** 14.50 სცენა 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.30 დროის ვექტორი 18.00 დოკ. ფილმი 21.00 სერ. **"მამები"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 დოკ.ფ."პირიქითა ხევსურეთი" 11.00 სუფთა დაფა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"განგაში"** 13.30 კონცერტი – ლ. პავაროტი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი **"ორომტრიალი"** 16.55 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 17.20 მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად 17.45 მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" 18.05 სალვთისმეტყველო საუბრები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფ. **"ხაფანგი"** 1-ლი ს. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 მიწათმოქმედი 21.40 წარმატების ფორმულა 22.20 დოკ. ფილმი "ფალავნები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 01.20 კონცერტი – ე. ბოლქვაძე

## პარასკევი 10 ივნისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 02.45 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. **"ხუთი და"** 17.00 **ჭიდაობა**. ბალავაძე □კარტოზიას საერთ. ტურნირი. ფინალები 19.05 დოკ.ფ."იმპერიის მშენებლობა" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ხუთი და"** 22.00, 02.20 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი **"ჩარულოტა"** 03.20 მოამბე 03.40 მხ. ფილმი **"სარკეს ორი მხარე აქვს"** (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 19.00 დოკ. ფილმი "ძველი საბერძნეთის გმირები" 20.00 მხ. ფ.**"ზოროს ნიღაბი"** 01.00 მხ. ფილმი **"დიდი ღამე"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 პროფილი 18.45 სერ. **"ავრორა"** 19.45 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 კომედი შოუ (გან.) 00.00 შუა დღე (გან.) 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ (პირ.) 13.45 ტვ-მარკეტი 14.40 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ.**"გოგონა გარეუბნიდან"** 23.00 ღამის შოუ 00.00 **შეგირდი** 00.30 მუსიკალური ლიგა (გან.) 01.45 ფლეიბოი იმედზე 02.15 მხ. ფ.**"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** (ო. ჰეპბერნი) 04.35 მხ. ფილმი **"ტალადეგას ღამეები"** (გ. კოული) (სუბტ.) 07.15 სერ. **"ბოშები"**

08.00 ანიმაცია 09.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00 გოგიჩას დილა 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.20 ფარული კამერა 16.10 სერ. **"ვნებათა მიწა"** 17.10 მხ. ფილმი 19.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 21.00 105 წუთი 22.45 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 05.00 მხ. ფილმი

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.50, 21.00 სერ. **"მამები"** 12.50, 19.30 სერ. **"უკვალოდ"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 18.00 დოკ. ფილმი 19.00 მუსიკა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "ფალავნები" 11.00 ჟურნალისტის დღიური 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ.**"ხაფანგი"** 1-ლი ს. 13.30 კონცერტი – ქართული საგალობლების საღამო 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფ. **"ჩრდილი გზაზე"** 16.50 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 17.20 მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად 17.45 მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ. ფ. **"ხაფანგი"** მე-2ს. 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ფალავნები" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## შაბათი 11 ივნისი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 სერ. **"ჰერაკლე"** 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.15 მხ. ფილმი **"ტუტსი"** 14.00 სპექტაკლი **"მაგრამ მერე რა"** 16.15 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 **ჭიდაობა**. ბალავაძე –კარტოზიას საერთ. ტურნირი. ფინალები 19.00 კონცერტი: ლელა სიხარულიძის ბენეფისი 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 კონცერტი: ერიკ კლაპტონი და მეგობრები 23.00 პილოტი 00.00 მხ. ფილმი **"მერი რაილი"** (18) (ჯ. რობერტსი) 02.20 წითელი ზონა 03.20 მხ. ფილმი **"ჩარულოტა"** 05.35 მხ. ფილმი **"შეწყვეტილი ცხოვრება"** (12)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 დოკ. ფილმი "ძველი საბერძნეთის გმირები" 19.00 რეგიონის დროით 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფილმი **"სარკეს ორი მხარე აქვს"** 22.30 ლელა სიხარულიძის ბენეფისი 23.35 წითელი ზონა 00.10 მხ. ფილმი **"ჩარულოტა"**

08.00 კურიერი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 სერ. "დაკარგული სამყარო" 10.00 ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) 11.00 ეკივოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 13.00 ქართ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. **"ავრორა"** 19.50 სერ. **"ელენას მოჩვენება"** 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 მხ. ფილმი **"სპირალი"** 23.00 სერ. **"დეტექტივები"** 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 08.40 მხ.ფ.**"ზოლიანი ჩემპიონი"** 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 გადაიხადე ნაკლები 11.45 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.35 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 14.30 რემონტი 15.00 თბილისი ლაივი 15.40 **"გოლდენ ტალანტ 2011"** დღიური 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 **შეგირდი** 23.45 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.00 ფლეიბოი იმედზე 01.30 სერ. **"შუამავალი"** მე-11ს. 02.40 მხ.ფ.**"იტალიური ისტორია"** (15) (მ. ბუღლუჩი) (სუბტ.) 04.50 მხ.ფ.**"ბრილიანტის ამბავი"** (12) (კ. ევანსი) (სუბტ.) 07.15 სერ. **"ბოშები"**

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 ფარული კამერა 11.30 პულსი 12.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.10 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 17.30 საბ. კონცერტი "მგრინავი რაში" 19.30 მხ. ფილმი 21.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 05.00 მხ. ფილმი

08.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 22.00 სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** 09.30 ესტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. **"მამები"** 13.15, 19.30 სერ. **"უკვალოდ"** 14.30 დროის ვექტორი 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.30 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 18.00 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.20 ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 მოკ. ფილმი "პეპელა" 10.40 კვირიაკე 12.15 მხ. ფ. **"ხაფანგი"** მე-2ს. 13.30 მულტფილმი 15.25 ოპერა 17.05 მოკლ. ფ. **"მეზობლები"** 17.20 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 17.45 მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" 18.05 სატ. არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.30 მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 თბილისის ტაძრები 22.30 მოკ. ფ. **"ღვინის ქურდები"** 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" 00.30 სატ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები

## კვირა 12 ივნისი

08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 სერ. **"ჰერაკლე"** 12.00, 16.00, 20.00, 03.25 მოამბე 12.15 მხ. ფილმი **"უნებლიე მილიონერი"** 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სი ბემოლი 15.20 ქართული დოკუმენტალისტიკა 16.30 დოკ. ფ."ხეების პლანეტა" 17.00 **ჭიდაობა**. ბალავაძე –კარტოზიას საერთ. ტურნირი. ფინალები 19.00 ვაშინგტონი დღეს 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 დოკ. ფ."ევროვიზია 2011" 23.00 პილოტი 00.00 "კავკასუს ლაივი" 01.00 მხ. ფილმი **"შემოდგომის ლეგენდები"** (ბ. პიტი) 03.45 აქცენტები 04.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი

08.00 დოკ. ფილმი "ძველი საბერძნეთის გმირები" 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი "კვაჭი კვაჭანტირაძე" 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი "ტიბეტი დაკარგული სამყარო" 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 21.30 მხ. ფილმი **"შემოდგომის ლეგენდები"** 23.35 კონცერტი: ერიკ კლეპტონი და მეგობრები 00.35 მხ. ფილმი **"მერი რაილი"**

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. 11.00 საბავშვო ამბები 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.20 სერ. **"სიამაყე"** 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კომედი შოუ 22.00 ქართ. ფილმი **"სპირალი"** 23.00 ქართ. სერ. **"დეტექტივები"** 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 08.40 მხ. ფილმი **"უდიპლომო სასიძო"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 საბ. გადაცემა "ორმაგი რისკი" 12.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.35 სერ.**"ჰანა მონტანა"**17-18ს. 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 საბ. გადაცემა "თავდაყირა" 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სერ.**"გოგონა გარეუბნიდან"** 20.15 იმედის გმირები 20.30 მუსიკალური ლიგა 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 **შეგირდი** 00.00 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 01.30 სერ. **"შუამავალი"** მე-12ს. 02.40 მხ. ფილმი **"ოთხი ოთახი"** (15) (ა. ბაბდერასი) (სუბტ.) 04.35 მხ. ფილმი **"უცხოები"** (18) (ლ. ტაილერი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"ბოშები"**

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 11.30 პულსი 12.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.10 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 მხ. ფილმი 18.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 19.00 ფარული კამერა 20.00 მზის კინოკლუბი. მხ. ფილმი **"ყარაბახი 2"** 23.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 05.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 22.00 სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.40, 21.00 სერ. **"მამები"** 13.00, 19.30 სერ. **"უკვალოდ"** 15.00 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 18.00 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 მოკ. ფილმი **"ღვინის ქურდები"** 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "ერვი ჭოროხის შვილები" 1-ლი ნ. 11.40 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 13.30 ქართული მულტფილმები 13.50 დოკ. ფილმი "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.35 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 სუფთა დაფა 16.50 დრო და ტრადიციები 17.15 სალვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.25 მხ. ფილმი **"პასტორალი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 22.40 სულთმოფენობა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 კინოკლასიკა **"ელისო"** 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.40 ოპერა

# დედას ჩემი არჩევანი არ მოსწონს



## როგორც კი შანსი მომეცემა, შეყვარებულთან ერთად გავიპარები

ნინუცა 22 წლისაა. როგორც თავად ამბობს, ამ ხნის განმავლობაში სამჯერ იყო შეყვარებული, მაგრამ სამჯერვე იმის გამო დაშორდა შეყვარებულს, რომ ისინი დედამ დაუწუნა.

გოგონა დედის გაუთავებელმა წუწუნმა და პრეტენზიებმა იმდენად დაღალა, რომ ბოლო შეყვარებულთან ერთად გაიპარა კიდეც, მაგრამ მშობლებმა მიაგნეს და სახლში დააბრუნეს. ნინუცა ისეა გაბრაზებული საკუთარ მშობლებზე, პირობა დადო, როგორც კი შანსი მიეცემა, ისევ თავის შეყვარებულთან ერთად გაიპარება, ამჯერად კი ისეთ ადგილას წავლენ, რომ ვერავინ მიაგნოს.

**ნინუცა:**

— 22 წლის ვარ. არც ისე პატარა ასაკში ვარ, რომ ადამიანების შეცნობა მიჭირდეს. არასოდეს მომწონდა ძველი ბიჭები, მთელი დღე უბანში რომ დგანან და უსაქმურობისგან აღარ იციან რა ქნან. არც მოჩხუბარი ბიჭები მომწონს, არც მსმელი და არც ნარკომანი. ჩვეულებრივი ბიჭებისკენ გამირბის თვალი, ვინც წესიერ ოჯახშია აღზრდილი და ქალს პატივს სცემს. დღევანდელი ბიჭების უმეტესობა ქალს სათანადოდ ვერ აფასებს, ამიტომ შეყვარებულის შერჩევაში ყოველთვის ფრთხილი ვიყავი. დედაჩემი სულ ტვინს მიბურღავდა, შენ ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი მომხიბვლელი და ისეთი ოჯახის შვილი, რომ ძალიან კარგი ბიჭი შეგეფერებაო. სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ გავიგე, როგორია ეს ძალიან კარგი ბიჭი. დედაჩემი ჩემი არჩევანით ყოველთვის უკმაყოფილოა.

***— მამა რა აზრის არის თქვენს რჩეულზე?***

— მამაჩემი საკმაოდ მკაცრი, მაგრამ მშვიდი ადამიანია. მას არაერთხელ უთქვამს, მე ჩემი არჩევანი გავაკეთე და აგერ უკვე 25 წელია დედაშენი ჩემი ცოლია, არჩევანი ახლა შენზეაო. მე დედისერთა ვარ, ამიტომ ნაწილობრივ მესმის ჩემი მშობლების. ყველა მშობელის მესმის, რომელსაც შვილი ჰყავს — ყველას თავისი შვილისთვის მხოლოდ კარგი უნდა, მაგრამ იმას ნამდვილად არ ვამართლებ, რომ ადამიანი შავგვრემნობის, სოფლელობის ან თბილისის გარეუბანში ცხოვრების გამო დაიწუნო. ასეთია დედაჩემი — მისი მოსაწონი ვერავინ ვნახე. ზოგი შავგვრემანია, ზოგი თბილისის გარეუბანში ცხოვრობს და ზოგსაც ბინა არა აქვს თბილისში.

სულ სამჯერ ვიყავი შეყვარებული. პირველად სკოლაში შემიყვარდა, მეცხრე კლასში ვიყავი, დათო კი უკვე სკოლას ამთავრებდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ ჩემს მშობლებს, უფრო სწორად დედაჩემს, ვერაფერი შევაგნებინე. არც და მყავს და არც ძმა, დაქალებთან გულის გადაშლას ისევ დედაჩემთან დალაპარაკება ვამჯობინე. მისთვის არ დამიმალავს, რომ შეყვარებული ვიყავი, მეგონა, მასზე ახლობელი და გამგები ადამიანი სხვა ვერავინ იქნებოდა, მაგრამ შევცდი. დედაჩემმა ყურადღებით მომისმინა, მაგრამ გამაფრთხილა, იცოდე, თუ მე არ მომეწონა, მასთან ყველანაირ ურთიერთობას აგიკრძალავო. ეჭვი არ შემპარვია, რომ ჩემი შეყვარებული დედაჩემსაც მოეწონებოდა, იმიტომ, რომ მართლა კარგი ბიჭი იყო. არ ვიცი როდის და სად ნახა დედაჩემმა დათო, მაგრამ სახლში მოსულმა მითხრა, არ დაგინახო იმ ბიჭთან გავლილი და საერთოდ, მასზე ფიქრს გიკრძალავ, როგორ იფიქრე, რომ ეგ მაიმუნი შენი შესაფერისიაო. მეწყინა მისი ნათქვამი, თან ვერ მივხვდი, ამას რატომ მეუბნებოდა. ვთხოვე ჩემთვის ყველაფერი მოეყოლა და აკრძალვის მიზეზიც ეთქვა, მაგრამ დედამ არაფერი მითხრა. მისი აკრძალვის მიუხედავად, დათოს მაინც ვხვდებოდი. ეს რომ დედაჩემმა გაიგო, ძალიან გაბრაზდა და მაშინ კი მითხრა მიზეზი, რის გამოც ჩემს შეყვარებულს იწუნებდა.

***— რის გამო იწუნებდა?***

— იმის გამო, რომ თურმე შესაფერისები არ ვიყავით. დღესაც არ ვიცი, როგორი ბიჭი უნდა შემიყვარდეს, რომ დედაჩემის გული მოვიგო. დედაჩემს ჩემთვის ქერა და ლურჯთვალება ბიჭი უნდოდა, დათო კი შავგვრემანი ბიჭი იყო. ამ მიზეზის გაგონებაზე ბევრი ვიცინე, როგორ შეიძლება ადამიანი მარტო იმიტომ დაიწუნო, რომ ქერა და ლურჯთვალება არ არის-მეთქი და მაინც ჩემებურად ვიქცეოდი, ისევ დათოსთან ერთად დავდიოდი. დათო კი მიმტკიცებდა, რომ ისევ მიყვარხარო, მაგრამ ბოლო პერიოდში ბევრს ვკინკლაობდით, ელემენტარულ წვრილმანზე ვჩხუბობდით, მაგრამ ისევ ვრიგდებოდით. ბოლოს მე და დათომ სერიოზულად ვიჩხუბეთ და ერთმანეთს გავებუტეთ. თავიდან მეგონა, დამირეკავდა და აუცილებლად შევრიგდებოდით, მაგრამ მოვტყუვდი. დათოს ჩემთვის არ დაურეკავს. ბევრი ვიტირე, ძალიან განვიცადე, თან ისეთ ასაკში ვიყავი, ყველაფერი გაზვიადებულად მეჩვენებოდა. დათოს სრულიად შემთხვევით შევხვდი. მითხრა, უნდა მაპატიო, შენთან შერიგება ძალიან მინდა, მაგრამ ჩვენ არაფერი გამოგვივაო. როგორც გავარკვიე, მას დედაჩემი ჩუმად შეხვედრია და ჩემთან ურთიერთობა აუკრძალავს. ამის გაგონებაზე საშინლად გავბრაზდი, მაშინვე სახლში გამოვიქეცი და დედაჩემს საშინლად ვეჩხუბე. სამწუხაროდ, მე და დათომ ურთიერთობა ველარ ავაწყეთ და ერთმანეთს დავშორდით.

მეორე შეყვარებული უნივერსიტეტის პირველ კურსზე გავიჩინე. თბილისელი ბიჭი არ იყო, მაგრამ მისმა უშუალობამ და უბრალოებამ ძალიან მომხიბლა. ერთმანეთს მალე გავუგეთ და მივხვდი, რომ ისევ შეყვარებული ვიყავი. ამჯერად დედაჩემისთვის ალარაფერი მითქვამს, იმიტომ, რომ წინა გამოცდილება მწარე გაკვეთილად მექცა. არ ვიცი საიდან გაიგო დედაჩემმა ჩვენი ამბავი, მაგრამ მეორე შეყვარებულიც დამიწუნა. როგორ არ გრცხვენია, ამდენი წვალებით იმიტომ გაგზარდე, რომ სოფელში გათხოვდე და ტალახები ზილოო? ბევრი ვუმტკიცე, რომ სად ვიცხოვრებდი ტერიტორიულად, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ დედაჩემს ვერაფერი მოვუხერხე. ამ საქმეში მამაჩემიც ჩაერია, ოჯახში დიდი გარჩევები დაიწყო, მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ზურა თბილისელი არ იყო და თუკი მას ცოლად გავყვებოდი, სოფელში უნდა მეცხოვრა. ჩემს მშობლებს ვერაფრით გავაგებინე, რომ ეს ადამიანი მართლა მიყვარდა და მასთან ერთად ცხოვრებას ვაპირებდი, სადაც არ უნდა ყოფილიყო. ამ ამბავმა იმდენი ტკივილი მომიტანა, რომ ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებ, მთავარი ერთია — დედაჩემმა მეორე შეყვარებულიც დამიწუნა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ერთმანეთისთვის დავეშორებინეთ.

ახლა ისევ შეყვარებული ვარ. ამ გრძნობას ისე ვუფრთხილდები, როგორც რაიმე ძვირფას საგანძურს. დედაჩემმა ამ გრძნობის შესახებაც იცის. ბევრი ვეცადე ჩვენზე არაფერი გაეგო, მაგრამ ვერ მოვახერხე. მითხრა, როგორც არ უნდა ეცადო, ვერაფერს დამიმალავო. ისევ პრეტენზიები და თავისი მოთხოვნები აქვს, მაგრამ უკვე მის ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქცევ. დედაჩემის მოთხოვნა ნაწილობრივ დავაკმაყოფილე — გიო ქერაა, მაგრამ ლურჯთვალება არ არის. ვიცი, რომ დედაჩემს არც ის მოწონს, თუმცა ჩემთვის მისი აზრი უკვე სულ ერთია. გიო ძალიან მიყვარს და პირობა მივეცი, რომ სულ მასთან ვიქნები.

***— რატომ გაიპარეთ?***

— იმიტომ, რომ დედაჩემი თავისი ნებით გიოზე არასოდეს გამათხოვებს. თან უკვე ისეთი პატარაც აღარ ვარ, რომ ჩემით არ შემეძლოს არჩევანის გაკეთება. გიოსთან ერთად გაპარვას არ ვაპირებდი, მაგრამ ჩვენს საერთო მეგობართან ვიყავით, სადაც უცებ, სპონტანურად გადავწყვიტეთ დავქორწინებულიყავით. იმ ღამეს გიოს ნათესავთან წავედით სურამში, მაგრამ სამ საათში ჩემები დაგვადგნენ თავზე და დედაჩემმა ისე შემაშინა, ისევ უკან წამოსვლა გადავწყვიტე. გიოს პირობა მივეცი, რომ მისი ცოლი გავხდებოდი და ამ პირობას აუცილებლად შევასრულებ.

***— რა გითხრათ დედამ?***

— ისეთი სიტყვები მეძახა, გაოგნებული დავრჩი. მითხრა, როგორ ბედავ, ვიღაც ლაწირაკს რომ მიყვები ცოლადო.

***— რამდენი წლისაა თქვენი შეყვარებული?***

— 25-ის და მგონია, რომ გიო ლაწირაკი ნამდვილად არ არის.

***— არ უთქვამს დედას, რატომ იწუნებს გიოს?***

— კი, მითხრა. შენთვის შესაფერისი არ არის. თბილისის გარეუბანში მასთან ერთად როგორ უნდა იცხოვროო. მისი ასეთი მიდგომა და აზროვნება სულ მაგიჟებს. ნუთუ შეიძლება ყველა ვაკელი ან საბურთალოელი იყოს? ასეთი პროვინციული აზროვნების თუ იქნებოდა დედაჩემი, ნამდვილად არ მეგონა. ის ფაქტი, რომ ჩემმა მშობლებმა საყვარელ ადამიანს დამაშორეს, ჩემთვის დიდი შეურაცხყოფა იყო. მართალია მშობლებს სახლში წამოვყევი, მაგრამ მე და გიომ პირობა დავდეთ, რომ მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით. ახლა მასთან შეხვედრას კატეგორიულად მიკრძალავენ და მეც დროებით ვასრულებ მათ პირობას, თუმცა, როგორც კი შანსი მექნება, ისევ გავიპარები და ჩემს საყვარელ ადამიანთან ერთად ლამაზ ოჯახს შევქმნი.

**თიკო ნინიაშვილი**

# სასარგებლო რჩევები

## cfvrehyfkj vwtyfhtt,sfyahs[ bkfl b.fdbs

საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს მცენარეებით მკურნალობა, თუმცა მედიკოსები ამტკიცებენ, რომ იმას, რასაც მცირე მიღებით შეიძლება დადებითი შედეგი ჰქონდეს, ორგანიზმზე უარყოფითი გავლენის მოხდენაც შეუძლია.

მაშ ასე, მედიკოსები გირჩევენ, ფრთხილად ვიყოთ სამკურნალო მცენარეებთან დაკავშირებით და მათი მიღება მხოლოდ და მხოლოდ ექიმთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

*მჟაუნა* — შეიცავს პურინებს და მჟაუნმჟავას, ამიტომ მისი მიღება არარეკომენდებულია მაშინ, როცა დარღვეულია ორგანიზმის მარილოვანი ცვლა. არ მიიღოთ მჟაუნა ტუბერკულოზისა და ნაწლავების ანთების დროს.

*ალოე* — მის სამკურნალო თვისებებზე საზოგადოებაში ლეგენდები დადის, თუმცა, როგორც გაირკვა, მას უკუჩვენება აქვს თირკმლებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ასევე საშვილოსნოდან სისხლდენის, ბუასილის, ცისტიტისა და ორსულობის დროს.



*ბოლოკი* — დაუშვებელია ბოლოკი მიიღონ გულითა და თირკმლებით დაავადებულმა ადამიანებმა. ბოლოკის მიღება არ არის სასურველი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთების დროსაც.

*ბროწეული* — მისი ნაყოფის წვენი აუცილებელია განაზავოთ წყალში, რადგან ბროწეულის წვენი შეიცავს ბევრ მჟავას, რომელიც კუჭს აღიზიანებს და შლის კბილის მინანქარს. ხალხში ცნობილია, რომ ძალიან სასარგებლოა ბროწეულის ქერქის მიღებაც, თუმცა აქაც სიფრთხილეა საჭირო. გადამეტებულმა დოზამ შეიძლება თავბრუსხვევა, მხედველობის გაუარესება და კრუნჩხვებიც კი გამოიწვიოს.

*კატაბალახა* — მიუხედავად იმისა, რომ კატაბალახა გულის მკურნალად არის მიჩნეული, ხანგრძლივად და დიდი დოზით მისი გამოყენება რეკომენდებული არ არის. თუკი მისი მიღება დიდი ხნით გრძელდება, ასეთ შემთხვევაში ის დამთრგუნველად მოქმედებს, იწვევს თავის ტკივილს, არღვევს გულის მუშაობის რითმს და პირღებინებასაც კი იწვევს.

*სურნელა* — მისი მიღება აკრძალულია ორსულებისთვის, რადგან იწვევს ნაყოფის მოცილებას.

*ნიორი* — ასევე აკრძალულია მისი მიღება ორსულობისას. ნივრის მიღებას არ ურჩევენ სისხლსავსე ადამიანებსაც.

*ხახვი* — მისი დიდი დოზით მიღება ორგანიზმს არ ვნებს, მაგრამ თუკი ხახვის ნაყენის მიღებას გადაწყვეტთ, არ უნდა გაწუხებდეთ გული და თირკმელები.

*მარწყვი* — მისი ნაყოფის დიდი დოზით მიღება ალერგიას იწვევს. შესაძლებელია პირღებინებაც კი გამოიწვიოს. გარდა ამისა, მარწყვმა ჭინჭრის ნასუსხის მსგავსი გამონაყარიც იცის.

*შროშანი* — ბევრს გაუკვირდება, მაგრამ ის შხამიანი მცენარეა. არ არის რეკომენდებული გულისა და სისხლძარღვების მკვეთრი ცვლილებების, მკაფიოდ გამოხატული კარდიოსკლეროზისა და მწვავე მიოკარდიის დაავადებების დროს.

*ჭარხალი* — მიჩნეულია, რომ მისი ნაყენი სტაფილოს წვენთან ერთად ადამიანს სიმაღლეში ზრდაში ეხმარება, თუმცა მედიკოსები ამტკიცებენ, რომ ჭარხლის ნაყენის მიღება სისხლძარღვების სპაზმს იწვევს. თუკი ჭარხლის წვენის დალევას მაინც გადაწყვეტთ, გამოწურვის შემდეგ 2-3 საათით გააჩერეთ, რომ მასში მავნე ნივთიერებები აორთქლდეს.

*კაკალი* — მიჩნეულია, რომ კაკალი გულის წამალია, თუმცა კვლევებმა დაამტკიცა, რომ ნიგვზისა და თხილის ჭამისას ზომიერებაა საჭირო, რადგან მათი დიდი დოზით მიღება თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმს იწვევს, რაც თავის წინა მხარის ტკივილებს განაპირობებს.

*ჭინჭარი* — ჭინჭრის ფხალი საქვეყნოდ განთქმულია, მაგრამ სპეციალისტების აზრით, მისი მიღება ექიმის გარეშე დაუშვებელია. ამ მცენარის პრეპარატები არარეკომენდებულია მაღალი პროთრომბინის, ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიის დროს. უკუჩვენება აქვს ჭინჭარს იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილი აქვს სისხლდენას, რომელიც განპირობებულია კისტით, პოლიპითა ან საშვილოსნოს სხვა სიმსივნეებით.

*სტაფილო* — აკრძალულია სტაფილოს ზედა ნაწილის მიღება, რომელიც მიწის ზემოთ არის და მწვანეა. ის ხელს უშლის გულის ნორმალურ მუშაობას.

*არყის ხის კვირტები* — არყის ხის კვირტები შარდმდენ საშუალებად ითვლება. თუმცა მისი მიღება ექიმის რეკომედნაციის გარეშე მიუღებელია, რადგან ის აღიზიანებს თირკმელებს. ამ მცენარის დანიშვნის შემდეგად აუცილებელია ექიმის მკაცრი კონტროლი.

*ყაყაჩო* — მისი მიღება საერთოდ აკრძალულია, რადგან დიდი დოზით შეიცავს მომწამვლელ საშუალებებს და რაც მთავარია, აქვს ნარკოტიკული ქმედება.

*წითელი წიწაკა* — წიწაკის დიდი რაოდენობით მიღება კუჭნაწლავის მწვავე მოშლილობას იწვევს.

*სიმინდის ულვაში* — მას ძლიერი სისხლისშემადედებელი თვისება აქვს, ამიტომ მისი მიღება მაღალი პროთრომბინის დროს კატეგორიულად დაუშვებელია.

*ზღვის კომბოსტო* — ვინც დაავადებულია ტუბერკულოზით, ის ზღვის კომბოსტოს მიღებას უნდა ერიდოს. საშიშია მისი მიღება თირკმელებით, ჭინჭრის ციებით დაავადებულთათვის. არ შეიძლება ზღვის კომბოსტო მიირთვან ასევე ორსულებმა, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც აკრძალული აქვს იოდის პრეპარატების მიღება.

*სურო* — მისი ხანგრძლივად სმა იწვევს ორგანიზმის მოწამვლას. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იყვნენ მგრძნობიარე ადამიანები, რადგან მათ შეიძლება სუროს შეხებაზე დერმატიტი დაემართოთ.

*ია* — ამ მცენარის ხანგრძლივი მიღება იწვევს პირღებინებას, ფაღარათს და გამონაყარს.

*ასკილი* — ასკილი სამკურნალო მცენარეა, თუმცა მისი ნაყენის დალევის შემდეგ პირში თბილი ან სოდიანი წყლის გამოვლება აუცილებელია, რადგან ნაყენში არსებული მჟავები კბილის მინანქრის დაშლას იწვევს.

## smdtysdbc7uehvfyt,j

### ხორციანი ბადრიჯანი

მასალად საჭიროა:

100 გრამი ბადრიჯანი;
300 გრამი ცხვრის ან საქონლის ხორცი;
2-3 კბილი ნიორი;
300 გრამი პომიდორი ან 2 სუფრის კოვზი ტომატი;
2-3 თავი ხახვი;
10 გრამი წიწაკა;
მწვანილები — რეჰანი, ოხრახუში, ქინძი;
მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

საქონლის ან ცხვრის ხორცი კარგად გარეცხეთ, წვრილად დაჭერით და მოშუშეთ წვრილად დაჭრილ ხახვთან ერთად დარბილებამდე. შემდეგ უნდა დაუმატოთ წვრილად დაჭრილი ბადრიჯანი. 10 წუთის შემდეგ დაუმატეთ გაფცქვნილი პომიდორი ან ტომატი. თუკი სადილს ტომატს დაუმატებთ, საჭიროა მას დაასხათ 2 ჭიქა წყალი. შემდეგ დაუმატეთ წიწაკა. კერძი ხორცის სრულ მოშუშვამდე არ უნდა გადმოდგათ. მწვანილი, დანაყილი ნიორი და მარილი სადილს დაამატეთ გადმოდგმამდე 2-3 წუთით ადრე.



### ბადრიჯნის საცივი

მასალად საჭიროა:

200 გრამი ნიგოზი;
100 გრამი ხახვი;
300 გრამი ბადრიჯანი;
50 გრამი ზეთი;
2-3 კბილი ნიორი;
1 ჩაის კოვზი ქინძის თესლი, უცხო სუნელი, ზაფრანა;
2 სუფრის კოვზი ძმარი;
წიწაკა და მარილი გემოვნებით.

მომზადების წესი:

ნიორი დანაყეთ მარილთან და ქინძის თესლთან ერთად, დაამატეთ უცხრო სუნელი, წიწაკა და ზაფრანა. ეს საკმაზი კარგად უნდა ასრისოთ წინასწარ დანაყილ ნიგოზში და გახსნათ ძმარში.

წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ ზეთში, დაუმატეთ წინასწარ მოხარშული ბადრიჯანი. 5-10 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და დაუმატეთ წინასწარ მომზადებული საკმაზი.

**თიკო ნინიაშვილი**

## ჯონდო ბაღათურია თავისი პარტიის რეიტინგით კმაყოფილია



საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის სოციოლოგიური კვლევის შედეგები განიხილა ბრიფინგზე პარლამენტის წევრმა, „ქართული დასის" თავმჯდომარემ ჯონდო ბაღათურიამ. მისი განცხადებით ამ კვლევის შედეგად „ქართული დასი" ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპოზიციური პარტიაა, რომლის რეიტინგი და გავლენა საზოგადოებაზე სტაბილურად იზრდება.

— ჩვენ შევეცადეთ ექსპერტებთან ერთად გაგვეკეთებინა ანალიზი, რამ გამოიწვია „ქართული დასის" რეიტინგის ზრდა და მივიღეთ ასეთი შეფასება, რომ ეს არის კონკრეტული, კვალიფიციური და გასაგები პარტია პარლამენტში. რადგან ჩვენ ვაკეთებთ სწორ აქცენტებს, სწორი პრიორიტეტები გამოგვაქვს და ჩვენი პროექტები ძალიან პოპულარულია საზოგადოებაში, — განაცხადა ჯონდო ბაღათურიამ.

თავისი განცხადების გასამყარებლად მან ჟურნალისტებს გრაფიკული სურათი წარუდგინა, სადაც დეტალურადაა ასახული საზოგადოების მიერ „ქართული დასის" საქმიანობის შეფასების პროცენტული მონაცემები.

**მედიანიუსი**

## სტიქიით დაზარალებულ დმანისის რაიონში რამაზ ნიკოლაიშვილი ჩავიდა

დმანისის რაიონში წუხანდელმა გადაუღებულმა წვიმამ წყალდიდობა გამოიწვია.

ადიდებულმა მდინარემ დააზიანა გზები, დატბორა სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები, დახოცილია შინაური ფრინველი და პირუტყვი. სტიქიამ ყველაზე მეტად დმანისის რაიონის სოფელი ირგანჩაი დააზარალა, სადაც მდგომარეობის ადგილზე გასაცნობად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ჩავიდა.

როგორც „მედიანიუსს" სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მინისტრი ადგილზე გაეცნობა და შეისწავლის არსებულ მდგომარეობას, რის შემდეგაც დაიწყება ზარალის დათვლა. სოფელ ირგანჩაიში რამაზ ნიკოლაიშვილთან ერთად ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძეც იმყოფებოდა.

სოფელი ირგანჩაი დმანისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია, სადაც 2500-მდე მოსახლე ცხოვრების სტიქიამ 300-მდე ოჯახი დააზარალა. გარდა ამისა, ადიდებულმა მდინარემ წაიღო სამი სამანქანო და 6 საფეხმავლო ხიდი.

დმანისის რაიონში წვიმა კვლავაც გრძელდება.

**მედიანიუსი**

## ნაძალადევის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

სარემონტო სამუშაოების გამო 6 ივნისს 10 საათიდან 16 საათამდე ნაძალადევის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება, — აცნობეს „მედიანიუსს" თელასიდან. შეზღუდვა შეეხება: გურამიშვილის გამზირს და გუდამაყარის ქუჩის მოსახლეობას.

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება დაუყოვნებლივ აღუდგებათ.

**მედიანიუსი**

## ბადრი ბიწაძის ადვოკატმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა

ნინო ბურჯანაძის მეუღლის, ბადრი ბიწაძის ადვოკატმა ლევან სამუშიამ თბილისის სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდებულისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით 100 000 ლარის შეფარდების შესახებ დღეს სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ადვოკატი ბადრი ბიწაძისათვის ყოველგვარი აღმკვეთი ღონისძიების მოხსნას ითხოვს, რადგან მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ბრალდების მხარემ აღმკვეთი ღონისძიება დაამძიმოს და სასამართლოში ბიწაძის დაპატიმროების შუამდგომლობა დააყენოს.

როგორც „მედიანიუსს" ლევან სამუშიამ აცნობა, საქმეში გახმაურებული დეტალების გარდა სხვა ბრალდებები არ ფიგურირებს.

შეგახსენებთ, რომ ბადრი ბიწაძეს პოლიციელებზე თავდასხმის ორგანიზებას ედავებიან და გენერალურმა პროკურატურამ მას ბრალი გენერალ გია უჩავას ჩვენების საფუძველზე წაუყენა. თბილისის საქალაქო სასამართლომ კი ბიწაძეს აღმკვეთი ღონისძიებების სახით 100 00 ლარის გადახდა შეუფარდა და ამით პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ცნობისათვის: ჯერჯერობით უცნობია საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსის ადგილსამყოფელიც.

ნინო ბურჯანაძის თქმით კი, იგი გირაოს გადახდას არ აპირებს.

**მედიანიუსი**

## გრიგოლ ვაშაძე კუბის საგარეო საქმეთა მინისტრს ბრუნო პარილიას შეხვდა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე კუბაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში კუბის საგარეო საქმეთა მინისტრს ბრუნო პარილიას შეხვდა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები და საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

გრიგოლ ვაშაძემ კუბელ კოლეგას საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

— ჩემს კუბელ კოლეგას საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის და ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადავუხადე იმ პრინციპული, კარგად გააზრებული პოზიციის გამო, რომელიც კუბის მთავრობამ დაიკავა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ორივე ქვეყანაა დაინტერესებული ისეთ სფეროებში თანამშრომლობით, როგორიცაა ეკონომიკა, კულტურა, მეცნიერება და ჯანდაცვა. ასევე გამოიკვეთა ძალიან საინტერესო პროგრამები განათლების სექტროში, — განაცხადა ვაშაძემ.

ვაშაძე კუბაში პირველი ოფიციალური ვიზიტით 1 ივნისს გაემგზავრა. გრიგოლ ვაშაძე ოფიციალურ ვიზიტს 4 ივნისს დაასრულებს.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საიტი, სავარაუდოდ, გატეხეს

საქართველოსა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, სავარაუდოდ, გატეხეს. ვებგვერდზე შესვლა ორ საათზე მეტია, ვერ ხერხდება. როგორც „მედიანიუსს" სამინისტროში განუცხადეს, ჯერჯერობით უცნობია, საიტი ვირუსმა დააზიანა თუ ჰაკერმა გატეხა.

— მისი მუშაობის აღსადგენად სპეციალისტები მუშაობენ, — აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

**მედიანიუსი**

## გიყვართ ჭორაობა?

**ტესტი**



***1. თქვენს შეფს მდივანთან რომანი აქვს, თქვენ:***

ა) არავის ეტყვით, ბ) მთელ სამსახურს მოსდებთ — 3, გ) მხოლოდ უახლოეს კოლეგებს ანდობთ საიდუმლოს — 5.

***2. ჭორაობა არის:***

ა) გადასარევი გასართობი საშუალება — 3, ბ) მხოლოდ დაბოღმილი ადამიანის საქმე — 2, გ.შურისძიების საუკეთესო საშუალება — 5.

***3. თქვენი კოლეგა ძალიან მნიშვნელოვან საიდუმლოს განდობთ, თქვენ:***

ა) ბოლომდე შეინახავთ — 5, ბ) ყველას მოუყვებით — 3, გ) მიიჩნევთ, რომ თქვენი გამოცდა სურს — 2;

***4. საუბარში ხედავთ, რომ თქვენი მეგობარი მეტისმეტად აჭარბებს, თქვენ:***

ა) მაშინვე შეაწყვეტინებთ ლაპარაკს — 3, ბ) დაე, იტრაბახოს — 5, გ) ბოლომდე მოუსმენთ — 2.

### პასუხები

**0-დან 10 ქულამდე:** თქვენი ნდობა ნამდვილად შეიძლება, ჭორაობა გიყვართ, მაგრამ ყოველთვის ხვდებით, რისი თქმა შეიძლება და რისი — არა. ბევრ თქვენს მეგობარს მოსწონს თქვენი ასეთი გაწონასწორებული ხასიათი და ცდილობენ, მოგბაძონ. იმდენად იხარჯებით სხვებისთვის, რომ საკუთარი პრობლემები გავიწყდებათ. არც სხვების მესაიდუმლეობა გიზიდავთ. ყოველთვის ცდილობთ, დაიცვათ ზღვარი და არასოდეს გადახვიდეთ მას. იცით, რომ ასეთი საქციელი ზედმეტ პრობლემებს არ შეგიქმნით.

**12-დან ზემოთ:** ნამდვილი ჭორიკანა ხართ. ყოველთვის გრძნობთ, რომ ჭორაობა თქვენი სტიქიაა და, თუ რაიმე ჭორი თვითონ არ გაიგეთ, თავად იგონებთ მათ. გარშემომყოფებს თქვენთან პირის გაღების ეშინიათ, იციან, რომ ელემენტარულ ამბავს გიგანტურ მოვლენად გადააქცევთ. ასეთი საქციელის გამო ხშირად კარგავთ საყვარელ ადამიანებს, თუმცა რამდენიმედღიანი გლოვის შემდეგ იგი გავიწყდებათ და ახლის ძებნით ირთობთ თავს. თუ სხვა ღირებულებებით დაინტერესდებით, მიხვდებით, რომ ამქვეყნად ჭორაობაზე გაცილებით უკეთესი საქმეები არსებობს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მაროკოს დედაქალაქი; 2. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 3. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 4. მარცვლეულის, ფქვილის ვაჭარი ძველად; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 8. სასადილო-სავაჭრო ძველად; 9. ცხენოსნობის მასწავლებელი; 12. თაღლითი ბანქოს თამაშში; 14. თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზლის ლონდონში; 7. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 9. მოდური მაღაზია; 10. ოპერა კარმენის კომპოზიტორი; 11. რაიონული ცენტრი იმერეთში; 13. მონასტერი ოჩამჩირეს რაიონში; 15. „ფორმულა-1"-ში მონაწილე პოლონელი ავტომრბოლელი; 17. მხატვრული კონსტრუირება; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 20. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისათვის.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯულეპი; 2. ლიბია; 3. ელინგი; 4. კრაუჩი; 6. ლალიონი; 9. დიუნა; 11. დიუნანი; 15. ტონზილიტი; 16. კასიკი; 17. სიგარეტი; 19. ომმეტრი; 21. მიჯნური; 22. ქურუმი.

**თარაზულად:** 5. იუპიტერი; 7. „ამირანი"; 8. კარატე; 10. მირკანი; 12. ჩხუტი; 13. ოდიში; 14. აინშტაინი; 18. მანგო; 20. საცივი; 23. ტუნიკა; 24. ჯემი; 25. „ბუკერი"; 26. მუტი; 27. ბრუდერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ენდრო; 5. ლიფსიტა; 8. თუთუნი; 9. კოკოშკოვი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იმაგო.

**თარაზულად:** 1. „ჰეინიკენი"; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. კადიმა; 10. ხოტი; 11. ტუგრიკი; 13. „თეთრა"; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. მოციონი.

## სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, ბატონი

**ხუტა ილიას ძე ფოჩხუა**

ვუსამძიმრებთ შვილებს: ბადრის, მამუკას, რძლებს ეკას, ელისოს, შვილიშვილებს ციცის, თამუნას, ილოს, დისშვილებს, ძმისშვილებს, ნათესავებსა და მეზობლებს.

დაკრძალვა: სამშაბათს, 7 ივნისს;

მისამართი: მარტვილის რაიონის სოფელი ლეფოჩხუე.

**მიქაიების ოჯახი**

ალექსანდრე მიქაძე ოჯახით მწუხარებას გამოხატავს აფხაზეთის ღვაწლმოსილი პიროვნებისა და სიყრმის მეგობრის

**ნოდარ პეტრეს ძე კიზირიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს, კონსტანტინე ოზგანს!

დევნილობაში მყოფი თბილისის ხანდაზმულთა საზოგადოებრივი მოძრაობა „შერიგების" წევრები თანაუგრძნობენ მოძმე აფხაზ ხალხს მათი ლიდერის

**სერგეი ვასილის ძე ბაღაფშის**

გარდაცვალების გამო.

გადაეცით ჩვენი თანაგრძნობა გარდაცვლილის ოჯახს.

**საზოგადოების წევრები: ალექსანდრე მიქა ე, ღუღუნი ყურაშვილი, გივი კოხრეი ე, ნათელა ბოკუჩავა, მარინა ნაჭყებია, მურთაზ ქადარია**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



**ანზორ ჯორბენაძე**

2011 წლის 31 მაისს ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს დამსახურებული ექიმი, ჯანმრთელობის დაცვის გამოჩენილი ორგანიზატორი, სამხედრო სამედიცინო სამსახურის ვიცე პოლკოვნიკი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ანზორ მიხეილის ძე ჯორბენაძე.

იგი დაიბადა 1936 წლის 20 მაისს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების თერაპიულ კათედრებზე. 1967 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის I კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც გაიარა გზა მიმღები განყოფილების მორიგე ექიმიდან საავადმყოფოს მთავარ ექიმამდე.

1979 - 1985 წლებში მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსად, იყო სამინისტროს კოლეგიის წევრი.

1985 - 1991 წლებში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მან მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურის ჩამოყალიბებისა და განვითარებისკენ. იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო სამმართველოს უფროსის მოადგილე, ცენტრალური სამმართველოს ჰოსპიტალის სამედიცინო ნაწილის უფროსი. განსაკუთრებულია მისი ღვაწლი აფხაზეთში საომარი მოქმედებებისას დაჭრილთა მკურნალობის საქმეში, რისთვისაც დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ მოღვაწეობდა ქ. თბილისის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში.

სამწუხაროა, რომ ჩვენგან წავიდა ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სათნოებით, მაღალი პროფესიონალიზმით, პატიოსნებით, თავისი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით. იგი იყო განსაკუთრებული მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა. საუკეთესო მეგობარი.

მძიმეა მისი დაკარგვა ოჯახისთვის, მეგობრებისთვის და ყველა იმ ადამიანისთვის ვინც მას იცნობდა ან მასთან მუშაობდა.

***მეგობრების ჯგუფი***

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**4 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6658
ევრო —2,3799
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7451
რუსული რუბლი — 0,0593

## ამინდის პროგნოზი 4 ივნისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-28, ღამით — 16-18

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-26, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 8-15








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## მესის გულშემატკივარი თავს დაესხა

კატალონიური „ბარსელონას" არგენტინელი ფეხბურთელი ლეო მესი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მისი ქუჩაში მშვიდად გასვლა ყოვლად შეუძლებელია, რაზეც ძალიან წუხან ლეოცა და მისი მეგობრებიც. საკმარისია ბარსელონას ან ნებისმიერი სხვა ქალაქის ქუჩებში მოსიარულე მესის მოჰკრას ხალხმა თვალი, რომ მოძრაობა ჩერდება. მესიც ოცნებობს იმ დროზე, როდესაც ერთი ჩვეულებრივი ბავშვი იყო და მშვიდად ცხოვრების საშუალებაც ჰქონდა.

მართალია, „ნადირობა" ძირითადად ავტოგრაფებზე მიდის, მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. არგენტინელი ფეხბურთელი ამჟამად შვებულებას მშობლიურ ქალაქ როსარიოში ატარებს, სადაც თავს ერთ-ერთი გულშემატკივარი დაესხა.



გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ფორვარდი ერთ-ერთი რესტორნიდან გამოდიოდა. მას გულშემატკივართა ჯგუფი შემოეხვია და 23 წლის ფეხბურთელს ავტოგრაფებს სთხოვდა, როდესაც ერთ-ერთმა ქომაგმა დაარტყა და გაიქცა. მესიმ ავტოგრაფების დარიგება გააგრძელა, თვითმხილველები კი ამბობენ, რომ თავდამსხმელს ერთ-ერთი იმ სკოლის მოსწავლის ფორმა ეცვა, რომელიც მომხდარიდან რამდენიმე კვარტლითაა დაშორებული.

თავად ფეხბურთელს დაზიანება არ მიუღია, მაგრამ მან მოგვიანებით ფეისბუკზე საკუთარი კომენტარი მაინც გაავრცელა:

— იმ ხალხის დასამშვიდებლად, რომლებიც მეკითხებიან, თუ რა მოხდა რესტორნიდან გამოსვლის მომენტში, გეტყვით: დარტყმა არ მიმიღია და თავსაც აბსოლუტურად ნორმალურად ვგრძნობ, — წერია კომენტარში.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 4 ივნისი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ოცნება აგისრულდებათ. **კირჩხიბი** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **ლომი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, სხვებსაც მოეწონებით. **ქალწული** — დაისვენეთ და გაერთეთ, არ გადაიღალოთ. **სასწორი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, მეგობრები გეხმარებიან. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მოუსმინეთ დამამშვიდებელ მუსიკას. **თხის რქა** — დღეს ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, აზრი არ აქვს. **მერწყული** — ექსპერიმენტს მოერიდეთ, ძველი საქმე გააგრძელეთ. **თევზები** — დაფიქრდით და ისე მიიღეთ სერიოზული გადაწყვეტილება.

### 5 ივნისი — შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ, იმოქმედეთ. **კურო** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** — ნურავის დაუჯერებთ, უსმინეთ შინაგან ხმას. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით შეხვედრა. **ლომი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას და ისე იმოქმედეთ. **ქალწული** — საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, წარმატებული დღეა. **სასწორი** — თავს გამოიჩენთ, დაწინაურება გელით. **ღრიანკალი** — ჩაფიქრდით, პასუხს ადვილად იპოვით. **მშვილდოსანი** — ნუ დაივიწყებთ მეგობრებს. **თხის რქა** — ახალი პროექტი მოგეწონებათ, ფული გექნებათ. **მერწყული** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ვიღაცა თქვენს მოტყუებას ცდილობს. **თევზები** — წვეულებაზე წახვალთ, კარგ დროს გაატარებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 30 მაისიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

## სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 6

რიშელიე

გაზეთი და წიგნი ერთად
8 ლარი


## იუმორი



***

მოსამართლე:

— თქვენ გიჩივიან იმის გამო, რომ მეზობელს თხა უწოდეთ.

— საინტერესოა, რომელი მათგანი მიჩივის...

***

— ყოველი ქალის ცხოვრებაში არის სამი პერიოდი: პირველი — ნერვებს მამას უშლის, მეორე — ქმარს და მესამე — სიძეს...

***

— ბურთი დირექტორის ფანჯარას ჯერ არ მოხვედროდა, ბავშვები კი უკვე დამალობანას თამაშზე იყვნენ გადასული.

***

— სულაც არა ვარ სქელი. ლევანი მეუბნება, რომ იდეალური ფიგურა მაქვს.

— ის ხომ მათემატიკოსია. მისთვის იდეალური ფიგურა სფეროა...

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 2. მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება; 3. მდინარე ჩინეთში; 4. ნარკოტიკების არალეგალური გამსაღებელი აშშ-ში; 6. ცხენის, ვირის ასაკიდი ტვირთი; 9. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 11. ენის ანთება; 15. ბიტუმით გაჟღენთილი საიზოლაციო, გადასახური მასალა; 16. სათბურში გამოყვანილი ბოსტნეულის ნერგი; 17. ტბა უნგრეთში; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 21. სომეხთა მღვდელი; 22. პატარა ტანის მაიმუნი.

**თარაზულად:** 5. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 7. გადაჭარბებული თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 10. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 12. სპორტის სათამაშო სახეობა; 13. ძვირფასი ქვებით გაწყობილი ქალის სამკაული; 14. გერმანელი კინოლოგი, პოპულარული ძაღლის ჯიშის გამომყვანი; 18. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 20. ამერიკული საიუველირო ფირმა; 23. თურქული მწვადი; 24. შაქრის ლერწმის არაყი; 25. გულიანი, ხვეულა ნამცხვარი; 26. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 27. გულის ნორმალური მუშაობის დარღვევა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



ლურჯი წითელი ყვითელი შავი